# არსენალი

№20 (141). სამხ… …ნალ… …ჟურნალი. 30 სექტემბერი – 13 ოქტომბერი, 2011 წ. ფასი 1,5 ლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
1425
2011



## ერევანი–ბაქო: აღლუმების „ომი“

## „დაკანონებული“ ოკუპაცია რუსულად

## ანუ რითი დაგვემუქრება „ისკანდერი“ და „ღამის მონადირე“

## რუსულ ბომბს გადარჩენილი ქართველი ჯარისკაცი

## პუტინის მოწონებული ტანკი მისმა გენერალმა დაიწუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში 16



მრავალეროვანი ოპერაციები 14



რაკეტები სანაპიროს დასაცავად 38

ომის შემდგომი პირველი თაობის ტანკები 30





ეგვიპტელი „მუსლიმანი ძმები“ 25



„კალაშნიკოვის“ ყველა ავტომატი 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 სამხედრო სიახლეები

საფრთხე

7 „დაკანონებული" ოკუპაცია რუსულად

სამეზობლო

8 ერევანი-ბაქო: ალღუმების „ომი"

იარაღის გამოფენა

11 პუტინის მოწონებული ტანკი მისმა გენერალმა დაიწუნა

ტაქტიკა

14 მრავალეროვნული ოპერაციები

სპეცსამსახურების არქივებიდან

16 სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

რეგიონი

20 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

ჯარისკაცის ბედი

22 რუსულ ბომბს გადარჩენილი ქართველი ჯარისკაცი

ტერორისტული ორგანიზაციები

25 „მუსლიმანი ძმები" მსოფლიოს უძველესი ისლამური ტერორისტული გაერთიანება

ტანკმშენებელი ქვეყნები

30 ომის შემდგომი პირველი თაობის ტანკები

საეცდანაყოფები

35 წკიპურტები ნასერისათვის

ინოვაციური ტექნოლოგიები

38 რაკეტები სანაპიროს დასაცავად

რეზერვისტის ჩანაწერები

42 რა ხდებოდა რეზერვში

100 დიდი მხედართმთავარი

45 ტრაიანე

ომი და სამართალი

47 კრიმინალური დანაშაულები აფხაზეთის ომში

„არსენალის" იარაღის მაღაზია

50 „კალაშნიკოვის" ყველა ავტომატი


გარეკანზე: ფინური თვითმავალი ნაღმსატყორცნი Patria

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

ყოველი წლის სექტემბრის ბოლო იმ დიდ ტრაგედიას გვახსენებს, რაც 1993 წელს სოხუმის დაცემამ მოგვიტანა. ვისაც ფეხით თავჩაქინდრულებს კოდორის ხეობა გადმოგვივლია, იმედი მაინც გვქონდა, რომ ძალით წართმეულს ადრე თუ გვიან, მაინც დავიბრუნებდით, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა რუსეთთან ეს იმედი კიდევ უფრო შორეული გახადა.

ძალით წართმეულის მშვიდობიანად, დიპლომატიური მოლაპარაკებით დაბრუნების პრეცედენტი უახლოეს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება, მაგრამ სამწუხაროდ არც იმის ძალაა, რომ აგრესორსა და ოკუპანტს სათანადო ძალით დავუპირისპირდეთ და ჩვენივე ტერიტორია დავიბრუნოთ.

მანამდე კი ყოველი სექტემბრის ბოლოს სოხუმის დაკარგვის მძიმე მომენტი გაგვახსენდება...


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
26.09.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მფრინავი „თეფში-კამერა“ საფრთხეებს ზემოდან აღმოაჩენს



მსუბუქი და იაფი მფრინავი კამერები, რომლებსაც 120 მეტრ სიმაღლემდე აფრენა შეეძლებათ, ჯარისკაცებს ბრძოლის დროს დამალული საფრთხეების აღმოჩენაში წაადგებათ.

ბრიტანელი ინჟინრების შექმნილი უპილოტო საფრენი აპარატი, სახელწოდებით SQ-4, პულტითა და სპეციალური სათვალით დისტანციურად იმართება და მისი გამოყენებით ოპერატორი აპარატის კოორდინატებს, მიზნამდე მანძილსა და სხვა მონაცემებს აკონტროლებს.

სხვა უფრო მძიმე და ძვირფასი სისტემებისგან განსხვავებით SQ-4 ფრისბის სათამაშოდ განკუთვნილი მფრინავი თეფშისხელაა და სულ 230 გრამს იწონის. მოდელის ასამუშავებლად წუთზე ნაკლებია საჭირო, ხოლო ტარება კი ზურგჩანთითაც შეიძლება.

სამიზნის თავზე „გამოკიდებულ“ უხმაურო SQ-4-ს ობიექტის ზუმირება და სპეციალური ობიექტივის მეშვეობით თვალთვალი ღამითაც შეუძლია.

## თურქული F-16-ები ისრაელ თანამოძმეებს „მტრად“ ამოიცნობენ

თურქმა ინჟინრებმა გამანადგურებელ F-16-ისთვის სამიზნეთა „მტერ-მოყვარედ“ გარჩევის ახალი სისტემა შექმნეს.

ამ ტიპის საბრძოლო თვითმფრინავები, როგორც წესი, სტანდარტული ამერიკული ამომცნობი სისტემითაა აღჭურვილი და ისრაელის ობიექტებს „თავისიანად“ აღიქვამს, რის გამოც მისთვის ცეცხლის გახსნა შეუძლებელია. ამომცნობი სისტემის დაყენებით თურქებს საშუალება ექნებათ თავიანთი F-16-ები ებრაული თვითმფრინავებისა თუ სხვა სამიზნეების გასანადგურებლადაც გამოიყენონ.

როგორც ირკვევა, ახალ სისტემაზე მუშაობას თურქებმა ორი წელი შეალიეს. ის უკვე მზადაა, თუმცა როდის დაიწყება მისი სამხედრო საჰაერო ძალებში ათვისება, უცნობია.



## ამერიკელებმა რობოტები ავღანეთელებისთვისაც დაუკვეთეს

აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების სარდლობამ ამერიკულ კომპანია The Machine Lab-თან კონტრაქტი გააფორმა, რომელიც გამნაღმველი რობოტების MMP-30-ის მიწოდებას ითვალისწინებს. გარიგების ფასი 11,9 მილიონი დოლარია.

რობოტების ნაწილს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები თავის მფლობელობაში დაიტოვებს, მეორე ნაწილს კი ავღანეთის შეიარაღებულ ძალებს გადასცემს.

რობოტების დამზადება და სამხედროებისთვის მიწოდება წინასწარი გათვლებით 2016 წლამდე უნდა დასრულდეს. რობოტი MMP-30 მუხლუხით გადაადგილდება და დისტანციურად იმართება. ამ ტიპის აპარატებს ამერიკული არმია ერაყში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების გასაუვნებლად იყენებდა.



## რუსი ჯარისკაცები ბერეტს იწუნებენ



როგორც ჩანს, სამხედრო ფორმასთან ბერეტის მისადაგება მსოფლიოში სულ უფრო არაპოპულარული ხდება. ცოტა ხნის წინ აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობამ ამ ტიპის თავსაბურავს კეპი ანაცვალა, ახლა კი ბერეტს დამწუნებლები რუსეთის შეიარაღებულ ძალებშიც გამოუჩნდნენ. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ამა წლის აპრილში გადაწყვიტა, რომ შეიარაღებულ ძალებში კეპი ბერეტით შეცვალა და სამხედრო ნაწილებისთვის მათი მიწოდებაც დაიწყო, თუმცა ზაფხულის დადგომასთან ერთად რუსმა ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს, რომ შალის ბერეტები საკმაოდ ცხელი და არაპრაქტიკულია. მაგალითად, თუ კეპის დახურვა ერთი ხელითაც შეიძლება, ბერეტისთვის ორივე ხელია საჭირო. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც რუსმა სამხედროებმა ბერეტი დაიწუნეს, ისაა, რომ ის კეპზე ოთხჯერ ძვირია, ერთი სიტყვით, რუსულ ჯარში ბერეტი დაიწუნეს, თუმცა ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ მასზე უარი მაინც არ თქვა და ამ ტიპის თავსაბურავს საჰაერო-სადესანტო ძალები და საზღვაო ქვეითები გამოიყენებენ.

# შერილ კოული ჯარისკაცებს მოემსახურა




წამით წარმოიდგინეთ: ხართ თვითმფრინავში, სადაც ბორტგამცილებლად თვით შერილ კოული მუშაობს. ბევრისთვის აუხდენელი ეს ოცნება ზოგიერთისთვის ცხადად იქცა. საინტერესო კი ისაა, რომ ეს უკანასკნელნი არა მილიარდერები ან ვარსკვლავები, არამედ ჩვეულებრივი ბრიტანელი ბიჭები იყვნენ, რომლებიც ავღანეთში სამხედრო მისიის შესასრულებლად მიემგზავრებოდნენ.

ცნობილი მომღერალი პლანეტის ცხელი წერტილისკენ იმისთვის გაფრინდა, რომ შეხვედროდა ეროვნულ გმირებს, რომლებმაც ავღანეთში სამსახურის ვადა უკვე ამოწურეს. სწორედ მათ შემცვლელებთან ერთად აღმოჩნდა თვითმფრინავში შერილი და ოქსფორდშირიდან ავღანეთის ქალაქ ლაშკარგაჰამდე მგზავრობისას ვარსკვლავმა თავისთვის უჩვეულო საქმეს მოჰკიდა ხელი – ჯარისკაცებისთვის საუზმის ჩამორიგება დაიწყო.

„თვალებს არ ვუჯერებდით, – შერილი საკვებს გვირიგებდა, – სიტყვებს ვერ პოულობდა ბედნიერი რეისის ერთ-ერთი მგზავრი, – ყველა გაოცდა, ის ხომ ამისთვის არ იყო ჩვენთან“.

27901

# იაპონიის სამხედრო-სამრეწველო ობიექტებზე კიბერთავდასხმა მოხდა

იაპონიაში სამხედრო-სამრეწველო ობიექტზე პირველი კიბერშეტევა დაფიქსირდა. ჰაკერებმა კომპანია Mitsubishi Heavy Industries Ltd.-ის კომპიუტერული ქსელი გატეხეს, რომლის საქმიანობაში სამხედრო ხომალდების აგება და რაკეტების დამზადებაც შედის.

ჰაკერებმა იერიში ტოკიოში, კომპანიის სათავო ოფისის 80 კომპიუტერსა და რამდენიმე საწარმოს კომპიუტერულ ქსელზე მიიტანეს. განსაკუთრებით ქალაქ კობეს გემთსაშენებელი ქარხანა დაზარალდა, რომელიც წყალქვეშა ნავების აგებასა და ატომური ელექტროსადგურებისთვის კომპონენტების დამზადებაზეა სპეციალიზებული. კიბერთავდასხმა მოხდა ნაგასაკიში, სანაპირო დაცვის ხომალდების მშენებელ ქარხანასა და ნაგოიის ქარხანაზეც, სადაც რაკეტები მზადდება.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჰაკერებმა „მიცუბისის“ კომპიუტერებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპარეს, მაგრამ კომპანია ჯერჯერობით არაფერს აცხადებს.

# იაფმა ჯავშანმანქანამ გამოცდა უდაბნოშიც ჩააბარა



ბრიტანულმა კომპანია BAE Systems-მა ახალი დაჯავშნული ავტომობილი RG41 უდაბნოში გამოცადა.

ინჟინრები ახალი მანქანის მობილურობასა და სიმძლავრეს, საწვავის ეფექტურად ხარჯვასა და კონდიცირების, ასევე გაგრილების სისტემების მუშაობას აკვირდებოდნენ. ცდებს ჯავშანმანქანის მთა-გორიან ზედაპირსა და უდაბნოს პირობებთან თავსებადობა უნდა დაედგინა. RG41-ის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ავტომობილმა ყველა ტესტი პირველივე ცდაზე დასძლია.

ჯავშანმანქანა RG41 აღჭურვილია დისტანციურად მართვადი ქვემეხიანი კოშკურითა და საინფორმაციო სისტემა LATIS-ით, გამოირჩევა თვითნაკეთი ნაღმებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობებისადმი მაღალი მედეგობით. კოშკურის ქვემეხით მიზანში სროლა როგორც დღისით, ისე ღამით, 2 კმ-ზეა შესაძლებელი.

სხვათა შორის, შემქმნელები ამ ავტომობილის უმთავრეს ღირსებად მის არცთუ მაღალ ღირებულებას ასახელებენ. ამის გამო დიდი შანსია, რომ RG41 თავის კლასში ერთერთ ყველაზე პოპულარული საბრძოლო ჯავშანმანქანად იქცეს.

# პაკისტანელ თალიბებს ხელში Predator-ი ჩაუვარდათ

პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთით ამერიკულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა Predator-მა ავარია განიცადა, მისი ნამსხვრევები კი მოძრაობა „თალიბანის“ მებრძოლთა ნადავლი გახდა.

საფრენი აპარატის ჩამოვარდნის ერთ-ერთ სავარაუდო ვერსიად ტექნიკური გაუმართაობა სახელდება, თუმცა თალიბები ირწმუნებიან, რომ ამერიკული უპილოტო მათი ნასროლი რაკეტის მსხვერპლი გახდა. სხვათა შორის, პაკისტანელმა მზვერავებმა აპარატის ჩამოვარდნის შესახებ სწორედ თალიბების რადიოსაუბრების მოსმენის შემდეგ შეიტყვეს.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ავღანეთსა და პაკისტანში ტერორისტთა ობიექტებზე წერტილოვანი ავიადარტყმებისთვის უპილოტოებს ხშირად იყენებს. სხვადასხვა გათვლით, ამ გზით 1400-მდე თალიბია განადგურებული, მათ შორის „ალ-ქაიდას“ ლიდერები. ეს უკვე მეორე Predator-ია, რომელიც ბოლო თვეებში პაკისტანში ჩამოვარდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეომრებს „სითბური მხედველობა“ ექნებათ



მოწყობილობის საჭიროებამ, რომელიც ადამიანს სიბნელეში ხედვის საშუალებას მისცემს, ელექტრონიკისა და ოპტიკის დარგში დასაქმებული მეცნიერებიც გააერთიანა. კომპანია „ოპტიქს 1“-ის თანამშრომლებს შვიდწლიანი მუშაობა დასჭირდათ, რათა ღამის ხედვის პრინციპულად ახალა მოწყობილობა — COTI შეექმნათ, რომელიც სითბური ხედვის შესაძლებლობით გამოირჩევა (ცნობილ ამერიკულ ფანტასტიკურ ფილმში „მტაცებელ“ უცხოპლანეტელ არსებას ასეთი მხედველობა აქვს).

თუკი ჩვეულებრივი ღამის ხედვის აპარატებს ადამიანისთვის თვალისთვის აღსაქმელად 900 ნანომეტრამდე სინათლის წყარო მაინც სჭირდება, ახალი მოწყობილობა ეფექტურობას 8-5 ნანომეტრის ნიშნულზეც, ანუ უკუნ სიბნელეშიც ინარჩუნებს.

COTI-ის გამოყენება მიზანშეწონილია კვამლით მოცულ გარემოშიც, ნისლსა და წვიმაშიც. რამდენადაც აპარატის მუშაობის პრინციპი სითბური გამოსხივების მოძიებასა და გაძლიერებაზეა აგებული, მისი მეშვეობით სითბური კვალის აღმოჩენა მიწასა და ნივთებზეც კი შეიძლება.

მოწყობილობა სულ 165 გრამს იწონის, ხელმეორედ დამუხტვის გარეშე კი სამ საათს მუშაობს. ამ და სხვა მახასიათებლების გამო COTI-ს არა მხოლოდ სამხედრო, სამაშველო და სახანძრო საქმეშიც ფართოდ გამოიყენებენ.



# მფრინავ რობოტს ფილმიდან „ტერმინატორი 3“ შეიარაღებაში იღებენ

კომპანია Lockheed Martin-მა ახალი საფრენი აპარატის პროტოტიპის ფოტოსურათები გამოაქვეყნა. თვითმფრინავი Speed Agile Concept Demonstrator სრულიად ახალი დიზაინითაა წარმოდგენილი და ფანტასტიკურ ფილმ „ტერმინატორი 3“-ში ნაჩვენებ მფრინავ რობოტს ჰგავს. ამბობენ, რომ ეს ახალი საფრენი აპარატი მოძველებულ ტურბოხრახნიან ტაქტიკურ სატრანსპორტო თვითმფრინავ C-130-ს ჩაანაცვლებს და მნიშვნელოვნად წაადგება ამერიკელ სამხედროებს, რადგან გაცილებით დიდი სიჩქარე აქვს და ნებისმიერ ზედაპირზე აფრენა-დაშვებისთვის დამოკლებული დისტანცია ესაჭიროება. აპარატს ტურბორეაქტიული ძრავა აქვს. მისი კონსტრუქცია კი პლანერის დაბალი აეროდინამიკური წინააღმდეგობითა და ძალიან მარტივი მექანიკური სტრუქტურით ხასიათდება, რაც ამცირებს თვითმფრინავის წონას და აუმჯობესებს ფრენის მახასიათებლებს. ამერიკის არმიის მომავალ ტაქტიკურ სატვირთოს დაბალ სიჩქარეზე ფრენა შეეძლება, მისი ტვირთამწეობა კი 30 ტონას შეადგენს.



# სომალიში საბავშვო კონკურსში გამარჯვებულებს ავტომატებით ასაჩუქრებენ

სომალიში ისლამისტური მოძრაობა „ალ-შაბააბის“ მფლობელობაში არსებულმა ადგილობრივმა რადიოსადგურმა ბავშვებს შორის ყურანის ცოდნაში შეჯიბრება ჩაატარა.

ამაში უჩვეულო არც არაფერია, თუ არ ჩავთვლით გამარჯვებულთათვის დაწესებულ პრიზებს — ცეცხლსასროლ იარაღსა და ყუმბარებს.

კონკურსში პირველი ადგილი ერთბაშად ოთხმა მოზარდმა გაინაწილა და მათ ავტომატთან ერთად 700 დოლარი შეხვდათ. წესით, გული არც მეორე ადგილზე გასულს უნდა დასწყდომოდა – მას სანადირო თოფი ერგო. შედარებით მოკრძალებული იყო მესამე ადგილზე გასულისთვის დაწესებული ჯილდო — კონკურსის ორგანიზატორებმა ის ორი ხელყუმბარით დაასაჩუქრეს.

„დაჯილდოების ცერემონიალი“ კონკურსის ორგანიზატორებმა ასეთი შეგონებით დასრულეს: ბავშვებო, ცალ ხელში წიგნი უნდა გეჭიროთ, მეორეში — იარაღიო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სახელმწიფო დუმამ საქართველოში ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მე-7 და მე-4 რუსული გაერთიანებული სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა.

ამით ბევრი არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ რუსეთმა სცადა „დაეკანონებინა“ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია.

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საქართველოს არ შეუძლია კონკრეტული ქმედება დაუპირისპიროს მეზობელი ქვეყნის ამ



რუსული Ми-28H „ღამის მონადირეები“ დიდ საფრთხეს შეგვიქმნიან ღამისეულ ქართულ ცაში

# „დაკანონებული“ ოკუპაცია რუსულად

## რა საფრთხეს შეიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული „ისკანდერებისა“ და „ღამის მონადირეების“ გამოჩენა

წმინდა აგრესიულ ქმედებას. ოფიციალურ თბილისს მხოლოდ ის დარჩენია, მორიგი საპროტესტო განცხადებები გააკეთოს და იმედი იქონიოს, რომ დასავლეთი გააპროტესტებს მოსკოვის გადაწყვეტილებას და რატიფიცირების ლეგიტიმურობას არ აღიარებს.

სანამ ამ საკითხებზე სავარაუდოდ პოლიტიკური დებატებია, რუსეთის გენერალიტეტი ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სავარაუდოდ შედარებით თანამედროვე და უფრო მეტი საბრძოლო შესაძლებლობების სამხედრო ტექნიკას განათავსებს.

„არსენალი“ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის არმია თანამედროვე შეიარაღების ნიმუშებს შემოიტანდა.

ეს ვარაუდი გამართლდა, როდესაც ოკუპირებულ აფხაზეთში С-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემები გამოჩნდა, ხოლო ცხინვალის რეგიონში — კი Точка-У-ს ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები.

რუსეთმა ომამდე, 2007 წლის შემოდგომაზე, აფხაზეთში მალულად შეიყვანა Точка-У-ს რამდენიმე დანადგარი, რომლებმაც აგვისტოს ომის დროს სამი რაკეტა ოჩამჩირიდან ფოთის მიმართულებით გაუშვეს.

რუსეთის არმიაში ამჟამად დაწყებულია გადაიარაღება, რომელიც სარაკეტო ბრიგადებსაც ეხება და უკვე მოძველებული Точка-У-ებს ბევრად თანამედროვე Искандер-М-ებით ცვლიან. იგივე ელით საბრძოლო შვეულმფრენებსაც — Ми-24 -ის სხვადასხვა მოდიფიკაცია Ми-28 და Ми-28H Ночной охотник-ებით იცვლება.

გადაიარაღება გაჭიანურდება, თუმცა პირველი ჩანაცვლებები სწორედ რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქში მიმდინარეობს, რომელიც ჩრდილოკავკასიის ყოფილ სამხედრო ოლქს, კასპიის ზღვის ფლოტილიის, შავი ზღვის ფლოტს, სომხეთში გიუმრის სამხედრო ბაზასა და მე-7 (აფხაზეთი) და მე-4 (ცხინვალის რეგიონი) საოკუპაციო ბაზებს აერთიანებს.

სწორედ სამხრეთ სამხედრო ოლქის სარაკეტო ბრიგადის დივიზიონები და საჰაერო ბაზის შვეულმფრენები და მათი მომსახურე პერსონალი როტაციის წესით რამდენიმე თვე მივლინებული არიან საოკუპაციო ბაზებზე.

თუკი სამხრეთ სამხედრო ოლქში Точка-У-ებს მთლიანად ჩაანაცვლებენ „ისკანდერები“, ისინი ოკუპირებულ აფხაზეთშიც და მოგვიანებით ჯავაშიც უთუოდ გამოჩნდებიან.

რა შეიცვლება „ტოჩკების“ „ისკანდერებით“ ჩანაცვლების შემდგომ და გაიზრდება თუ არა საფრთხე საქართველოსთვის?

მარტო ის გარემოება, რომ „ისკანდერის“ ბალისტიკური რაკეტის ფრენის მაქსიმალური სიშორე 500 კმ-მდეა, მაშინ როდესაც „ტოჩკა-უ“-ს მხოლოდ 120 კმ, ადვილი მისახვედრია, რომ გალის რაიონიდან გაშვებულ „ისკანდერს“ საქართველოს ნებისმიერ კუთხემდე მიღწევა შეუძლია.

თუმცა „ისკანდერს“ ეს მაშინაც შეეძლო, თუკი ჩრდილო კავკასიიდან გამოუშვებდნენ, როგორც ეს აგვისტოს ომის დროს მოხდა.

ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში „ისკანდერების“ შესაძლო ჩატანის შემდეგ საქართველოს გარდა სარაკეტო თავდასხმის საფრთხე უპირველესად NATO-ს წევრ თურქეთს დაემუქრება, რადგან გალის რაიონის ქვედა ზონიდან გაშვებულ რუსულ „ისკანდერს“ 500 კმ სიშორეზე თურქეთის ცენტრალურ რაიონებამდე მიღწევა შეუძლია...

„ღამის მონადირეების“ — Ми-28H-ების გამოჩენა გალის რაიონში და განსაკუთრებით კი ჯავის ან სულაც ახალგორის მიდამოებში უშუალოდ დაემუქრება საქართველოს, რადგან ამ რუსულ საბრძოლო შვეულმფრენებს შედარებით თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურის გამოყენებით 200-250 კმ რადიუსში შეუძლიათ წერტილოვანი საჰაერო დარტყმის მიყენება, მათ შორის რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში და რაც მთავარია, ღამით.

ძალიან დაბალ სიმაღლეზე მფრენი „ღამის მონადირის“ აღმოჩენა ქართული რადიოლოკატორებით ძალზე ძნელი იქნება, ხოლო თუკი საბრძოლო გაფრენა ღამით შესრულდა, მაშინ ვიზუალურადაც გაჭირდება მათი იდენტიფიკაცია, რაც პილოტებს საშუალებას მისცემს დაუბრკოლებლად მიფრინდნენ საქართველოს ძირითად სტრატეგიულ ობიექტებამდე, მათ შორის სამხედრო ბაზებამდე, რადიოლოკატორებამდე და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების პოზიციებამდე.

**P.S.** ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ რუსეთში 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს პრემიერ-მინისტრი პუტინი და ალბათ გაიმარჯვებს კიდეც.

თუკი მხედველობაში მივიღებთ პუტინის დიდ „სიყვარულს“ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისადმი, ძალზე დიდია ალბათობა, რომ განახლდეს საბრძოლო მოქმედებები ოკუპირებული რეგიონების ახლოს და სავარაუდოდ, რუსეთის გენერალიტეტი წინასწარ აძლიერებს სამხედრო ბაზების შეიარაღებას საოკუპაციო სამხედრო ბაზებზე.

***ირაკლი ალადაშვილი***

# ერევანი-ბაქო: აღლუმების „ომი“



## აღლუმებზე გამოტანილი ახალი საიარაღო სისტემებით ერევანი და ბაქო ერთმანეთის დაშინების ცდილობენ

26 ივნისსა და 21 სექტემბერს ორი საინტერესო მოვლენა მოხდა, რომლებმაც ან უნდა დააჩქარონ, ან პირიქით, დროებით შეაჩერონ საბრძოლო მოქმედებების განახლება ჩვენს მეზობლებს — აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის.

26 ივნისს — ბაქოს ცენტრში, ხოლო 21 სექტემბერს კი ერევანში აღლუმები გაიმართა, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ წინა წლების ანალოგიური სანახაობებისგან, რადგან ამ ქვეყნებმა, რომლებიც ერთმანეთთან „ცივი ომის“ მდგომარეობაში იმყოფებიან, სახალხოდ გამოფინეს ბოლო დროს სხვადასხვა ქვეყანაში შეძენილი მძლავრი საბრძოლო სისტემები. ბაქოში ჩატარებული გრანდიოზული აღლუმის შესახებ „არსენალის“ 8 ივლისის ნომერში დაწვრილებით ვწერდით და ამიტომაც მასზე აღარ შევჩერდებით, თუმცა მკითხველს გავახსენებთ, რომ აღლუმზე აზერბაიჯანის არმიამ გამოიტანა შემდეგი მნიშვნელოვანი საბრძოლო სისტემები: საზენიტო-სარაკეტო С-300ПМУ-2 Фаворит-ი, ოპერატიულ-ტაქტიკური Точка-У, ზალპური ცეცხლის Смерч-ი და ისრაელის წარმოების უპილოტო და სადაზვერვო თვითმფრინავები.



სომხეთის არმია ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს დიდ ყურადღებას უთმობს

ბაქოში ჩატარებულ აღლუმს, ბუნებრივია, დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ სომხეთიდან და მათ ჰქონდათ სამი თვე, რომ ერევნის აღლუმით თავის მხრივ აზერბაიჯანელები დაეფიქრებინათ.

21 სექტემბერს ერევანში ჩატარე-

ბულ აღლუმზე 20 წლის სომხეთის არმიამ თავისი ძირითადი შეიარაღების დემონსტრაცია მოახდინა.

აღლუმი ტრადიციულად გახსნეს ქვეითმა დანაყოფებმა, რომლებიც ახალ კამუფლირებულ ფორმაში იყვნენ გამოწყობილი, რის შემდეგაც დაირღვა აღლუმების ტრადიციული მიმდინარეობა და ერევნის თავზე სამხედრო ავიაცია გამოჩნდა. არადა, როგორც წესი, ავიაცია სახმელეთო აღლუმზე ჩავლილი ბოლო საბრძოლო ტექნიკის შემდეგ გამოჩნდებოდა ხოლმე.

თავდაპირველად ჩაიფრინა სომხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების 6-მა მოიერიშე Су-25-მა, რომელთაც 5 ასეთივე მოიერიშე მიჰყვა (რაც იმის ნიშანია, რომ სომხეთის არმიას არანაკლებ 11 მოიერიშე ჰყავს მწყობრში, სულ კი მათი რაოდენობა 15-ს უნდა აღწევდეს).

მოიერიშეებს ხუთი L-39 „ალბატროსის“ ტიპის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი მიჰყვა. „ალბატროსების“ შემდეგ ცაში შვეულმფრენები გამოჩნდნენ: ჯერ 5-მა საბრძოლო Ми-24-მა გადაუფრინა ერევნის მთავარ მოედანს, მათ 6 სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 მიჰყვა, რომლებსაც გვერდით ორი Ми-24 მიაცილებდა, შემდეგ ცაში სამი Ми-8 გამოჩნდა, ხოლო საჰაერო აღლუმი 5-მა მსუბუქმა Ми-2-მა დაამთავრა.

საჰაერო აღლუმის შემდეგ მოედანზე მძიმე საბრძოლო ტექნიკა გამოჩნდა.

ქართული და აზერბაიჯანული აღლუმების მსგავსად, ერევანშიც სახმელეთო ტექნიკიდან ჯერ შეიარაღებული პიკაპები ჩაატარეს, როგორც იაპონური, ისე რუსული „უაზის“ ტიპის, რომლებზეც ტყვიამფრქვევები იყო დამონტაჟებული.



ერევნის მტკიცებით უპილოტო „კრუნკი“ (ქართულად წერო) სომხეთშია წარმოებული

პიკაპებს უკან რუსული წარმოების ჯავშანმანქანები Тигр-ები და БТР-80 ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები მიჰყვა.

მუხლუხებიანი მძიმე საბრძოლო ტექნიკის ჩვენება სომეხმა გენერლებმა და ერევნის მერიამ ორიგინალურად გადაწყვიტეს: ტანკები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები მძიმეწონიანი ლაფეტებით ჩაატარეს აღლუმზე და არც ახალდაგებული ასფალტი გაუფუჭებიათ.

ის, რომ სომხეთის არმიის მეთაურობა დიდ ყურადღებას უთმობს ტანკსაწინაალმდეგო თავდაცვას, აღლუმზეც გამოჩნდა, — ნაჩვენები იქნა თვითმავალი ტანკსაწინაალმდეგო საშუალებები მუხლუხებიანი 9П149 (მუხლუხებიანი ჯავშანგამწევი МТ-ЛБ-ე Штурм-С -ის ტიპის ტანკსაწინაალმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსით) და ბორბლებიანი 9П148 (სადაზვერვო БРДМ-2 დამონტაჟებული Конкур-ის ტიპის ტანკსაწინაალმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსით).

აღლუმზე ლაფეტებით გაატარეს 122 მმ-იანი და 152 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარები 2С1 Гвоздика და 2С3 Акация, ასევე ბუქსირებადი ქვემეხები და ჰაუბიცები. მოულოდნელი არ ყოფილა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების БМ-21 Град-ისა და ჩინური წარმოების WM-80 „ტაიფუნის“ გამოჩენაც, რადგან ჩინური „ტაიფუნები“ სომხეთმა ათ წელზე მეტია, რაც შეიძინა.

სამაგიეროდ, 2011 წლის აღლუმის სიახლეებს შეიძლება მივაკუთვნოთ უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავები „კრუნკები“, რომლებიც ოფიციალური ერევნის მტკიცებით სომხური წარმოებისაა და თუმცა მათ ფორმებში ნათლად ჩანს ისრაელის უპილოტოების გავლენა.

С-300ПМ ტიპის საზენიტო-სარა-

ასფალტი რომ არ დაეზიანებინათ, მუხლუხებიანი მძიმე საბრძოლო ტექნიკა ასეთი ორიგინალური მეთოდით ჩაატარეს



ეროვნული ბიბლიოთეკა



მოძველებული „სკადებით“ ერევანი უშუალოდ ბაქოს ემუქრება...

კეტო სისტემა პირველად გამოჩნდა სახალხოდ ერევნის ცენტრში, თუმცა 2010 წლის ზაფხულში „არსენალი“ თავის ექსკლუზიურ სტატიაში წერდა, რომ საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით Ан-124 „რუსლანის“ ტიპის მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავებით რუსეთიდან ერევნის აეროპორტ „ზვარტნოცში“ რამდენიმე რეისით სწორედ С-300ПМ-ის დივიზიონი გადაისროლეს, რვა თვითმავალი სარაკეტო დანადგარის, მართვის პუნქტის, გასაშლელი ანტენისა და სხვა დამხმარე აგრეგატების შემადგენლობით. ტანკებისა არ იყოს, სომხეთის ხელისუფლება აზერბაიჯანის საბრძოლო ავიაციისგან მომდინარე საფრთხესაც ათვითცნობიერებს და საჰაერო თავდაცვის გაძლიერებას დიდ ყურადღებას უთმობს. აღლუმზე Оса-АКМ ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების გარდა, С-125 და Круг-ის ტიპის საზენიტო რაკეტებიც ჩაატარეს.

ცოტა უცნაურია, რომ თითქმის ნახევარსაუკუნოვანი Круг-ები კვლავ არის სომხეთის საჰაერო თავდაცვის სისტემაში.

თავდაცვითი დანიშნულების შეიარაღების გარდა სომხეთის არმიამ აღლუმზე პირველად გამოიტანა შორ მანძილზე თავდასხმის ორი სარაკეტო სისტემა — ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების 9К72 Эльбрус და Точка-У.

„ტოჩკა-უ“ რომ სომხეთის არმიის შეიარაღებაშიც ყოფილა, ეს ნამდვილად არასასიამოვნო სიახლე გახდებოდა ოფიციალური ბაქოსთვის, რადგან მანამდე აზერბაიჯანის არმია სწორედ საკუთარი „ტოჩკებით“ ამაყობდა. სარაკეტო „იალბუზის“ ჩვენება კი შეიძლება სომხურ სამხედრო ეშმაკობასთან იყოს დაკავშირებული.

საქმე ის არის, რომ Точка-У-ისგან განსხვავებით, რომლის რაკეტა მაქსიმალურ 120 კმ-ზე აღწევს, 9К72 Эльбрус-ის (რომელსაც NATO-ს კლასიფიკაციით Scud-B-ს ეძახიან) რაკეტის ფრენის მაქსიმალური მანძილი 300კ მ-მდეა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას სომხეთის ტერიტორიიდანაც შეუძლია ბაქომდე მიღწევა — მისი აღლუმზე ჩვენებით სომხებმა აზერბაიჯანელებს ერთგვარი მესიჯი გაუგზავნეს, მაგრამ რამდენად ბრძოლისუნარიანია სომხური „იალბუზები“, რომელთა წლოვანება ოთხ ათეულ წელს აღწევს?

საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში ოთხი სარაკეტო ბრიგადა იყო განთავსებული, მათგან თითოთითო აზერბაიჯანსა (პერეკიშკიულის 136-ე სარაკეტო ბრიგადა) და სომხეთში (176-ე სარაკეტო ბრიგად) და ორიც საქართველოში (90-ე შაუმიანში და 119-ე გომბორში).

ამ სარაკეტო ბრიგადების ძირითად შეიარაღებას სწორედ 9К72 Эльбрус-ის ტიპის სარაკეტო დანადგარები წარმოადგენდა. აზერბაიჯანში 12 ასეთი სარაკეტო გამშვები დანადგარი იყო, სომხეთში — 12, ხოლო საქართველოში კი — 36 (18-18-ი გომბორსა და შაუმიანში).

5,8 ტონა მასის ბალისტიკურ რაკეტას ბირთვული ქობინიც უყენდება და სამხრეთ კავკასიიდან მაქსიმალურ 300 კმ-ში შეეძლო ბირთვული დარტყმა მიეყენებინა ირანისა და თურქეთის სტრატეგიული ობიექტებისთვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოდან და აზერბაიჯანიდან მოსკოვმა სარაკეტო „იალბუზები“ გაიტანა, 12 დანადგარი კი სომხეთის არმიას დაუტოვა.

„იალბუზის“ საბრძოლო გამოყენება პრობლემებთანაა დაკავშირებული — მისი რაკეტის მიზანში მოხვედრის სიზუსტე არადამაკმაყოფილებელია (იგი მიზანს შეიძლება 2-3 კმ-ითაც კი ასცდეს, თუმცა ბირთვული ქობინის გამოყენების შემთხვევაში ამხელა აცილებაც კი მისაღებია), თანაც რაკეტის ექსპლუატაცია სახიფათოა, რადგან მის თხევად საწვავზე მომუშავე სარაკეტო ძრავის დამჟანგველად ძლიერტოქსიკური დამჟანგველი „მელანჟი“ სჭირდება, რომლის 70%-ს კონცენტრირებული აზოტმჟავა შეადგენს. რაკეტის საწვავით გაწყობის დროს არაერთხელ დაღვრილა აზოტმჟავა და ადამიანები დაშავებულან.

„მელანჟის“ დამზადება და შენახვა დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოსკოვის მიერ ზუსტად 20 წლის წინ სომხეთის არმიისთვის გადაცემული „იალბუზები“ მიუხედავად ახალ კამუფლირებულ ფერებში გადაღებვისა, საბრძოლო მდგომარეობაში არ არიან და ერევნის ცენტრში მათი დემონსტრაცია უფრო ფსიქოლოგიური შეტევა გახლდათ ოფიციალური ბაქოს დასაშინებლად.

21 სექტემბერს ერევანში ნაჩვენებ სამხედრო ტექნიკაზე ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ იმ დღეს უფრო მნიშვნელოვანი რამეც დაფიქსირდა ერევნის ცენტრში, რომელიც ნებისმიერ „ტოჩკასა“ თუ „იალბუზს“ გადაწონის.

**აღლუმზე სომხეთის შეიარაღებული ძალების გარდა, მოედანზე თვითაღიარებული მთიანი ყარაბაღის სამხედროებმაც ჩაიარეს, რაც მოსალოდნელი გახლდათ, თუმცა იმავე საზეიმო მწყობრში რუსეთის გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზის წარმომადგენლების ჩავლა მრავლისმეტყველი აღმოჩნდა — მომავალ, შესაძლო ომში სომხეთის არმიის გვერდით თვითაღიარებული მთიანი ყარაბაღის გარდა რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზაც და შესაბამისად, მთელი რუსეთიც იბრძოლებს.**

*ირაკლი ალადაშვილი*

# პუტინის მოწონებული ტანკი მისმა გენერალმა დაიწუნა



რუსეთის ქალაქმა ნიჟნი-ტაგილმა შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მასალების მე-8 საერთაშორისო გამოფენას RUSSIAN EXPO ARMS – 2011-ს უმასპინძლა.

ნიჟნი-ტაგილი ურალში მდებარეობს და რუსეთის ეს მხარე იარაღის წარმოების ერთ-ერთ მსხვილ ცენტრად ითვლება.

გამოფენაზე წარმოდგენილი შეიარაღების მთელი გამიდან აქცენტი სახმელეთო ჯარების შეიარაღებაზე – მძიმე და მსუბუქ ჯავშანტექნიკაზე, არტილერიაზე, საჰაერო თავდაცვის მობილურ კომპლექსებზე, ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტებზე, საინჟინრო ტექნიკაზე, ცეცხლსასროლ იარაღზე, ავტომობილებზე, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე, კავშირისა და მართვის აპარატურაზე იყო გაკეთებული.

გამოფენა რუსული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიღწევათა რეკლამირებას ემსახურება, ამიტომაც ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ამ სფეროში მომუშავე კომპანიებსა და ფირმებს ჰქონდათ დაკავებული.

თუმცა ნელ-ნელა ინტერესს მსოფლიოს სხვა ქვეყნებიც იჩენენ. ამჯერად თავიანთი პროდუქცია საფრანგეთის, იტალიის, შვეციის, თურქეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ყაზახეთის 20-მა ფირმამ წარმოადგინა.

დიდია რუსული წარმოების სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების ჩამონათვალი: მედესანტეთა საბრძოლო მანქანა БМД-4М, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება Тигр-М, ახალი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-82А, მოდულის კონსტრუქციის დაცული ავტომობილები Волк II/III, ტანკის მხარდამჭერი საბრძოლო მანქანა (БМПТ) მეტსახელად Терминатор-ი, დაჯავშნული საევაკუაციო მანქანა (БРЭМ), ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-3, საჰაერო თავდაცვის კომპლექსები Бук-М2Э და Тунгуска-М1, სნაიპერული შაშხანები, საარტილერიო სისტემები, „ურალისა“ და „კამაზის“ ფირმების სხვადასხვა დანიშნულების მაღალი გამავლობის სატვირთო დაჯავშნულ-დაუჯავშნავი ავტომობილები, სნაიპერული შაშხანები და მრავალი სხვა.

ტანკის მხარდამჭერი საბრძოლო მანქანა Терминатор-ი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველაზე მეტ ინტერესს იდუმალებით მოსილი ბოლო მოდელის რუსული ტანკი T-90C იწვევდა.

მიმდინარე წლის მარტში სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრ პოსტნიკოვმა საკმაოდ მწვავე განცხადება გააკეთა: „ჩვენი ჯავშანტექნიკის, არტილერიისა და ცეცხლსასროლი იარაღის ნიმუშები პარამეტრებით NATO-სა და ჩინურ ანალოგებს არ შეესაბამება“.

გენერალმა მაგალითად T-90 მოიყვანა და აღნიშნა, რომ ის T-72-ის მე-17 მოდიფიკაციაა და ამ დროს მისი ღირებულება 118 მლნ რუბლია და მრავლისმთქმელად დასძინა, „ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია ამ თანხით გერმანული 3 „ლეოპარდის“ ყიდვა“.



T-90C-ს დისტანციურად მართვადი მოდული

ასე შეაფასა გენერალმა პოსტნიკოვმა საკუთარი ქვეყნის ტანკმშენებლობის ბოლო მიღწევა.

მიუხედავად ამისა, ნიჟნი-ტაგილში მყოფმა პრემიერმა ვლადიმირ პუტინმა, ალბათ, ყველაზე მეტი დრო კომპანია „ურალვაგონზავოდის“ სტენდსა და T-90-ს დაუთმო.

ტანკები ჯერ საბჭოთა და ახლა რუსეთის სახმელეთო ჯარების სიძლიერის სიმბოლოა და ძალის დემონსტრირების საუკეთესო საშუალებად ითვლება.

ტანკმშენებლობის გამოცოცხლების სურვილი დიდია და ამისათვის T-90-ს ყოველწლიურად ახალ-ახალ ელემენტებს უმატებენ.

პრემიერმა ტანკი ჯერ გარედან დაათვალიერა, ხოლო შემდეგ შიგნით განთავსებულ მოწყობილობებსა და აპარატურას გაეცნო. თან მთავარი კონსტრუქტორის განმარტებებს ისმენდა.

T-90C-ს წინა მოდელთან შედარებით ძრავის სიმძლავრე მოემატა და ჯავშანდაცვაც გაუძლიერდა, რასაც ჩვეულებრივი ჯავშანდაცვის სისტემასთან ერთად ელექტრომაგნიტური დაცვა უზრუნველყოფს.

მთავარ ღირსებად კი ქვემეხის ლულიდან ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით 5 კმ-ზე ზუსტი სროლა დასახელდა, თუმც ამაში ახალი არაფერია.

მსგავსი სისტემა საბჭოთა კავშირში 1976 წელს გამოიცადა და მას თავისი სუსტი მხარეები აქვს — ქვემეხის კალიბრი ზღუდავს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის ჯავშანშეღწევადობის ამაღლების შესაძლებლობას. გარდა ამისა, დასავლეთის ქვეყნებში შეიქმნა აქტიური თავდაცვის ელექტრონული საშუალებები, რომლებიც რაკეტების გამოყენებას ზღუდავს.

ახალ ტანკში მძღოლ-მექანიკოსს გაუმჯობესებული სამუშაო პირობები აქვს, სამართავი შტურვალი და ავტომატურ გადაცემათა კოლოფი ხელით გადართვაზე გადაყვანის შესაძლებლობით რუსული ტანკმშენებლობის სიახლეა.

ტანკზე დაყენებულია ღამის ხედვის ხელსაწყოები, უკანა ხედვის კამერა, კავშირისა და ნავიგაციის თანამედროვე სისტემები, კონდიციონერი, წრიული დაკვირვების სისტემა, ლაზერული მანძილმზომი სამიზნეები და სხვ.

T-90C ტრამპლინიდან ხტება, მაღალ სიჩქარეს ავითარებს, ცეცხლის არ ეშინია, აქვს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებისგან დაცვის ათასნაირი საშუალება, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ინდოელი და ალჟირელი სამხედროების ყურადღება დაიმსახურა.

საკუთარი ქვეყნის თავდაცვის უწყების ჩინოვნიკთა გულის მოგებას ვერ ახერხებს და ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ძრავა იყოს, რომელიც სათავეს ისტორიული T-34-დან იღებს და დღემდე მისი გაუმჯობესება გრძელდება.

სამხედროები ერთადერთ გამოსავალს გერმანული დიზელის ძრავების ლიცენზიურ წარმოებაში ხედავენ.

ტანკის მხარდამჭერი საბრძოლო მანქანა „ტერმინატორის“ დანიშნულებაა ტანკის თანხლება-დაცვა მოწინააღმდეგის ქვეითების, ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანებისა და სხვა სახის ჯავშანტექნიკისგან.

საერთაშორისო გამოფენებზე მრავალგზის მონაწილეობისა და დიდი რეკლამის მიუხედავად, თავდაცვითი უწყება „ტერმინატორის“ მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს არ ამჟღავნებს.

ჯერჯერობით 3 „ტერმინატორია“ გაყიდული და ისინიც ყაზახეთის არმიის ძლიერებას ემსახურებიან.

რუსეთის პრემიერის ყურადღება ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსმა ხრიზანტემა-5-მა დაიმსახურა და არცთუ შემთხვევით. კომპლექსის პირველი მყიდველი ლიბიის ექსდიქტატორი მუამარ კადაფი აღმოჩნდა. რევოლუციამ-



რუსული დაჯავშნული ავტომობილი Тигр-ი

და სამი „ხრიზანტემის“ გაგზავნაც მოესწრო, თუმცა ტექნიკის ამჟამინდელი მდგომარეობა უცნობია.

პირველად გამოფინეს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Бук-М2Э, რომლის დანიშნულებაა ინტენსიური რადიოელექტრონული და საცეცხლე ზემოქმედების პირობებში სტრატეგიულ და ტაქტიკურ ავიაციასთან, შეუელმფრენებთან, ფრთოსან რაკეტებსა და სხვა საფრენ აპარატებთან ბრძოლაა. შეუძლია ერთდროულად 24 საჰაერო სამიზნეს ებრძოლოს როგორც ავტონომიურად, ასევე საჰაერო-თავდაცვის სხვა საშუალებებთან ერთად.

საჰაერო თავდაცვის კიდევ ერთმა საქვემეხო-სარაკეტო კომპლექსმა Тунгуска-М1-მა მოტომსროლელი და ჯავშანსატანკო ქვედანაყოფები მარშისა და ყველა სახეობის ბრძოლის დროს ტაქტიკური ავიაციისა და საცეცხლე მხარდაჭერის შვეულმფრენებისგან უნდა დაიცვას.

კომპლექსს შეუძლია საჰაერო, სახმელეთო და წყალზედა სამიზნეების ძებნა, აღმოჩენა, დაჭერა, თანხლება და განადგურება.

პრემიერი გაეცნო იტალიური კომპანია IVECO-ს ჯავშანავტომობილებსაც. რუსეთმა იტალიელებისგან LMV M65 ტიპის დაჯავშნული ავტომობილების წარმოების ლიცენზია იყიდა და ქალაქ ვორონეჟის ერთ-ერთი ქარხანა ასეთ ავტომობილებს Рысь-ის სახელით ამზადებს. 2020 წლამდე 2 ათასი იტალიური დაჯავშნული ავტომობილი უნდა დამზადდეს.

იტალიურ-რუსული „რისი“ სამამულო „ტიგრის“ პირდაპირი კონკურენტია, რომელიც ასევე იყო წარმოდგენილი გამოფენაზე.

სხვა ექსპონატებიდან გამოსაყოფია:

სპეცოპერაციებისთვის განკუთვნილი 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნი 2Б25 (ისვრის 1200 მ-ზე, იწონის 13 კგ-ს და წუთში 15 გასროლის გაკეთება შეიძლება), რომელიც სროლის დროს ხმას არ გამოსცემს, ალსა და კვამლს არ გამოყოფს.

მოწინააღმდეგისთვის მეტი დაზიანებების მისაყენებლად ნაღმი ბურთულებით არის დატენილი.

ახალი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-82А შექმნილია БТР-80-ის საფუძველზე და მისი საბრძოლო მოდული (30 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი) ორსიბრტყიანი სტაბილიზატორით არის აღჭურვილი.

152 მმ-იან თვითმავალ საარტილერიო დანადგარს Мста-С-ს აქვს სპეციალური საფარი, რომელსაც „ნაკიდკა“ ჰქვია. ავტორთა აზრით, „ნაკიდკა“ ჰაუბიცის ელექტრომაგნიტურ და ინფრაწითელ გამოსხივებას ფონის დონეზე ინარჩუნებს.

გამოფენაზე ასევე იყო წარმოდგენილი Т-72 ტიპის ტანკისა და 122 მმ-იანი ბუქსირებადი ჰაუბიცა Д-30-ის მოდერნიზებული ვერსიები და მრავალი ახალი თუ მოდერნიზებული შეიარაღების ნიმუში.

**თემურ ჩაჩანიძე**




იტალიურ-რუსული ჯავშანავტომობილი Рысь-ი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ავღანეთის სამშვიდობო ოპერაცია — კოალიციური ჯარების გამოყენების კლასიკური მაგალითია

სამხედრო თეორიაში მრავალეროვნული ოპერაციების ათვლა 1900 წლიდან იწყება:

1900 წელს „ბოქსიორთა აჯანყება“ ჩინეთში. საერთაშორისო სამაშველო ძალები;

1918 წ. პირველი მსოფლიო ომი. ალიანსის ძალები საფრანგეთში;

1918 წ. ალიანსის საინტერვენციო ძალები მურმანსკში, საბჭოთა რუსეთში;

1942 წ. ალიანსის სამხედრო ოპერაციები მეორე მსოფლიო ომში:

1948 წ. გაერთიანებული ერების სადამკვირვებლო მისია პალესტინაში;

1949 წ. გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი ინდოეთსა და პაკისტანში;

1950 წ. ალიანსის ოპერაცია კორეის ომის დროს;

# მრავალეროვნული ოპერაციები

*„ის, ვისაც ჰყავს ძლიერი ჯარი, ადვილად იპოვის ძლიერ მოკავშირესაც“.*

*ნიკოლო მაკიაველი*

ავღანეთის სამხედრო კამპანიამ და უკანასკნელმა მოვლენებმა ლიბიაში ცხადყო მრავალეროვნულ სამხედრო მოქმედებათა როგორც ეფექტურობა, ასევე სირთულე.

მრავალეროვნული ოპერაცია შეიძლება შეიცავდეს საბრძოლო მოქმედებებს და წარმოებდეს როგორც ომის, ასევე არასაომარი სამხედრო ოპერაციების ჩატარების პერიოდში.

საომარი მოქმედებები მრავალეროვნული ოპერაციების ექსტრემალური შემთხვევაა და მისი მიზანია დასახული ამოცანების მაქსიმალურად მოკლე დროსა და მცირე დანაკარგით შესრულება.

თავის მხრივ, არასაომარი სამხედრო ოპერაციები ფოკუსირებულია ომის თავიდან აცილებაზე, კონფლიქტების დარეგულირებაზე, მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაზე, სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერაზე.

**კოალიცია — არის ორი ან მეტი ქვეყნის მიერ დროებითი შეთანხმებით ჩამოყალიბებული გაერთიანება კონკრეტული მიზნების მისაღწევად.** ეროვნული სიამაყისა და პრესტიჟის გრძნობა შესაძლებელია გახდეს კოალიციის სამეთაურო სტრუქტურის შემზღუდავი ფაქტორი. კერძოდ, ბევრი სახელმწიფო ამჯობინებს თავისი ძალები არ დაუქვემდებაროს სხვას. კოალიციის მიზნები და ამოცანები დროგამოშვებით ცვლილებებს განიცდის.

**ალიანსი — არის ორ ან მეტ სახელმწიფოს (სუბიექტს) შორის ფორმალური შეთანხმებით ჩამოყალიბებული გაერთიანება ფართო და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, რომელიც თითოეულის ინტერესებს ემთხვევა.** ჩვეულებრივ, ალიანსის სამეთაურო სტრუქტურა შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ყალიბდება.

**კომბინირებული ოპერაციები — არის ალიანსის წევრი ორი ან მეტი სახელმწიფოს ერთობლივი მოქმედება ერთიანი მიზნის მისაღწევად** (ოპერაცია ერაყში, ავღანეთში). ეს ტერმინი ბოლო დროს დამკვიდრდა და ამ სტატიაში მის მაგივრად ვიხმართ „მრავალეროვნულ ოპერაციებს“, რითაც თავიდან ავიცილებთ არაპროფესიონალი მკითხველის დაბნევას.

**გაერთიანებული ოპერაცია — გულისხმობს ერთი სახელმწიფოს გაერთიანებული ძალების (საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და ა.შ.) ან სხვადასხვა სამსახურის ერთობლივი ქმედებებით ჩატარებულ სამხედრო ოპერაციას** (მაგ. აშშ-ის ოპერაცია პანამაში).

ვერავინ იტყვის, რომ ჯვაროსნული ლაშქრობები ან დიდგორს მომდგარი მტრის ურდოები არ არის მრავალეროვნული საომარი მოქმედებების მაგალითი, თუმცა თანამედროვე გაგებით,

1962 წ. გაეროს უსაფრთხოების ძალები დასავლეთ ახალ გვინეაში;

1965 წ. შიდაამერიკული სამშვიდობო ძალები დომინიკის რესპუბლიკაში;

1982 წ. მრავალეროვნული ძალები ბოსნიაში;

1982 წ. მრავალეროვნული ძალები და დამკვირვებლები სინაიზე;

1991 წ. „უდაბნოს ქარიშხალი“. კოალიციის ძალები სპარსეთის ყურეში;

1991-1996 წწ. ოპერაცია „კომფორტის უზრუნველყოფა“;

1992 წ. გაეროს უსაფრთხოების ძალები ყოფილ იუგოსლავიაში;

1993 წ. გაეროს ოპერაცია სომალიში;

1994 წ. მრავალეროვნული ძალები და გაეროს მისია ჰაიტიზე;

1995 წ. NATO-ს ძალისხმევა ბოსნიაში;

1999 წ. NATO-ს ოპერაცია კოსოვოში;

2001 წ.-დან დღემდე, მრავალეროვნული ოპერაცია ავღანეთში;

2011 წ.-დან დღემდე NATO-ს კამპანია ლიბიაში;

მრავალეროვნული სამხედრო ოპერაციები იგეგმება ეროვნული და საერთაშორისო კომუნიკაციის არხებით. კოლექტიური მიზნები, მოქმედებათა ოპერატიული გეგმები ინდივიდუალური შეთანხმებებისა თუ სამოკავშირეო პროცედურების შესაბამისად მზადდება. მრავალეროვნული ოპერაციებისთვის საჭირო ინფორმაცია და მითითებები კონცეპტუალურ დონეზე

მაინც, მისაღები უნდა იყოს ალიანსისა და კოალიციის წევრებისთვის. ოპერაციის (კამპანიის) მომზადების კრიტიკული ამოცანაა მისიის ანალიზი და ამოცანების ზუსტი განსაზღვრა, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პოლიტიკური და სამხედრო ასპექტები (შესაძლებლობები, ინტეგრაცია, გამოყენება);
- დაზვერვა და საინფორმაციო უზრუნველყოფა (დაგეგმვა, კომუნიკაციისა და პროცესინგის არქიტექტურა, კოორდინაცია, გეოსივრცობრივი ინფორმაცია და მომსახურება);
- ლოგისტიკა და „მასპინძელი" ქვეყნის მხარდაჭერა;
- ენა, კულტურა, სუვერენიტეტი;
- სამედიცინო მხარდაჭერა;
- დასრულება და ტრანზიტული ფაზა;
- კომუნიკაცია;
- ძალების დაცვა;
- საერთაშორისო სამართალი და ომის კანონები;
- საზღვაო კანონები;
- ბრძოლის წარმოების წესები;
- დოქტრინა, წვრთნა, რესურსები;
- მედია;
- რელიგიური მხარდაჭერა;
- მეტეოროლოგია და ოკეანოგრაფია;
- გეოგრაფიული მახასიათებლები;
- გარემოს დაცვის საკითხები;

არ არსებობს მართვის უნივერსალური სტრუქტურა, რომელიც საუკეთესოდ მოერგება ალიანსისა თუ კოალიციების ყველა საჭიროებას. თითოეული კოალიცია ან ალიანსი თავად უნდა ქმნიდეს ისეთ მოდელს, სადაც გათვალისწინებულია მონაწილე ქვეყნების კონკრეტული მოთხოვნები, პოლიტიკური რეალიები, შეზღუდვები და მიზნები. ამ დროს ხდება საბოლოო შეთანხმება სახელმწიფოების ინტერესებსა და შესაძლებლობებს შორის. სახელმწიფოს სამხედრო შესაძლებლობაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- ეროვნული ინტერესები;
- მიზნები;
- შეიარაღების კონტროლით გათვალისწინებული ლიმიტები;
- დოქტრინა;
- საორგანიზაციო სტრუქტურა;
- წვრთნა;
- მეთაურთა მომზადების დონე;
- აღჭურვილობა;
- ისტორია;
- თავდაცვის ბიუჯეტი;
- ადგილობრივი პოლიტიკური წრეები.

ყოველი შეთანხმებისა თუ ალიანსის მხარდაჭერისთვის, სტრატეგიული ინტეგრირების საწყის ეტაპზე სტრატეგიისა და მიზნების განსაზღვრისთვის, დაგეგმვისა და აღსრულების მიზნით ორმხრივი ან მრავალმხრივი იერარქიული ორგანოები იქმნება.

ეს ორგანოები ძირითადად იმეორებენ დასავლური ეროვნული უსაფრთხოების ორგანიზაციის მოდელს. იმავდროულად, უმაღლესი ეროვნული ავტორიტეტები და სხვა უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო პირები უშუალოდ მონაწილეობენ ალიანსებსა და ხელშეკრულებების შესაბამის ორგანოებში.

უშუალოდ გაერთიანებული ოპერაციების (კამპანიების) დაგეგმვა ოპერატიული დონის სარდლობებში და წარმოადგენს ალიანსის ან კოალიციის სამხედრო გეგმების ე.წ. საომარი მოქმედებათა (ოპერაციების) თეატრში ინტეგრირებას. ეროვნული ავტორიტეტი და უმაღლესი სამხედრო ორგანო აძლევს მითითებებს ორმხრივი ან მრავალმხრივი დაგეგმვისთვის.

**ალიანსებისთვის დამახასიათებელია შემდეგი სამეთაურო სტრუქტურის ტიპები: ინტეგრირებული და წინამძღოლი (ლიდერი) ქვეყნით.**

**ინტეგრირებული — უზრუნველყოფს მრავალეროვნული ძალების ძალისხმევის ერთიანობას.** ამის კარგი მაგალითია NATO, რომლის სტრატეგიულ ხელმძღვანელს წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, ხოლო სტრატეგიული სარდლობის შტაბი და დაქვემდებარებული სარდლობები მრავალეროვნულია.

**სტრუქტურა წინამძღოლი ქვეყნით — წარმოადგენს ორგანიზაციას, სადაც ალიანსის ყველა წევრი სახელმწიფო თავის ძალებს ერთი ქვეყნის კონტროლს უქვემდებარებს.** შესაძლებელია, წინამძღოლი სახელმწიფო ირჩეოდეს როტაციული სისტემით. კარგ მაგალითად გამოდგება NATO-ს ატლანტისა და ხმელთაშუა ზღვის საზღვაო ძალები, რომელსაც წევრები მორიგეობით ყოველ 12 თვეში ერთხელ ხელმძღვანელობენ.

**კოალიციებისთვის ტიპურია მართვის პარალელური და სამეთაურო სტრუქტურა წინამძღოლი (ლიდერი) ქვეყნით.** პარალელური სტრუქტურა წარმოადგენს ცალკეულ სახელმწიფოთა ძალების სარდლებს დაქვემდებარებულ პარალელურ ორგანიზაციას.

იმავდროულად კოალიციის ხელმძღვანელობა ამუშავებს ძალისხმევის ერთიანობის მისაღწევ სისტემას, რაც შესაძლებელია საკოორდინაციო ცენტრების ჩამოყალიბებით (მაგ. ლიბიის კამპანია) მოხერხდეს.

მნიშვნელოვან სამხედრო კამპანიაში ერთიანი ხელმძღვანელობის არარსებობის პირობებში სასურველია, რომ ზემოთ აღნიშნული სტრუქტურის გამოყენება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

შედარებით უკეთეს შედეგს იძლევა ამ ორი ტიპის სტრუქტურათა კომბინირება, რომლის კარგი მაგალითია სპარსეთის ყურესა და ავღანეთში მიმდინარე ომის დროს ჩამოყალიბებული მრავალეროვნული ძალების მართვის სისტემა.

**ვახტანგ კაპანაძე**
**ბრიგადის გენერალი,**
**გენშტაბის ყოფილი უფროსი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**ლიბიის დიქტატორის ჩამოგდებაში გადამწყვეტი სიტყვა კოალიციურმა ავიაციამ თქვა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16-19, 2011)

**დასავლეთის გეგმებში ბაქოს ნავთობსაბადოებზე დივერსიული აქტების ჩატარება იყო დაგეგმილი**

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მოქმედი აგენტ „59“-ის ინფორმაცია ამიერკავკასიის სტრატეგიული ობიექტების დაბომბვისა და იქ დივერსიების მოწყობის შესახებ სხვა წყაროებიდანაც იყო ცნობილი, რასაც შემდეგი საიდუმლო დოკუმენტიც ადასტურებს:

1939 წლის 23 სექტემბერს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ლავრენტი ბერიამ „სრულიად საიდუმლო“ № 4357/ბ მითითება გაუგზავნა აზერბაიჯანის შინსახკომის ხელმძღვანელებს.

„ბაქოს ნავთობსაბადოებზე დივერსიული აქტების გამოვლენისა და თავიდან აცილების მიზნით აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიებების გააქტიურების შესახებ“.

სსრკ-ის შინსახკომის მონაცემებით კავკასიის ემიგრანტულ-კონტრრევოლუციური ორგანიზაციების საზღვარგარეთული ცენტრები საფრანგეთის დაზვერვის მითითებებით ამიერკავკასიაში, უპირველესად კი აზერბაიჯანში ბაქოს ნავთობსაბადოებზე დივერსიული აქტების მოწყობისა და დივერსანტთა გადმოსროლისთვის აქტიურ მუშაობას აწარმოებენ. ამ მიზნით პარიზში დივერსანტებს ამზადებენ, რომლებიც უახლოეს პერიოდში თურქეთისა და ირანის საზღვრებიდან ამიერკავკასიაში უნდა შემოვიდნენ.

ამავე ცნობების თანახმად, საფრანგეთის დაზვერვამ თურქეთის დაზვერვას სსრკ-ში დივერსანტების გადმოსროლისთვის დახმარება სთხოვა. საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ვეიგანი სპეციალური მისიით თურქეთში გაემგზავრა და იქ მოლაპარაკებას აწარმოებდა ამიერკავკასიაში, კერძოდ, აზერბაიჯანში, დივერსიული აქტების ორგანიზების მიზნით.

აზერბაიჯანის სსრ-ის ტერიტორიაზე დივერსანტების შეღწევის აღსაკვეთად და ნავთობსაბადოებსა და „აზნავთობის“ საწარმოებში დივერსიული აქტების თავიდან ასაცილებლად გთავაზობთ შემდეგ ღონისძიებათა ჩატარებას:

აზერბაიჯანის სსრ შინსახკომის აგენტურული ქსელის გაჯანსაღებას ბალასტისა და ორპირებისგან გაწმენდისა და დივერსიული ელემენტების გამოვლენის გააქტიურების გზით.

„აზნავთობის“ ყველა საწარმო აგენტურით უნდა იყოს სავსე...

აგენტურის გადაბირება განახორციელეთ ადრე მიღებულ მითითებათა მიხედვით, კერძოდ კი აგენტის გადაბირება უნდა მოხდეს მხოლოდ მიზნობრივად.

პირადად ჩაუტარეთ ინსტრუქტაჟი ოპერატიული შემადგენლობის ხელმძღვანელებს (განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებების უფროსებს).

შეისწავლეთ ნავთობსაბადოების დაცვის პირადი შემადგენლობა და გაწმინდეთ ანტისაბჭოთა და საეჭვო ელემენტებისგან...

## სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლ. ბერია

მსგავსი შინაარსის მითითებებს აუცილებლად მიიღებდა საქართველოს შინსახკომის ხელმძღვანელი ავქსენტი (ჭიჭიკო) რაფავაც.

სტალინის დავალებით საფრანგეთში მოქმედი საბჭოთა აგენტურა მთლიანად ამ მიმართულებით მუშაობაზე გადაერთო. პარადოქსია, რომ საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე, ანუ 1941 წლის 22 ივნისამდე, სტალინი ინგლის-საფრანგეთისა და გერმანიისგან მოსალოდნელ საფრთხეს თანაბრად განიხილავდა. უფრო მეტიც, მას მიაჩნდა, რომ მანამდე, სანამ გერმანია ინგლისს არ დაამარცხებდა, ჰიტლერი საბჭოთა კავშირზე თავდასხმას და მეორე ფრონტის გახსნას ვერ გაბედავდა. ამიტომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილის ყველა გაფრთხილებას დიდი დიქტატორი პროვოკაციად თვლიდა, რათა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დაპირისპირება გამოეწვია.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩერჩილი მართლაც იყო დაინტერესებული ომში აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის ჩართვით. 1941 წლის დასაწყისისთვის ბათუმის, ფოთის და ბაქოს დაბომბვისთვის საფრანგეთსა და ინგლისს აღარ ეცალათ. თუმცა ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი კოზირი იყო სტალინისთვის. ასე რომ, დიდი პოლიტიკა მართლაც რთული საქმეა. ჩვენ კი „59“-სა და „ომერს“ დავუბრუნდეთ.

„ბერიას დოკუმენტის“ ანალიზის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ აგენტი „ომერი“ მხოლოდ მეკავშირის ფუნქციას ასრულებდა და აგენტ „59“-ის მოპოვებული ინფორმაცია ჩამოიტანა მოსკოვში. აგენტურული ცნობები ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში შექმნილ მდგომარეობასაც ეხებოდა.

„59“-ის ცნობით, საფრანგეთში მყო-

ფი ქართული ემიგრაციის უდიდესი ნაწილი (დაახლოებით 300 კაცი) სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ხოლო 200 კი — სხვა პარტიების (როგორც „ბერიას დოკუმენტშია“ აღნიშნული უპირატესად ფაშისტური ორგანიზაციების) მიმდევრები იყვნენ.

ქართველი მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარეობიდან ნოე ჟორდანიას გადადგომა მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი ყოფილა. ყველაზე მნიშვნელოვან და განსაკუთრებით საიდუმლო საკითხებს ისევ ჟორდანია წყვეტდა, რაშიც საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი სანდრო მენაღარიშვილი და „59“ ეხმარებოდა.

**ჩვენი დოსიე: სანდრო მენაღარიშვილი** — მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი. 1930 წელს, რამიშვილის მკვლელობის შემდეგ, საქართველოს ემიგრანტულ მთავრობაში დაზვერვა-კონტრდაზვერვაზე პასუხისმგებელი პირი. 1935 წლიდან პარიზში მდებარე „კავკასიის კონფედერაციის საბჭოს“ (რომლის თავმჯდომარეც აკაკი ჩხენკელი იყო) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1937 წლიდან კოორდინაციას უწევდა „საქართველოს ეროვნული საბჭოს“ თანამშრომლობას პოლონეთის დაზვერვასთან. გერმანელების მიერ პარიზის ოკუპაციის შემდეგ ლონდონში გაემგზავრა. 1943 წლიდან იყო მიხეილ კედიას („მიშელ კოგლერის“) მუდმივი წარმომადგენელი სტამბოლში და თანამშრომლობდა გერმანიის დაზვერვასთან. ომის ბოლოს მენაღარიშვილს კონტაქტი ჰქონდა პოლონურ და ინგლისურ დაზვერვებთან. ალექსანდრე მენაღარიშვილი 1956 წელს თურქეთში გარდაიცვალა.

„ომერმა“ აცნობა ბერიას, რომ ნოე ჟორდანიამ „59“-ს უფლებამოსილება მისცა სხვადასხვა ქვეყანაში უხელმძღვანელოს მთავრობის (იგულისხმება ემიგრანტული მთავრობა – ბ.ა.) წარმომადგენლებს. კერძოდ, აშშ-ში – დუმბაძეს, იტალიაში – ინგილოვანიცკის, გერმანიაში – იმნაიშვილს, ინგლისში – გუგუშვილს, ირანში – გურკინს, თურქეთში – გოგიტაურიჟღენტს, შვეიცარიაში – შავიშვილს, ბელგიაში – ცაგურიასა და ჩეხეთში – ლომთათიძეს.

იმ დროისათვის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში შექმნილ დაქსაქსულ მდგომარეობას კარგად ახასიათებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია: „ახლა ემიგრაციაში იქაური სენი აქ გადმოვიტანეთ, უფრო და ნაირ-ნაირად ავაყვავილეთ. ვძიძგნეთ ერთმანეთი; თავი არ დავიზოგეთ ერთმანეთის დამცირებაში, ერთმანეთის გაფუჭებაში, ერთმანეთის დაკნინებაში, ერთმანეთის დაბეზღებაში, თავისთავის შერცხვენაში...

...რაღაც ორას ქართველზე ათი სხვადასხვა გამოცემა და თერთმეტი სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფება არსებობს! ვამბობ, ორას ქართველზე-მეთქი, ვინაიდან ამაზე მეტი რიცხვი არასოდეს არ დასწრებია პარიზის ქართველობის კრებას. აღარსად არის ის, რაც უნდა იყოს: საყოველთაო ქართული ეროვნული ემიგრაცია!

ემიგრაციამ თან წამოიღო პარტიულობა, რომელიც ამ უცხოეთში, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, მკვდარ სიმძიმეს წარმოადგენს და სხვა არაფერს. პროცესი უნდა დასრულდეს: 1. ძველი პარტიების გაუქმებით. 2. ერთიანი ეროვნული მოძრაობისა და ორგანიზაციის შექმნით. 3. ერთი ხელმძღვანელი მეთაურობის შედგენით პიროვნული შერჩევის ნიადაგზე“.

თუმცა სპირიდონ კედიას მოწოდება ეროვნული მოძრაობის გაერთიანების შესახებ დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რაშიც დიდი წვლილი ლავრენტი ბერიას მიუძღვის.

## ბერია – 30 წელი ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ

ქართული ემიგრაციის დაქსაქსვას 1922 წლიდან პირადად ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. ეს კარგად უწყოდა სტალინმა და დიდხანს აკვირდებოდა ახალგაზრდა, პენსნეიან ამხანაგ ლავრენტის.

ლავრენტი ბერიამ ათი წელი (1921-31 წწ.) იმუშავა ამიერკავკასიისა და საქართველოს ჩეკა-ოგეპეუს ორგანოებში და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყველა, მათ შორის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ ჩატარებულ სადაზვერვო ოპერაციებს.

ხუთი წელი იყო ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე და ნოე რამიშვილის მკვლელობიდან (1931 წლის 17 აპრილი) სამ თვეში თავმჯდომარედ დანიშნეს.

ეს დამთხვევა შემთხვევითი არაა. ჩვენი აზრით, სტალინმა ბერიას დაუფასა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის მკვლელობის ორგანიზება.

ამ პერიოდიდან ბერიას სტალინი უფრო ყურადღებით ადევნებდა თვალს და ახალგაზრდა ლავრენტიც ცდი-

**ზაფხულობით სტალინი თვეობით მიემგზავრებოდა შავი ზღვის აგარაკებზე (უფრო ხშირად საქართველოში) და ბერიასთან შინაურულ ატმოსფეროში თითქმის ყოველდღიური შეხვედრები ჰქონდა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



სპირიდონ კედიას მოწოდება ეროვნული მოძრაობის გაერთიანების შესახებ დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“

ლობდა „ამხანაგ კობასთვის“ პირადი ერთგულებით ესიამოვნებინა. მოლოტოვი იხსენებს, რომ წლების შემდეგ პოლიტბიუროს ვიწრო წრეში სტალინს უთქვამს: „ბერია იმიტომ მომეწონა, რომ მართალ ინფორმაციას მაწვდიდა ამიერკავკასიის შესახებ“.

ჩვენ კი ის შეგვიძლია დავამატოთ, რომ ამ „მართალმა ინფორმაციამ“ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ბერიას მონდომებამ ნაყოფი მალევე გამოიღო. 1931 წლის 19 აგვისტოს სტალინი, რომელიც შავ ზღვაზე ისვენებდა, მოსკოვში პოლიტბიუროს წევრ ლაზარ კაგანოვიჩს წერილს უგზავნის და ავალებს, რომ საქართველოში სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაჩქარებისთვის საქმეში ჩართონ ამიერკავკასიის ჩეკას თავმჯდომარე ბერია.

ეს იყო ბელადის მიერ ახალგაზრდა ბერიას პარტიულ-სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურების პირველი ეტაპი. იმავე წლის 31 ოქტომბერს მოსკოვში პოლიტბიუროს სხდომაზე ბერია ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად და იმავდროულად საქართველოს ცკ-ს პირველ მდივნად დაამტკიცეს. ამის შემდეგ ლავრენტის შანსი მიეცა უფრო ხშირად შეხვედროდა სტალინს, უპირველესად შავ ზღვაზე დასვენების პერიოდში და ლავრენტი ამ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა.

1932 წლის 13 ივლისს ბერია კაგანოვიჩს აცნობებს: „ორჯერ ვიყავი ამხ. კობასთან და საშუალება მქონდა დაწვრილებითი ინფორმაცია მიმეწოდებინა ჩვენი საქმეების შესახებ“.

1932 წლის 12 აგვისტოს დასასვენებლად მყოფი სტალინი კაგანოვიჩს სწერს: „ბერია კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. კარგი ორგანიზატორი, საქმიანი, იმედისმომცემი მუშაკია... მიუხედავად იმისა, რომ ბერია არ არის ცკ-ს წევრი (ის კანდიდატიც კი არაა), მაინც მოგვიხდება მისი წარდგენა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე“.

1932 წლის 17 ოქტომბერს სტალინმა ბერიას მთელი ამიერკავკასია ჩააბარა და ლავრენტი 1938 წლის 22 აგვისტომდე სამი რესპუბლიკის (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) ბატონ-პატრონი იყო. სწორედ ამ პერიოდზე მოდის სისხლიანი რეპრესიების პიკი. არასრული მონაცემებით, 1932-1938 წლებში საქართველოში 20000 კაცზე მეტი იქნა რეპრესირებული, მათგან ნახევარზე მეტი დახვრიტეს.

ბერიას ხელმძღვანელობით მართლაც რომ სისხლიანი კალო მოუწყო ოგპეუ-ნკვდემ ხალხს. ბერია პირადად ხელმძღვანელობდა რეპრესიებს, რისი დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტი არსებობს. ლავრენტი ბერია არა მარტო განუხრელად ასრულებდა მოსკოვიდან წამოსულ ბრძანებებს, არამედ რეპრესიების „გეგმის“ ზემოთაც აწამებდა და ხვრეტდა ხალხს.

მის ჯალათებს შეეძლოთ ნებისმიერი პიროვნება არაადამიანური წამებით ეიძულებინათ ნებისმიერ დოკუმენტზე მოეწერა ხელი და მათ შორის „ნებაყოფლობით“ თანამშრომლობაზე. მიეცა ოპერატიული ფსევდონიმი და საქმეში ჩაეკრა ამ ვითომდა აგენტისაგან დაწერილი ცნობა და ა.შ. ასე ირეოდა ერთ სისხლიან სადღვებელში ჯალათი და მსხვერპლი, დამსმენი და დასმენილი. რეპრესიების სისხლიანმა მანქანამ ყველაზე ღრმა კვალი ქართველ ინტელიგენციას დააჩნია.

სტალინმა ბერიას ერთგულება რეპრესიების „წარმატებით“ ჩატარებაც დაუფასა და 1938 წლის აგვისტოს ბოლოს მოსკოვში გადაიყვანა შინსახკომის ხელმძღვანელის, უკვე სკამშერყეული ეჟოვის მოადგილედ და სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსად.

ზოგიერთ მკვლევარს შეცდომით მიაჩნია, რომ ეს დანიშვნა ლავრენტის კარიერაში უკუსვლა იყო და ვითომდა სტალინს ვერ გაუბედა უარის თქმა, თორემ საქართველოში მუშაობა ერჩიაო. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბერიას მოსკოვში გადაყვანით სტალინს სურდა უკვე ბევრ საიდუმლოებაში ჩახედული ეჟოვი და მისი ერთგული კადრები გაენადგურებინა და შინსახკომის მორიგი წმენდა ენერგიული და ერთგული ლავრენტის ხელით ჩაეტარებინა.

ამას ეჟოვიც მიხვდა და სტალინის კითხვაზე, ბერია შენს მოადგილედ რომ დავნიშნოთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებიო, ორაზროვნად უპასუხა: „ამხანაგი ბერია ისეთი გამოცდილი მუშაკია, რომ შინსახკომის ხელმძღვანელობასაც შეძლებს და პირდაპირ ჩემ ადგილზე დანიშნეთ“.

ასე რომ, არავისთვის იყო მოულოდნელი, როცა 1938 წლის დეკემბერში ბერია უკვე შინსახკომის ხელმძღვანელად დაინიშნა.

საინტერესოა, რომ საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად მუშაობის ექვსი წლის განმავლობაში ბერია კრემლში სტალინის კაბინეტში სულ რაღაც 11-ჯერ იყო. ამან არ უნდა შეგვაცდინოს – სტალინი ზაფხულობით თვეობით მიმგზავრებოდა დასასვენებლად შავი ზღვის აგარაკებზე (უფრო ხშირად საქართველოში) და ბერიასთან შინაურული, თითქმის ყოველდღიური შეხვედრები ჰქონდა.

ბერია დროდადრო შინსახკომისა და უშიშროების ორგანოებსაც ხელმძღვანელობდა. ეს პერიოდი იმით იყო საინტერესო, რომ მან სტალინის დავალებით თავდაპირველად მნიშვნელოვნად შეამცირა რეპრესირებულთა რიცხვი. თუმცა ეს მხოლოდ „დიდი დიქტატორის“ მორიგი მანევრი იყო და სულ მალე ბერიამ შინსახკომიდან — ეჟოვის, ხოლო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან ლიტვინოვის კადრების დახვრეტა-გადასახლება დაიწყო.

1939-1945 წლები ლავრენტი ბერიას ცხოვრებაში ყველაზე დაძაბული და ამავე დროს მნიშვნელოვანი იყო. ამ პერიოდში ის „ხალხთა ბელადის“ დიდი ნდობით სარგებლობდა და საბჭოთა იმპერიის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაწყვეტას ხელმძღვანელობდა.

ბერიას შეურიგებელი მტრებიც კი აღიარებდნენ მის მოღვაწეობას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ანუ 1939-1945 წლებში. საბჭოთა პოლიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუროს სტაჟიანი წევრი და სტალინის ერთგული თანამებრძოლი მოლოტოვი 70-იან წლებში იხსენებდა: „ბერია კარგი ორგანიზატორი, ადმინისტრატორი და დაბადებიდან ჩეკისტი იყო. ოღონდ ძალზე უპრინციპო“.

ერთი საინტერესო ფაქტი გაიხსენა საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი გრომიკომ: 1945 წლის თებერვალში, იალტის კონფერენციაზე, სადაც უკვე ფაქტობრივად გამარჯვებულმა სამეულმა: სტალინმა, ჩერჩილმა და რუზველტმა მსოფლიო გადაინაწილეს, ერთ დღეს სადილზე აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა თურმე სტალინს ჰკითხა:

— ვინ არის ის ბატონი, რომელიც გრომიკოს წინ ზის?

— ეს ჩვენი ჰიმლერია — ბერია, – უპასუხა სტალინმა.

ეს საუბარი სხვა წყაროებითაც დასტურდება. ბუნებრივია, ამერიკის პრეზიდენტს სადაზვერვო ინფორმაციით კარგად ეცოდინებოდა ბერიას შესახებ და მის გარეგნობაზეც ექნებოდა წარმოდგენა. მისი მიზანი იყო სტალინის დამოკიდებულება შეეტყო ბერიას მიმართ. როგორც დავინახეთ, „ბელადმაც“ არ დააყოვნა და საკმაოდ ორაზროვანი პასუხიც გასცა.

საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის ლავრენტი ბერია იოსებ სტალინთან ერთად XX საუკუნის უზნეობის, დანაშაულისა და კაცთმოძულეობის სიმბოლოა. ამ შეფასებას ვერ შეცვლის ბერიას დამსახურება საბჭოთა და რუსეთის იმპერიის წინაშე. პირიქით, რუსეთის იმპერიის გაძლიერებით ბერიამ ხელი შეუწყო მისი არსებობის გახანგრძლივებას, რასაც დღეს ვიმკით — ის ატომური და წყალბადის იარაღი, რითაც რუსეთი მსოფლიოს აშანტაჟებს, დიდწილად სწორედ ლავრენტი ბერიას დამსახურებაა.

თითქმის ათი წელი ხელმძღვანელობდა ბერია საბჭოთა კავშირის №1 საიდუმლო საქმეს – ატომურ პროექტს და მან შექმნა ორგანიზაციულ-ფინანსური საფუძვლები როგორც ბირთვული კვლევების, ასევე ატომური ბომბის დამზადება-გამოცდის მოსაწყობად.

ლავრენტი ბერიას სახელს საბჭოთა პროპაგანდა ათეული წლების განმავლობაში საშინელი ეპითეტებით ამკობდა: ხალხის მტერი, სახელმწიფო მოღალატე, ქალებზე მოძალადე, უცხო ქვეყნის აგენტი და მრავალი სხვა. თუმცა ბერიას მთავარ დანაშაულზე – საქართველოში დაუნდობელი რეპრესიების ორგანიზებასა და მკვლელობებში მონაწილეობაზე ძალზე ცოტა და ისიც შერჩევით ითქმებოდა.

უკანასკნელი ათი წელია, ერთი საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა რუსეთში: წვიმის შემდეგ სოკოებივით მომრავლდა ფსევდოისტორიული წიგნები და სტატიები, სადაც ლავრენტი ბერია მოხსენიებულია როგორც... XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი, პირველი საბჭოთა რეფორმატორი, რომელსაც საბჭოთა იმპერიის დემოკრატიული გარდაქმნა სურდა, მაგრამ არ აცალეს, ოჯახის მოყვარული და მეუღლის უერთგულესი კაცი და ა.შ. ასეა, ერთი უკიდურესობიდან მეორისკენ მივექანებით და კვლავ სუბიექტური დასკვნები ჭარბობს. ლავრენტი ბერიას შესახებ ეს მცირე გადახვევა იმიტომ დაგვჭირდა, რომ მკითხველს წარმოდგენა შეჰქმნოდა, თუ ვის უპირისპირდებოდნენ ქართველი ემიგრანტები. ზოგადად კი ბერიას თემა იმდენად დიდია, რომ მეცნიერულ კვლევას მოითხოვს.

***ბესიკ ალადაშვილი***

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**„59“-ის ცნობით, საფრანგეთში მყოფი ქართული ემიგრაციის უდიდესი ნაწილი (დაახლოებით 300 კაცი) სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ხოლო 200 კი — სხვა პარტიების (როგორც „ბერიას დოკუმენტშია“ აღნიშნული, უპირატესად ფაშისტური ორგანიზაციების) მიმდევრები იყვნენ.**



# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალებში საპილოტაჟო ჯგუფის ჩამოყალიბება იწყება

## აზერბაიჯანი

● უახლოეს რამდენიმე წელიწადში სამხედრო-საჰაერო ძალების ინვენტარს დაემატება ადგილობრივი წარმოების ტაქტიკური დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატები, რომელთა დანიშნულება მოწინააღმდეგის ობიექტების განადგურება და სხვა ამოცანების შესრულება იქნება. მიმდინარე წელს დაგეგმილია Aerostar-ისა და Orbitar-ის ტიპის 60 უპილოტო საფრენი აპარატის დამზადება.

● 13 სექტემბერს ტერტერის რაიონში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილი ავტომატებით შეიარაღებულმა ორმა 20 წლის ჯარისკაცმა თვითნებურად მიატოვა. ორივე მეორე დღესვე დააკავეს.

● აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა ყარაბაღში ჩამოგდებულ უპილოტო საფრენ აპარატთან ყოველგვარი კავშირი უარყვეს. თურქეთის პრესით კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ აპარატი ისრაელს ეკუთვნოდა და ირანის საზღვრების ახლოს სადაზვერვო ფრენას ასრულებდა.

● აზერბაიჯანი ქმნის საპილოტაჟო ჯგუფს, რომელიც სახელმწიფო თუ სხვა მნიშვნელოვან დღესასწაულებში მიიღებს მონაწილეობას. ჯგუფი მაღალი სამანევრო თვისებების მქონე მსუბუქი თვითმფრინავებით იფრენს. ამჟამად სამხედრო ავიაციის წარმომადგენლები სხვა ქვეყნებისა და მათ შორის თურქეთის გამოცდილების შესწავლით არიან დაკავებული.

● 18 სექტემბერს ნახჭევანში განლაგებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ჯარისკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

● თავდაცვის მინისტრის, გენერალ-პოლკოვნიკ საფარ აბიევის ხელმძღვანელობით ნახჭევანში 19-24 სექტემბერს მე-5 საარმიო კორპუსისა და საჰაერო თავდაცვის ნაწილების ერთობლივი სწავლებები ჩატარდა.

● დიდ ბრიტანეთში კონფერენციაზე „ბაქოდან ბირმინგემამდე" ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრმა შტეფან ჰელბერტმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ავღანეთში კოალიციური ჯარების აღჭურვილობის 25% აზერბაიჯანის გავლით შედის.

● 21 სექტემბერს ბეილაგანის რაიონში დისლოცირებულ ერთ-ერთ ნაწილში იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო ჯარისკაცი დაიღუპა.

## სომხეთი

● 8 სექტემბერს სამთავრობო შენობებთან და პრეზიდენტის რეზიდენციის წინ საპროტესტო აქცია გამართეს არმიაში დაღუპული სამხედროების ახლობლებმა. ჰელსინკის ასამბლეის ვანაძორის ოფისის ხელმძღვანელის არტურ საკუნცის თქმით, 2007-11 წლებში არმიაში 282 კაცი დაიღუპა, საიდანაც 28 შემთხვევაში მიზეზი ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევა იყო. ექსპერტთა შეფასებით, დაღუპულთა მეტი წილი არასწესდებო ურთიერთობათა მსხვერპლია. გარდა ამისა, ბევრ ახალწვეულს აიძულებენ, რომ ყარაბაღში იმსახურონ, რაც ადგილობრივ სომხებთან დაპირისპირების მიზეზი ხდება. კიდევ ერთი მიზეზი: ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის არსებული არასაწესდებო ურთიერთობებია, როცა ჯარისკაცებს „ზევით" მისატანი ფულის მიტანას აიძულებენ.

● 12 სექტემბერს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია მინისტრ სეირან ოგანიანის ხელმძღვანელობით აშულუკის პოლიგონზე (რუსეთი) თანამეგობრობის ქვეყნების ერთიან საჰაერო თავდაცვის სისტემაში შემავალი ქვედანაყოფების საბრძოლო სროლებს დაესწრო. სწავლება „საბრძოლო თანამეგობრობა 2011"-ში ბელორუსია, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი მონაწილეობდნენ, ხოლო დამკვირვებლის სტატუსით ალჟირის, აზერბაიჯანის, ინდოეთისა და მალაიზიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სომხურმა ქვედანაყოფმა საჰაერო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ყველა ამოცანა შეასრულა. განადგურებულია ყველა სამიზნე და ნაჩვენებია 100%-იანი ეფექტურობა.

ყარაბაღში ჩამოვარდნილი უპილოტოს კუთვნილებას ბაქო კატეგორიულად უარყოფს, თურქეთში კი აცხადებენ, რომ ის ისრაელს ეკუთვნოდა და ირანის ჩრდილოეთ საზღვარს ზვერავდა...





კოდორის ხეობაში სწავლებებს უკვე კაზაკებიც ატარებენ

● 21 სექტემბერს ერევანში სამხედრო აღლუმზე წარადგინეს სომხური წარმოების საშუალო კლასის უპილოტო საფრენი აპარატები Krunk-ი. აპარატების შექმნაზე მუშაობა რამდენიმე წელი მიმდინარეობდა და რთულ კლიმატურ პირობებში გამოიცადა.

## ჩრდილო კავკასია

● მიმდინარე წლის დასაწყისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში შეიარაღებულ კონფლიქტს არანაკლებ 1007 კაცი ემსხვერპლა, საიდანაც 593 მოკლულია, ხოლო 414 — დაჭრილი. დაღესტანმა დაკარგა 315 კაცი, დაჭრილია — 224. შემდეგ მოდის ჩეჩნეთი, შესაბამისად, 84 და 103, ყაბარდო-ბალყარეთი — 98 და 39, ინგუშეთი — 65 და 32, ჩრდილოეთ ოსეთი — 18 და 6, სტავროპოლის მხარე — 4 და 6. უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა 314 წევრი დაკარგეს. კიდევ 276 კაცი დაკავებულია ან ძალოვნებს თავისი ნებით ჩაბარდა. სამართალდამცველმა ორგანოებმა დაკარგეს 140 კაცი, 274 კი დაიჭრა. მშვიდობიანი მოსახლეობის დანაკარგი — 137 მოკლული და 163 დაჭრილია. ჩრდილოეთ კავკასიაში ისევ გრძელდება ადამიანების მოტაცების, გაქრობისა და უკანონო დაკავების შემთხვევები. გასულ წელს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტის მსხვერპლი 1710 კაცი გახდა. მათ შორის 754 მოკლეს, 956 კი დაჭრეს.

ჩრდილო კავკასიაში სისხლიანი სტატისტიკა არ კლებულობს



## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 8 სექტემბერს საერთაშორისო გამნაღმველი ორგანიზაცია HALO Trust-ის სპეციალისტებმა გაანადგურეს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ტორპედოს საბრძოლო ნაწილი. ჭურვი საგანი ადგილობრივმა მცხოვრებმა ხაჯ... ვინთის მახლობლად, სანაპიროდან 15 მ-ში, დაახლოებით 2,5 მ სიღრმეზე იპოვა.

● 12 სექტემბერს სეპარატისტული სოხუმის უმაღლესი საერთო-საჯარისო სასწავლებლის უფროსმა პოლკოვნიკმა ა. ცუგბამ კურსანტებისგან ფიცი საზეიმო ვითარებაში ჩაიბარა.

● 16-18 სექტემბერს ოკუპირებული აფხაზეთის კოდორის ხეობაში ყუბანის კაზაკთა ჯარების შავი ზღვისპირეთის განყოფილების (სოჭის, ადლერის, ლაზარევსკოეს, ტუაპსესა და გელენჯიკის რაიონული საზოგადოებები) ორმა ასეულმა საბრძოლო მომზადება გაიარა. სასწავლო პოლიგონზე კაზაკებმა ყუმბარსატყორცნი РПГ-7-ით, ДШК-ასა და ПКТ-ს და ტიპის ტყვიამფრქვევებითა და „კალაშნიკოვის" ავტომატებით სროლაში ივარჯიშეს. სწავლება სოხუმის თავდაცვის უწყების ხელშეწყობით ჩატარდა და ნოემბერში კიდევ მეორე სწავლება-ვარჯიშის ჩატარება არის დაგეგმილი.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● მიმდინარე წელს 18 ახალგაზრდა გაიგზავნა რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში და ხელშეკრულების შესაბამისად, სწავლის დასრულების შემდეგ უკან უნდა დაბრუნდნენ. ადგილობრივი ფორმირებები 2010 წელს რუსეთში სწავლამიღებული 4, ხოლო 2011-ში კი 14 ოფიცრით შეივსო.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● თვითაღიარებული ყარაბაღის თავდაცვის არმიის ინფორმაციით, 12 სექტემბერს 7.10 სთ-ზე საჰაერო თავდაცვისა და ელექტრონული ბრძოლის საშუალებებმა მარტუნის რაიონის სოფელ ვაზგენაშენის მახლობლად უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს. ინფორმაციაში ასევე ნათქვამი იყო, რომ ბოლო 10 დღის მანძილზე საჰაერო თავდაცვის საშუალებები ასეთ ფრენებს შეხების ხაზის გასწვრივ აფიქსირებდნენ და ამის აღსაკვეთად ზომები მიიღეს.

**თემურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჯანმრთელობა დავკარგე, მაგრამ სამხედრო საქმეს მაინც ვერ შევეშვი“

# რუსულ ბომბს გადარჩენილი ქართველი ჯარისკაცი

## „გონს რომ მოვედი, ჭრილობები ძალიან მტკიოდა, მაგრამ მაინც გახარებული ვიყავი, ცხინვალი დავიბრუნეთ-მეთქი“

**რუსეთ-საქართველოს ომიდან სამი წელი გავიდა და ამ დროის განმავლობაში მაშინ დაშვებული უამრავი შეცდომის შესახებ შევიტყვეთ. ასობით გმირულად დაღუპული მეომრის გარდა, აგვისტოს ომს უამრავი ცოცხალი გმირი ჰყავდა, რომელთა შესახებაც „არსენალის“ მკითხველს არაერთხელ ვუამბეთ. ერთ-ერთი ასეთია პირველი საარტილერიო ბრიგადის სერჟანტი, ბატალიონის კავშირგაბმულობის უფროსის თანაშემწე რეზო გაბიტაშვილი, რომელიც ომის დაწყებამდე IV ქვეით ბრიგადაში მსახურობდა. როგორც შემდეგ გაირკვა, რუსეთ-საქართველოს უთანასწორო ბრძოლაში ამ ბატალიონს ყველაზე დიდი დანაკარგი ჰქონდა. რეზო გაბიტაშვილი ცხინვალის მისადგომებთან მტრის ავიაციის დაბომბვაში მოყვა, მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა.**

— ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 3 აგვისტოს, ოსური პოზიციებიდან ინტენსიური სროლების ხმა ისმოდა. მოწინააღმდეგე მსხვილკალიბრიანი საარტილერიო საშუალებებით ქართულ სოფლებს ბომბავდა. მაშინ IV ქვეითი ბრიგადის არტილერიაში ვმსახურობდი. თავდაცვის მიზნით, პოზიციების გასაძლიერებლად ჩვენი ნაწილი ცხელ წერტილში გადაისროლეს. იქ რამდენიმე დღე დავყავი და ისევ უკან დავბრუნდი. 6 აგვისტოს საღამოს სამხედრო ნაწილში ჩვეულებრივი დილა გათენდა. როგორც ყოველთვის, პირადი შემადგენლობის გარკვეული ნაწილი შვებულებაში იყო, დანარჩენი კი ბრიგადაში არსებულ დღის განრიგს ასრულებდა. იმავე საღამოს 3 საათზე განგაში გამოცხადდა და ნაწილში დაგვიბარეს. ვიფიქრე, ალბათ, სასწავლო განგაშია-მეთქი. ვიცოდი, ცხინვალის მხარეს რაც ხდებოდა, მაგრამ ომი თუ დაიწყებოდა, ვერ წარმომედგინა. განგაშის გამოცხადების შემდეგ, ცხინვალისკენ წავედით. ყველას გვეგონა, რომ ისევ მორიგი შემოტევა იყო და ყველაფერი მალე დასრულდებოდა.

მეკავშირე ვიყავი და ქვეით ჯართან ერთად მივდიოდი, უკან კი არტილერია მოგვყვებოდა. მეთაურებს კოორდინატებს გადავცემდით, მტრის საცეცხლე წერტილებზე ინფორმაციას ვაწვდიდით, შემდეგ კი საქმეში არტილერია ერთვებოდა. ჩვენ უკან ქვეითი ჯარი მოდიოდა და „გზას წმენდდა“.

**სანამ ცხინვალის მისადგომებამდე მივიდოდით, რამდენჯერმე გზაში, ორღობეებიდან სამოქალაქოები გამოგვიხტნენ. ზოგი ქვეითად, ბევრიც სამოქალაქო მანქანებში იჯდა. ძირითადად, „კალაშნიკოვის“ ავტომატები ჰქონდათ. ერთი შემთხვევა მახსოვს, სოფელ ხეთაგუროვთან, თეთრი „ჟიგულის“ მარკის ავტომობილიდან ყუმბარსატყორცნიც გვესროლეს. იმ ადგილას რომ მივედი, მძღოლი მთლიანად დაცხრილული იყო.**

„გვეგონა, რომ სწავლება იყო და ომს არ ველოდით“





„გონს რომ მოვედი, ჰაერში საშინელი სუნი ტრიალებდა“

**მანქანაში მყოფ შეიარაღებულებს შორის დაჭრილი გოგონებიც იყვნენ.** მძიმედ დაჭრილები ქართველმა სამხედრო ექიმებმა მანქანებში ჩასხეს და გორისკენ წამოიყვანეს, შედარებით მსუბუქად დაჭრილები კი რამდენიმე ე.წ. მებრძოლთან ერთად, ტყვედ ავიყვანეთ. იარაღი რომ არ ჰქონოდათ, ვერც კი მიხვდებოდით, რომ მეომრები იყვნენ. რუსული სამხედრო შარვალი და შავი მაისურები ეცვათ. საქართველოში, 90-იან წლებში სამხედრო დაჯგუფების წევრები რომ დათარეშობდნენ, ის გამახსენდა. მცირე, მაგრამ წინააღმდეგობებით გავიარეთ ხეთაგუროვი, ტბეთი, თამარაშენი.

ცხინვალის მისადგომებთან მოწესრიგებულად მივედით. არც ერთი დარღვევა და შეცდომა არ გვქონია. მახსოვს, პირველი ჭურვი რომ წამოვიდა, ყველას სახე შეგვეცვალა, მაშინ მივხვდი, რომ ომი დაიწყო. მეორე და მესამეზე აფეთქებაზე ასეთი რეაქცია არ გვქონია. როცა ასეთი სიტუაცია რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდება, მებრძოლებიც ეჩვევიან. რომ გითხრათ, არ შემშინებია-მეთქი, ტყუილი იქნება. ძალიან შემეშინდა. რეალურ ომში პირველად მოვხვდი და სიკვდილზეც პირველად დავფიქრდი. ვნახე, როგორ იხოცებოდნენ ადამიანები და მივხვდი, რომ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მეც მოვეკალი ვინმეს. თუმცა, თავს როგორღაც ვერეოდი. თან გვერდში ისეთი მებრძოლები მყავდნენ, გამოცდილება რომ ჰქონდათ და ჩემნაირ ახალბედებს, მათი იმედი გვქონდა... მთლიანად ჩემს საქმეზე ვიყავი გადართული და ვფიქრობდი, დავალება სწორად შემესრულებინა.

ცხინვალის შესასვლელთან შევყოვნდით. ჩვენი ჯარი უკვე იქ იყო შესული და მათ ხომ არ დავბომბავდით... ბრძანებას ველოდებოდით, შემდეგი ნაბიჯი რა უნდა ყოფილიყო და ცოტა ხანს იქ უნდა მოგვეცადა. „ცოტა ხანი“, დიდხანს გაგრძელდა. ამასობაში მოიერიშე თვითმფრინავები გამოჩნდნენ, რამაც ნაწილში დაბნეულობა გამოიწვია. ამ დროს მოწინააღმდეგეც გააქტიურდა და შემოგვიტია. სნაიპერის ტყვიამ რამდენიმე თანამებრძოლი თვალწინ მომიკლა. მეკავშირე ვიყავი, სამმეტრიანი ანტენით დავდიოდი და შესაძლოა, ჩემი მოკვლა უნდოდათ, რათა კავშირი გაეწყვიტათ.

**— თუმცა, მალე ისედაც ჩაახშვეს კავშირი...**

— დიახ, მაგრამ კავშირი მას შემდეგ გაწყდა, რაც ბრძოლაში მტრის ავიაცია ჩაერთო... იცით, ალბათ, რომ მტრის პირველი მოიერიშე ჩვენმა მებრძოლმა ჩამოაგდო და მთელი ბატალიონის სიცოცხლე იხსნა. როცა მეორე რუსული მოიერიშე წამოვიდა, ნაძვნარს ვიყავით შეფარებული. ჩემ უკან ნაწილის მეთაური ერეკლე ყულოშვილი იყო და მითითებებს მაძლევდა. არ შემიძლია ერეკლე რამდენიმე სიტყვით არ გავიხსენო. როგორც არტილერისტი, თავისი საქმის პროფესიონალი იყო. არასდროს გაგრძნობინებდა, რომ უფროსი იყო და სხვაზე მეტი იცოდა, ძალიან კარგი ადამიანი და მეთაური იყო. მის გვერდით არაფრის მეშინოდა. ყველანაირ სიტუაციაში შეეძლო გამოსავლის პოვნა. ჩვენ შორიახლოს ტრიალებდა ალეკო თანდაშვილი, რომლის რჩევითაც სწორედ იმ დღეს, რამდენიმე საათის წინ, დაბომბვას გადავურჩი...

**— ეს როდის მოხდა?**

— ვიდრე ოსურ სოფლებში ტყვეებს ავიყვანდით. სამწუხაროდ, იმ ოსური სოფლის სახელი არ მახსოვს. ოსები სახლებიდან გვესროდნენ. ავტომატის გარდა, მსხვილკალიბრიანი იარაღებიც ჰქონდათ. ალეკომ მითხრა: ასეთ დროს ეცადე, ორმო იპოვო, ჩაწექი და გადარჩები. როცა შენ გარშემო ბომბები სკდება და გამაყრუებელი ხმაურია, ძნელია, თავშესაფარზე იფიქრო.

**ვიდრე ინტენსიური დაბომბვა დაიწყებოდა, ტყვეები ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. ერთ-ერთმა რუსულად მთხოვა, სიგარეტის მოწევა შეიძლებაო? — მოსწიე-მეთქი და მივაწოდე. მის ადგილას უცებ ჩემი თავი წარმოვიდგინე. მის მიმართ აგრესია არავის გვქონია. ცემა და ლანძღვა-გინებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არადა, ომის მერე, ინტერნეტში ერთხელ ვუყურე, როგორ სასტიკად ექცეოდნენ ოსები ქართველ სამხედროებს და სასტიკად დავრჩი.**

როცა საჰაერო იერიში დაიწყო, თვითმფრინავიდან ჯერ ქვემეხების ჭურვები გადაგვატარეს. ჭურვები ისე ახლოს აგვიფეთქდა, რომ ჩემ გვერდით მყოფი ბიჭი ბარძაყში დაიჭრა. მახსოვს, ექიმს ვეძახდი საშველად, თან ხელში იარაღი მეჭირა. ქალაქში ერთი გზა შედიოდა. აქეთ-იქით შენობები იყო, რომლის ფანჯრიდან და სახურავებიდან გვესროდნენ. ამ დროს ერეკლემ დამიძახა, დაწექი, გვბომბავენო!.. ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. მერე დაბომბვა დაიწყო და მას შემდეგ არ მინახავს. სხვათა შორის, იმავე დღეს, იმავე ადგილზე ათმეთაური ალეკო თანდაშვილი დაიღუპა... მახსოვს, ავიაციამ კასეტური ბომბები ჩამოყარა, 500 კილოგრამიანია-მეთქი, გამიელვა თავში. რამდენიმე ბომბი ნაძვნარს დაეცა, გასკდა და გაიშალა. ვინც დაწოლა მოასწრო, ყველა დაიხოცა. ეს ყველაფერი ისე ელვისებურად მოხდა, მიწაზე დავარდნაც ვერ მოვასწარი. მხოლოდ ფეხის გადადგმა შევძელი. აფეთქების ძალამ ჰაერში ამაგდო. გამაყრუებელი ხმაურისგან ერთბაშად სმენა და მხედველობა დავკარგე. ვყვიროდი და ჩემივე ხმა არ მესმოდა. თითქოს გონება დავკარგე. მერე ენით აუწერელი ტკივილი ვიგრძენი და მეგონა, აფეთქების დროს ფეხი მომწყდა, თუმცა, შემდეგ მივხვდი, რომ ზედ მიწა მეყარა. მუხლს ქვემოთ ხორცი მოგლეჯილი მქონდა. ჰაერში საშინელი სუნი ტრიალებდა. გვერდზე რომ გავიხედე, პირველად ერეკლე დავინახე. იქნებ ცოცხალი იყოს-მეთქი და მისკენ გაფორთხვა დავაპირე... დაჭრილი ვიყავი და თან ალჭურვილობაც მამძიმებდა, ჯავშანჟილეტი მეცვა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განძრევა მიჭირდა. ჭრილობა თავშიც მქონდა და სისხლი თვალებში ჩამდიოდა. აფეთქების წნევისგან ისედაც ვერაფერს ვხედავდი. ერეკლეს ხელი მოწყვეტილი ჰქონდა. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. გაჭირვებით გავხოხდი რამდენიმე მეტრზე. ერთი ბიჭი ვნახე, კაპრალი, მამუკა ალთუნაშვილი. ისიც დაჭრილი იყო (როგორც შემდეგ გავიგე, ფილტვი ჰქონდა გახვრეტილი და ნამსხვრევი კისერშიც ჰქონდა მოხვედრილი). გამიხარდა მისი ნახვა. ცოცხლები ვართო, ვამბობდით და ვცდილობდით, ჩვენებისთვის ხმა მიგვეწვდინა. უცებ კანკალი დაიწყო და გონება დაკარგა. თავადაც მოსაბრუნებელი ვიყავი, მაგრამ ძალა მოვიკრიბე და ყვირილი ავტეხე, კაცი კვდება-მეთქი. ყვირილს ვამბობ, თორემ ყელიდან ხმა არ ამომდიოდა, ჩემი ხმა თავად არ მესმოდა.

**— გარშემო არავინ იყო?**

— ორი სამხედრო ექიმი გვყავდა და ისინიც დაგვიჭრეს... შორს კი ვხედავდი ვიღაცებს, მაგრამ ვერ გავაგონე და იქამდე მისვლა მიჭირდა... დაბომბვის დროს ხე მოსტყდა და მთელ სიგრძეზე იყო გაწოლილი. ვერ მოვუვლიდი და ზედ გადაფორთხვის ძალაც არ მქონდა. როგორღაც წამოვწიე თავი და „პიკაპებსა" და „ჰაელუქსებს" მოვკარი თვალი. იქვე უამრავი ადამიანი ირეოდა. შემდეგ ვიღაცამ შემამჩნია და მანქანაში ჩამსვა. ვუთხარი, „დუბოვაია როშჩა" კიდევ ერთი ბიჭია, ალთუნაშვილი, ცოცხალია და უშველეთ-მეთქი. მძღოლმა მანქანის დაქოქვა ვერ მოასწრო, რუსების ქვეითი ჯარი წამოვიდა შეტევაზე და „პიკაპი" დაცხრილეს. ჩემ გვერდით ორი ადამიანი მოკვდა. მივხვდი, მეც იგივე მელოდა. მანქანის კარი გამოვაღე, რომ გადმოვსულიყავი. ამ დროს ვიღაც ბიჭმა მოირბინა, ცალ თვალზე ხელი ჰქონდა აფარებული და მითხრა, ამ თვალით ველარ ვხედავ და ერთი შემომხედე, რა მჭირსო, მხოლოდ იმის დანახვა შევძელი, რომ თვალი ბუდიდან ამოვარდნილი ჰქონდა და ძარღვზე ეკიდა... მუცელი საშინლად მტკიოდა და ვერ ვინძრეოდი. მერე დავინახე, რომ შორი ახლოს ჯავშანტრანსპორტიორში დაჭრილებს ტვირთავდნენ და სასწაულებრივად მივუსწარი. არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ის ბიჭები, შემდეგ გავიგე, კონტრდაზვერვის თანამშრომლები ყოფილან. მოწინააღმდეგემ ინტენსიური ცეცხლი გაგვიხსნა, მაგრამ ის ბიჭები მაინც ჩამოხტნენ და ტკივილისგან გაბრუებული მანქანაში ჩამსვეს. მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი, დაბომბვას გადავურჩი და ვაითუ აქ მოვკვდე-მეთქი. ავნევში პირველადი დახმარება აღმომიჩინეს, მაგრამ არ მიშველა. ყველას ვეხვეწებოდი, წყალი დამალევინეთ-მეთქი, არ გვაქვსო, მპასუხობდნენ, თურმე არ შეიძლებოდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ გორში საცობი იყო და გასვლა გაგვიჭირდა. ერთმა ექიმმა თავი უიმედოდ გაიქნია და ჩემზე თქვა, თბილისამდე თუ ჩააღწია, შეიძლება იქ გადავარჩინოთო. ტკივილმა გაგიჟებამდე მიმიყვანა. ვეხვეწებოდი, თავი დამანებეთ, ვკვდები-მეთქი და „მამაო ჩვენოს" თქმა დავიწყე... ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მიმიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ გონს მოვედი, ეტყობა, სიკვდილი არ მეწერა.

**— ალთუნაშვილზე რა იცით, გადარჩა?**

— კი, საავადმყოფოში შევხვდით ერთმანეთს. ეტლით მოვიდა და მინახულა, მახსოვს, საზამთრო მომიტანა... ის ჩემზე კარგად იყო და მალე გამოჯანმრთელდა. სამხედრო სამსახურს აგრძელებს, IV ქვეით ბრიგადაში მსახურობს... საავადმყოფოში გონზე რომ მოვედი, მეგონა, ყველანაირი ოპერაცია დასრულებული იყო, მაგრამ ფეხზე რომ დავმდგარიყავი, ოპერაციებისა და მკურნალობის კიდევ რამდენიმე ეტაპი დამჭირდა. 6 თვის განმავლობაში ფეხზე ვერ ვდგებოდი. ნამსხვრევი გვერდითა მხრიდან მქონდა შესული და მუცლის ღრუში მცირე ნაწილებად იყო დაშლილი. სხეულის თითქმის ყველა ორგანო დაზიანებული მქონდა. 2 მეტრამდე ნაწლავი ამომაჭრეს. ტკივილი დღემდე მაწუხებს. ახლაც სამკურნალო შვებულებაში ვარ...

მიუხედავად ყველაფრის, გახარებული ვიყავი. მეგონა, ომი მოვიგეთ და დაკარგული ტერიტორიები დაბრუნებული გვქონდა. ოჯახის წევრები არ მეუბნებოდნენ, მაგრამ ერთ დღეს სამედიცინო პერსონალში პანიკა ატყდა, დაჭრილები ქალაქის №8 საავადმყოფოში უნდა გადაგიყვანოთო. რატომ-მეთქი, შეიძლება დაგვბომბონო. ვინ, ჩვენ ხომ გავიმარჯვეთ-მეთქი. ერთმა ექიმმა მითხრა, არა, წავაგეთო. გავგიჟდი. ექიმებს ვუძალიანდებოდი, არაფერი გამიკეთოთ, არ მჭირდება-მეთქი... იცით, როცა ადამიანი იმ მიზანს მიაღწევს, რისთვისაც იბრძვი, სიცოცხლესაც დათმობს, მაგრამ როცა უახლოეს ადამიანებსა და ჯანმრთელობას წაგებულ ომს შესწირავ, ცხოვრების გაგრძელება ძნელია.

**— არ იცოდით, რომ ბრძოლაში რუსული ავიაცია ჩაერთო?**

— არა. პირველი მოიერიშე ჩვენმა არტილერისტმა ჩამოაგდო. მეორემ შემოსვლისთანავე დაგვბომბა და ეს ყველაფერი დროის ისეთ მცირე მონაკვეთში მოხდა, რომ ვერაფრის გააზრება მოვასწარი.

**— ახლა სად მსახურობთ?**

— პირველ საარტილერიო ბრიგადაში, ბატალიონის კავშირგაბმულობის უფროსის თანაშემწე ვარ... 2008 წლის ომის შემდეგ, ხშირად ვფიქრობ, წაგების პირველი და მთავარი პრობლემა უთანასწორო ბრძოლა იყო, მაგრამ იყო შიდა პრობლემებიც, რაზეც ალბათ უფრო კომპეტენტურმა პირებმა უნდა ილაპარაკონ.

***ლალი პაპასკირი***

ცხინვალთან „დუბოვაია როშჩა", დაბომბვის შემდეგ...






# „მუსლიმანი ძმები“

## მსოფლიოს უძველესი ისლამური ტერორისტული გაერთიანება

**„მუსლიმანი ძმები“ (არაბულად — „იხვან-ულ-მუსლიმინ“) ეგვიპტურ ტერორისტულ გაერთიანებად ითვლება, თუმცა დაარსებიდანვე მისი ფილიალები თითქმის მთელ ისლამურ აღმოსავლეთშია გაბნეული.**

**ორგანიზაცია ეგვიპტელმა რადიკალებმა 1928 წელს, ბრიტანეთის იმპერიასთან საბრძოლველად ჩამოაყალიბეს, მაგრამ 20 წლის შემდეგ მან უკვე აბსოლუტურად ყველა „ქაფირს“, ანუ არამუსლიმანს წმინდა ომი გამოუცხადა და ეს დღემდე გრძელდება.**

**„მუსლიმანი ძმები“ ტერორისტულ გაერთიანებად გაერომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში აღიარა, თუმცა 2001 წლამდე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ლეგალურად მოქმედებდა, როგორც ერთ-ერთი რიგითი საქველმოქმედო ისლამური ორგანიზაცია. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, „მუსლიმანი ძმები“ ტერორისტებად ცნეს თითქმის მთელ მსოფლიოში, მათ შორის — რუსეთშიც. ამისდა მიუხედავად, ეს ორგანიზაცია არალეგალურად კვლავაც მოქმედებს მსოფლიოს 33 ქვეყანაში, ხოლო ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში (მაგ., სირიასა და იორდანიაში) ე.წ. „ყალბი დროშის“ პრინციპით, ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაშია. ეგვიპტეში „მუსლიმანი ძმები“ ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას ცდილობენ.**

### ჩამოყალიბების მოკლე ისტორია

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მსოფლიოსთვის ისლამური ტერორიზმი ჯერ ისევ უცნობი იყო. მაშინ მუსლიმანურ სამყაროს ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიური ექსპანსიის ობიექტად განიხილავდნენ და მიაჩნდათ, რომ ევროპელებს იქ იმ დროისთვის თანამედროვე განათლება და კულტურა უნდა შეეტანათ. იმხანად არაბული ქვეყნების უდიდეს ნაწილს სახელმწიფოებრივი ტრადიციები არ ჰქონდა და მათი ქონებით თუ სასარგებლო წიაღისეულით კოლონიზატორები სარგებლობდნენ. ადგილობრივ მოსახლეობაში გაუნათლებელი გლეხობა ჭარბობდა, ისინი კი, რომელთაც განათლების მიღება უცხოეთში შეეძლოთ, სამშობლოდან გარბოდნენ და მერე ყოველგვარ არაბულს ზემოდან უყურებდნენ. მაშინდელი ევროპელი, ვისაც არაბულ სამყაროსთან კონტაქტი ჰქონდა, ნამდვილად სიცილით მოკვდებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, მუსლიმანთა შორის მრისხანე ტერორისტებიც არიანო. იმ დროს ტერორიც „ევროპულ“ საქმიანობად ითვლებოდა და ისლამურ ქვეყნებში წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ამაზე.

ეგვიპტელი ჰანბალიტების (სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მაზჰაბის წევრების) იმამი, შეიხი აჰმად აბდ არ-რაჰმან ალ-ბანა ას-საათი კარგად ხედავდა, რომ ევროპული განათლება მუსლიმანებისთვის არათუ დამღუპველი, არამედ გამოსადეგი იქნებოდა. ამიტომაც თავისი 23 შვილიდან სულ უმცროსი — ჰასან აჰმად აბდ არ-რაჰმან მუჰამად ალ-ბანა 1926 წელს სასწავლებლად გაევროპელების გზაზე მდგარ თურქეთში გაუშვა. ჰასანმა სტამბოლის ფრანგულ უნივერსიტეტში ჩააბარა, მაგრამ სწავლით მაინცდამაინც თავს არ იკლავდა. თურქეთში წასვლამდე, კაიროში, დარ ალ-ულუმის ცნობილ ისლამურ სასწავლებელში სწავლობდა და ამიტომაც ვერ ეგუებოდა „ქაფირულ“ წესებს — ერთხელ სტამბოლში მას ვიღაც ახალგაზრდებთან, რომლებიც კაფეში ლუდს სვამდნენ, ჩხუბიც კი მოუვიდა, რის გამოც ჯერ პოლიციაში აღმოჩნდა, მერე კი იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მამამისის შიშით ჰასან ალ-ბანა სახლში ვერ მივიდოდა და ამიტომ სუეცის არხზე მოეწყო მტვირთავად —

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰუსეინ ალ-ბანა



ამინ ალ-ჰუსეინი

მთელ ეგვიპტეში ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ფული კარგად იშოვებოდა და შესაბამისად, იქ სამუშაოდ მოწყობაც ძნელი იყო, თუმცა ალ-ბანას გაუმართლა, რადგან კარგი ფიზიკური მონაცემებიც ჰქონდა და კომუნიკაბელურიც იყო. მან რიგით მტვირთავად ერთი წელი იმუშავა და არხის ნამდვილ ბატონ-პატრონებს — ბრიტანელებს ისე მოაწონა თავი, რომ ბრიგადირად დანიშნეს და ცხადია, ხელფასიც მოუმატეს. ჰასან ალ-ბანაც მაშინვე დაქორწინდა, ბოლოს და ბოლოს, მამასაც შეურიგდა. საქმეები კარგად რომ წაუვიდა, მეორე ცოლიც მოიყვანა და ოჯახური იდილიით დატკბობა დააპირა, მაგრამ სწორედ მაშინ დაიწყო სირთულეები: ბრიტანელებმა მას და მის მუშებს ხელფასი შეუმცირეს და ამის მიზეზად ეკონომიკური კრიზისი დაასახელეს.

ჰასან ალ-ბანა ბრიტანელების ახსნა-განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა. ხედავდა, რომ ევროპელი მუშები ადგილობრივებზე ცოტას მუშაობდნენ, ხელფასი კი გაცილებით დიდი ჰქონდათ. უკმაყოფილო ალ-ბანა სუეცის არხის მმართველი ბრიტანული კომპანიის ხელმძღვანელებსაც შეხვდა, მაგრამ ამაოდ, არც კი მოუსმინეს, ისე გამოისტუმრეს უკან. ჰასან ალ-ბანა პრინციპული კაცი იყო და მარცხს ვერ ეგუებოდა. ამიტომაც ერთ დღეს თავისი მუშები შეკრიბა და მგზნებარე სიტყვით მიმართა: „ყურანში ჩვენ გვიწერია, რომ არამუსლიმანებს არ უნდა დავემორჩილოთ! ჩვენ ვართ მუსლიმანები, ჩვენი ლიდერია ალაჰის მოციქული მუჰამედი, კონსტიტუცია — ყურანი, ცხოვრების გზა კი ჯიჰადი!“... ერთი სიტყვით, ჰასან ალ-ბანას ეს მიმართვა მოგვიანებით სუეცის არხის სხვა არაბ მუშათა შორისაც პროკლამაციად გავრცელდა და მისმა საწყისმა სიტყვებმა: „ია იხვან-ულ-მუსლიმინ!“ (არაბულად — „მუსლიმანო ძმებო!“) შემდეგ ორგანიზაციის დასახელებასაც ჩაუყარა საფუძველი.

ჰასან ალ-ბანა, როგორც მუსლიმანი ღვთისმსახურის შვილი, კარგად ფლობდა სალიტერატურო არაბულს (რომელიც ეგვიპტური დიალექტისაგან საგრძნობლადაც კი განსხვავდება), ბრწყინვალედ კითხულობდა და განმარტავდა ყურანს და სულაც არ გასჭირვებია ხალხის აყოლიება. მან მუშებს განუმარტა, რომ ევროპელები სულაც არ იყვნენ ზეადამიანები და მათგან არაბებს არაფერი უნდა მოეთმინათ: „ჩვენ ვართ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონები და ბრიტანელებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს უნდა ვაგრძნობინოთ... თუ მაინც არ შეიგნებენ, მაშინ თავიდან უნდა მოვიშოროთ!“ — აცხადებდა ჰასან ალ-ბანა, რომელსაც მუშებმა „შეიხი“ შეარქვეს. წაქეზებულმა არაბებმა სუეცის არხზე 1928 წლის აგვისტოში ჯერ გაფიცვა მოაწყვეს და მერე, მაინც რომ ვერაფერი გააწყვეს, დაერივნენ ბრიტანელებს და 30 კაცი ერთ საათში გაისტუმრეს იმ ქვეყნად. არხის მმართველობამ, ცხადია, სისხლის სამართლის საქმე აღძრა (არხის ზონაში ბრიტანული სამართალი იყო ძალაში) და 100-მდე არაბი დააკავა. თავად ჰასან ალ-ბანა მაშინ კაიროში იმყოფებოდა და დაპატიმრებასაც გადაურჩა, თუმცა როდესაც ყველაფერი შეიტყო, არხის ხელმძღვანელობას თავადვე ეახლა და ციხეში მეც ჩამსვითო, კატეგორიულად მოითხოვა.

ბრიტანელები ალ-ბანას მოთხოვნამ ჯერ გააოცა, მერე კი, როცა „შეიხმა“ მათ უამბო, როგორ აჯანყებდა მუშებს, გამეორება აღარ დასჭირვებიათ — ხელებზე კი არა, ფეხებზეც ბორკილები დაადვეს და ქალაქ აზ-ზაკაზიკის ციხეში ჩასვეს. ჰასან ალ-ბანასაც — როგორც შემდეგ გამოჩნდა — სწორედ ეს უნდოდა: მან ახლა ციხეში გააჩაღა ისლამურ-რადიკალური პროპაგანდა, რასაც სულ რამდენიმე თვეში მოჰყვა შედეგიც — 100-მდე პატიმარმა ერთ მშვენიერ დღეს ბრიტანელი მცველები ჩახოცა, მათი იარაღი გაიტაცა და გაიქცა. ამის შემდეგ კი კაიროს ქუჩებში მასშტაბური საპროტესტო აქციები დაიწყო — შეიხ ჰასან ალ-ბანას მეთაურობით, „მუსლიმანი ძმები“ ქვეყნიდან ბრიტანელების გაძევებას ითხოვდნენ.

იმხანად ეგვიპტეს მეფე ფუად I მართავდა. ის ბრიტანელთა ყურმოჭრილი ყმა იყო და ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ლონდონში სურდათ და ეგვიპტელების ინტერესები ოდნავადაც არ ანაღვლებდა. ფაქტობრივად, ეგვიპტე დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო, მიუხედავად იმისა, რომ 1923 წლიდან ლონდონმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ერთა ლიგისგან მიღებული მანდატი უკვე გაუქმებულად გამოაცხადა და ეგვიპტეს დამოუკიდებლობა უწყალობა. მეფე ფუად I ევროპული კულტურის მგზნებარე თაყვანისმცემელი გახლდათ და ყოველივე არაბულს ზიზღით უცქერდა. ქვეშევრდომთაგან მხოლოდ მათ უყვარდათ, ვისაც ეგვიპტელობა კი არა, გაევროპელება სურდათ, თუმცა ოპოზიციაც არ ვარგოდა და შესაბამისად, მეფის ხელისუფლება ურყევი იყო. ამიტომაც „მუსლიმანი ძმების“ გამოჩენამ ფუად I ზომაზე მეტად ააღელვა და „ურჩი ისლამისტების“ ასალაგმად სასწრაფოდ უხმო ბრიტანულ სამხედრო ნაწილებს.

1934 წლის მიწურულს, ერთი მხრივ — ისლამისტებს, მეორე მხრივ კი სამეფო არმიასა და მის ზურგს უკან მდგარ ბრიტანელებს შორის დაპირისპირება ფართომასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში აღარ გადაზრდილა, მაგრამ „მუსლიმანმა ძმებმა“ იმას მაინც მიაღწიეს, რომ ფუად I-მა ეგვიპტელთა ინტერესები გაითვალისწინა და რეფორმები გაატარა. ჰასან ალ-ბანა და მისი მომხრეები ოპოზიციურ პარტია „ალ-უაფდთან“ გაერთიანდნენ და პარლამენტშიც შევიდნენ, თუმცა მალე მიხვდნენ, რომ პრობრიტანული მონარქიის პირობებში გასაქანი არ ექნებოდათ. სწორედ ამავე პერიოდში მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორე მსოფლიო ომიც ატყდა და მთელ მსოფლიოში ძალთა გადანაწილება დაიწყო. ჰასან ალ-ბანა შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი გამოდგა და არც მეტი, არც ნაკლები, გერმანელ ნაცისტებთან ფლირტი გააბა. ადოლფ ჰიტლერი იმ დროს ახლო აღმოსავლეთით იყო დაინტერესებული და „მუსლიმანი ძმების“ ლიდერის გაწვდილ ხელს საკუთარი შეაგება.

ჰიტლერთან თანამშრომლობის პარალელურად, ჰასან ალ-ბანა და ძმანი მისნი პალესტინის საკითხითაც იყვნენ დაინტერესებულნი — მეორე მსოფლიო ომამდე იქ ისევ ბრიტანელები ბატონობდნენ, თუმცა არაბულ სამყაროში ვრცელდებოდა ხმა, რომ პალესტინის შესყიდვა ებრაელებს სურდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ მამლუქების დროიდან ხსენებული რეგიონი ეგვიპტის ნაწილად ითვლებოდა და ამის გამო ჰასან ალ-ბანა თავის გამოსვლებში საჯაროდ იფიცებდა ხოლმე, რომ ალ-აქსას მეჩეთს (მუსლიმანთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიწმინდე იერუსალიმში) ურწმუნო ებრაელებს არავითარ შემთხვევაში არ დაუთმობდა. 30-იანი წლების ბოლოს „მუსლიმანი ძმების“ აქტიურობის წყალობით იერუსალიმელი მუსლიმანების უმაღლესი სასულიერო ლიდერი – მუფთი გახდა ალ-ბანას ბავშვობის მეგობარი და სიძე ამინ ალ-ჰუსეინი, რომლის სახელსაც ებრაელები წყევლით იხსენიებენ — ალ-ჰუსეინი იასირ არაფატის უპირველესი მოძღვარი იყო. მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „არ მოვისვენებთ მანამ, სანამ ყველა ებრაელს ზღვაში არ გადავყრით!“

გარდა ამისა, ამინ ალ-ჰუსეინი 1942 წელს გერმანელების მიერ ჩამოყალიბებულ მუსლიმანურ ბატალიონ „ხანჯარსაც“ მოძღვრავდა. ბატალიონში ბოსნიელი მუსლიმანები იყვნენ გაწევრებულნი და მართლმადიდებელი სერბების ხოცვა-ჟლეტა ევალებოდათ. ჯერ კიდევ მაშინ ამინ ალ-ჰუსეინმა „მუსლიმანი ძმების“ ფილიალი სარაევოშიც შექმნა, რომელსაც ვინმე ზაიმ ალიპაშიჩი ჩაუყენა სათავეში. ომის შემდგომ იოსიფ ბროზ ტიტომ ის კი დაიჭირა და უშიშროების ჯურღმულებში გააქრო, მაგრამ ორგანიზაცია იატაკქვეშეთში დარჩა და უკვე 90-იან წლებში საგრძნობლად გააქტიურდა.

ჰასან ალ-ბანა და ამინ ალ-ჰუსეინი პირადად იცნობდნენ ჰიტლერს და როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს (რამდენად სარწმუნოა ეს, სხვა საქმეა), ჰოლოკოსტისკენ ფიურერს სწორედ მათ უბიძგეს. ასე იყო თუ ისე, მეორე მსოფლიო ომი რომ დასრულდა, „მუსლიმანი ძმების“ ევროპელი მოკავშირენი ნიურნბერგის ცნობილ პროცესზე წარდგნენ და უმრავლესობამ ფიურერის მსგავსად თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე; ჰასან ალ-ბანამ და მისმა მიმდევრებმა კი თავისუფლად იწყეს ნავარდი — მათი ორგანიზაცია ეგვიპტის გარდა, უკვე იორდანიაში, სირიაში, თურქეთის სამხრეთ ვილაიეთებსა და ერაყშიც მოქმედებდა. სწორედ ამ პერიოდში ჰასან ალ-ბანამ მიუღწევლის მიღწევა მოისურვა და რიხით განაცხადა, „მუსლიმან ძმებს“ განზრახული გვაქვს, არაბული სახალიფო აღვადგინოთ მაშრიყით ვიდრე მაღრიბამდეო. თუმცა, საბჭოთა კავშირთან მოფლირტავე ეგვიპტის ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა მას გეგმების შესრულება აღარ აცალა და მკვლელი მიუგზავნა — 1949 წლის 12 თებერვალს კაიროში, დარ ალ-ულუმის მედრესედან გამოსვლისას, ჰასან ალ-ბანას უცნობმა პირმა ავტომატით ცეცხლი გაუხსნა და მთელი მჭიდი დააცალა. მკვლელი არ დაუკავებიათ; გამალ აბდელ ნასერს „მუსლიმანმა ძმებმა“ ოფიციალურადაც კი მიმართეს, თუმცაღა პასუხად ის მიიღეს, რომ რეგისტრაცია გაუუქმდათ და არალეგალურ ორგანიზაციად გამოცხადდნენ.

„მუსლიმანი ძმების“ მტკიცებით, ნასერმა ჰასან ალ-ბანა ებრაელთა ზეწოლით მოაკვლევინა, რადგან დასაწყისში მას დასავლეთთან ურთიერთობის გამწვავება არ აწყობდა; მას შემდეგ კი, რაც საბჭოთა კავშირისგან კარტ-ბლანში მიიღო, თავადაც შეუტია ებრაელებს, მაგრამ „მუსლიმან ძმებთან“ ბრძოლა არ შეუწყვეტია. ამიტომ ორგანიზაციამ ეგვიპტის ტერიტორიაზე აქტიური ქმედებები შეწყვიტა და იორდანიის, სირიისა და პალესტინის ფილიალები გამოაცოცხლა. 50-იანი წლების ბოლოს მათი წარმომადგენლობები ევროპის ისეთ ქვეყნებშიც კი გამოჩნდა, როგორიცაა ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი და ესპანეთი. დაუზუსტებელი მონაცემებით, „მუსლიმან ძმათა“ რაოდენობამ 60-იანი წლების დასაწყისში 500 ათას კაცს გადააჭარბა. ევროპაში მათი ძირითადი საქმიანობა ებრაელთა ამოხოცვა გახლდათ. 1966 წელს გაერომ „მუსლიმანი ძმები“ ისლამურ-ტერორისტულ დაჯგუფებად ებრაული ლობის კატეგორიული მოთხოვნით გამოაცხადა.

**მიხეილ ლაბაძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„მუსლიმანი ძმების“ პრესცენტრის ხელმძღვანელი პრესკონფერენციაზე




არსენალი
V-22 OSPREY

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსული ჯავშანტექნიკა

## ომის შემდგომი პირველი თაობის ტანკები

მეორე მსოფლიო ომი დასრულებული არ იყო და საბჭოთა ტანკმშენებლები საშუალო ტანკების 100 მმ-იან ქვემეხზე გადაყვანას გეგმავდნენ. მართალია, სატანკო ჯარების განკარგულებაში 122 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი ИС-2-ები იყო, მაგრამ ექსპლუატაციის პირობებში მძიმე ტანკებმა დიდი მასის გამო ბევრი უარყოფითი მხარე გამოავლინეს.

მუშაობის პირველი შედეგი 1944 წელს შექმნილი 100 მმ-იანი სატანკო ქვემეხი ЛБ-1б ანუ ლავრენტი ბერია-1 იყო (თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი ბერია შეიარაღების წარმოებას კურირებდა).

ახალი ქვემეხის შესაძლებლობები 1945 წლის ბოლოს ჯერ ომგამოვლილ T-34-ზე, ხოლო შემდეგ კი მის შემცვლელ T-44-ზე გამოიცადა.

ქვემეხმა საცდელ ტანკზე T-34-100-ზე კონსტრუქციული ცვლილებები გამოიწვია — დაიკლო ჯავშნის სისქემ კორპუსის ფსკერსა და კოშკურის სახურავზე, შეიცვალა სავალი ნაწილი, ეკიპაჟი 4 კაცამდე შემცირდა და სხვ. ამის მიუხედავად, საწყისი წონის შენარჩუნება არ მოხერხდა და მასა 33 ტონამდე გაიზარდა.

გამოცდაზე ტანკის ტრანსმისიის ნაკლიც გამოვლინდა — ასეთი სიძლიერის ქვემეხს მხოლოდ გაჩერებულს თუ ისროდი, ამიტომ T-34-100-ზე უარი ითქვა.

ეფექტი ვერც T-44-100-მა მოახდინა. ამ ტანკზე პირველად გამოჩნდა ფოლადის ფურცლებისგან დამზადებული სავალი ნაწილის დამცავი ეკრანები. დაემატა საზენიტო ДШК და წონამ 34 ტონას მიაღწია.

პოლიგონზე გამოცდის დროს ტანკს დაბალი საიმედოობა და მანევრულობა აღმოაჩნდა და კომისიამ ისიც დაიწუნა.

ექსპერიმენტების შედეგით ცხადი გახდა, რომ სერიული წარმოების ტანკების გაზრდილი კალიბრის ქვემეხზე გადაყვანა ნაყოფს არ გამოიღებდა. საჭირო იყო ახალი ტანკის პროექტირება განსხვავებული მოთხოვნებისა და მიდგომების გათვალისწინებით.

მუშაობა T-44-ის საფუძველზე მაინც გაგრძელდა და პირველი პრობლემა ძრავის გამო წარმოიშვა.

100 მმ-იანი ქვემეხი და ჯავშანდაცვის გაძლიერებასთან ერთად წონის მომატებას იწვევდა, ხოლო ტანკის საბრძოლო შესაძლებლობათა შესანარჩუნებლად B-2-ზე (სიმძლავრე 520 ცხ.ძ.) უფრო ძლიერი ძრავა იყო საჭირო, რომლის შექმნა იმ პერიოდისათვის ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა.

ამის გამო ახალი საშუალო ტანკის T-54-ის საცდელ ნიმუშში T-44-ის კორპუსი და ძრავა-ტრანსმისია უცვლელად შენარჩუნდა, ხოლო თავად ტანკის აგება ნიჟნი-ტაგილის ქარხნის ერთ-ერთ საამქროში 1946 წელს დასრულდა.

ტანკის კომპონირება არ შეცვლილა — მართვის ორგანოები წინ და მარცხნივ განლაგდა, ხოლო საბრძოლო განყოფილებამ — შუა ნაწილი, ძრავა-ტრანსმისიამ კი კიჩო დაიკავა. დაიხვეწა ტანკის კოშკურის ფორმა, გაუმჯობესდა კორპუსის დაჯავშნა და მუხლუხების კონსტრუქცია, შეირჩა ტყვიამფრქვევების განლაგების ოპტიმალური სქემა და სხვ.

სერიული წარმოებისთვის მომზადებული T-54-1 (M1946) სიახლეებით გამოირჩეოდა: ჰქონდა ახალი ფორმის კოშკურა, გაუმჯობესებული Д-10T ტიპის 100 მმ-იანი ქვემეხი შეწყვილებული ტყვიამფრქვევით, მოდერნიზებული ტრანსმისია, მუხლუხები გრუნტთან ჩაჭიდების უკეთესი უნარით და სხვ.

კორპუსის შუბლის ზედა ნაწილი ფოლადის 120 მმ სისქის ერთიან მონოლითს წარმოადგენდა (მძღოლ-მექანიკოსის ღრიჭოც კი არ ჰქონდა დატოვებული), რომელიც ვერტიკალური სიბრტყის მიმართ 600-იან კუთხეს ქმნიდა.

ჩამოსხმის გზით დამზადებულმა კოშკურამ მრგვალი ფორმა მიიღო და ძირის მთელ პერიმეტრზე საპირისპირო ცერობი გაუკეთდა. კოშკურის კედლები დიფერენცირებული სისქის იყო და შუბლის მხარეს მაქსიმალურ 200 მმ-ს მიაღწია.

T-54-1-ს ოთხი ტყვიამფრქვევი ჰქონდა: ერთი საზენიტო ДШК, ერთი ქვემეხთან შეწყვილებული და ორიც მუხლუხების ფრთებზე ზევიდან და-

T-54-1: მასა — 36 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 20-200 მმ, დიზელის ძრავა 520ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 50 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 330 კმ, შეიარაღება — 100 მმ-იანი ქვემეხი, ერთი 12,7 მმ-იანი და სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი





T-54Б: მასა — 36,5 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 20-200 მმ, დიზელის ძრავა 520ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 48-50 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 360-400 კმ, შეიარაღება — 100 მმ-იანი ქვემეხი, ერთი 12,7 მმ-იანი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ყენებული, დისტანციურად მართვადი СГ-43.

1947-48 წლებში ნიჟნი-ტაგილის სატანკო ქარხანამ T-54-1-ის მცირე პარტია გამოუშვა და გამოსაცდელად ბელორუსიაში გაგზავნა.

გამოცდის დროს ტანკებს იმდენი დეფექტი აღმოაჩნდა, რომ წარმოება შეჩერდა და მუშაობა მომდევნო მოდელზე გაგრძელდა.

1948 წელს T-54-2-ის (M1949) აწყობა დასრულდა. წინამორბედთან შედარებით ის სრულყოფილი იყო და რამდენიმე სიახლეც ჰქონდა: განსხვავებული ფორმის კოშკურა (საპირისპირო ცერობი მხოლოდ კოშკურის კიჩოს ნაწილზე შემორჩა), ფრთების ტყვიამფრქვევებიდან მხოლოდ მარჯვენა დარჩა, გაუმჯობესდა საზენიტო ტყვიამფრქვევის ტურელი და სხვ.

სერიული წარმოება ერთდროულად სამ ქარხანაში დაიწყო და 1952 წლამდე გაგრძელდა. პარალელურად მიმდინარეობდა მოძველებული T-34-85-ის წარმოება და თანაც ბევრად მეტი რაოდენობით.

1951 წელს ნიჟნი-ტაგილის ქარხანამ ტანკის ბოლო მოდერნიზებული ვერსია T-54-3 (M1951) ააწყო.

კოშკურის ფორმა კიდევ ერთხელ შეიცვალა და მსხლისმაგვარი მოყვანილობა მიიღო, ხოლო საპირისპირო ცერობის მოხსნის შედეგად კოშკურა კორპუსზე მჭიდროდ იყო მორგებული.

ტანკს ჰქონდა ტელესკოპური სამიზნე, ღამის ხედვის ხელსაწყოები და პროჟექტორი, კვამლის დასაყენებელი ახალი მოწყობილობები და სხვ.

გაიმართა დამზადების ტექნოლოგიაც და 1952 წლიდან კონვეიერებიდან სერიული წარმოების დასრულებამდე წელიწადში დაახლოებით 2 ათასამდე T-54 ჩამოდიოდა.

T-54-ზე ჩატარებული შემდგომი სამუშაოები ძირითადად შეიარაღების გაუმჯობესებასა და მდინარეების წყალქვეშ გადაადგილებისათვის საჭირო მოწყობილობათა სრულყოფას შეეხო.

პირველად ასეთი გამოცდა 1953 წელს მდინარე დნეპრზე ჩატარდა და T-54-მა 700 მეტრი წყალქვეშ 5 მეტრ სიღრმეზე გაიარა.

საბჭოთა არმიის შეიარაღებაში არსებულმა T-54-ებმა საბრძოლო-საექსპლუატაციო მახასიათებელთა გასაუმჯობესებლად რამდენიმე მოდერნიზაცია გაიარეს.

პირველი მოდერნიზაციის შედეგი T-54A იყო, რომლის ქვემეხს ერთსიბრტყიანი სტაბილიზატორი ჰქონდა, ღარების გაქრევისთვის კი ეჟექტორი დაემატა.

მომდევნო T-54Б-ზე ქვემეხი ორსიბრტყიანი სტაბილიზატორით აღიჭურვა, შეიცვალა ჭურვების მარაგის

T-55AM: მასა — 41,5 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 20-200 მმ, დიზელის ძრავა 620ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 54 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 290 კმ, შეიარაღება — 100 მმ-იანი ქვემეხი, 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევები



ეროვნული ბიბლიოთეკა




**რუსეთის არმიის 42-ე დივიზიის T-62 ტიპის ტანკები საქართველოში შემოჭრის დროს**

**T-62: მასა — 37 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 20-188 მმ, დიზელის ძრავა 580/690ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 22-50 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 320-650 კმ, შეიარაღება — 115 მმ-იანი ქვემეხი, 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევები**



განლაგება კოშკურაში, აგრეთვე ინფრაწითელი ხელსაწყოები და პროჟექტორი, დაემატა საწვავის მე-3 ავზი, გაუმჯობესდა წყალქვეშ სვლის მოწყობილობა და სხვ.

ტანკის ბოლო მოდერნიზებული ვერსია T-54AM იყო, რომელმაც ახალი ძრავა, შემსუბუქებული გორგოლაჭები და გაუმჯობესებული მუხლუხები მიიღო.

T-54-ის შასი გამოყენებულ იქნა 122 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხის СУ-122-ის, თვითმავალი საზენიტო დანადგარის ЗСУ-57-2-ის (საბრძოლო კოშკურა ზევიდან ღია ჰქონდა), დაზიანებული ტანკების საევაკუაციო დაჯავშნული გამწე БТС-ის, ხიდგამდები МТУ-12-ის (ატარებდა 12 მ სიგრძის ხიდის კონსტრუქციას), თვითმავალი ამწის СПК-12Г-ის (ტვირთამწეობა 12 ტ) და სხვა დაჯავშნული საბრძოლო თუ საინჟინრო ტექნიკის დასამზადებლად.

„ცივი ომის“ პერიოდში მოსალოდნელ ომზე ბევრი იწერებოდა. ომში კი ბირთვული იარაღისა და მასობრივი განადგურების სხვა საშუალებათა გამოყენება იყო დაგეგმილი. ასეთ პირობებში საბრძოლო მოქმედებისთვის კი საბჭოთა ტანკები თურმე მზად არ იყვნენ.

1952-53 წლებში ბირთვულ აფეთქებათა ზემოქმედების დასადგენად სამხედრო ტექნიკის სხვადასხვა ნიმუში და მათ შორის ტანკები გამოიცადა. როგორც მოსალოდნელი იყო, დამრტყმელ ტალღას, დასხივებასა და შემღწევ რადიაციას ყველაზე უკეთ ტანკებმა გაუძლეს, მაგრამ გამოჩნდა სხვა სახის პრობლემები.

ეპიცენტრიდან საკმაოდ დაშორებულ მანძილზეც კი დამრტყმელი ტალღა T-54-ის ჩაკეტილ კოშკურას ბუდიდან აგდებდა, 900-ით აბრუნებდა და ტანკი მწყობრიდან გამოჰყავდა.

შეიცვალა კოშკურის ჩამკეტი მექანიზმი და მომდევნო გამოცდაზე 2-15 კილოტონა სიმძლავრის ბომბი აფეთქების ეპიცენტრიდან 300 მ-ზე მეტ რადიუსში ტანკს ვერაფერს აკლებდა, მაგრამ დამრტყმელი ტალღის ზემოქმედებით ტანკში მყოფი საცდელი ცხოველები — ძაღლები და ბოცვრები იღუპებოდნენ.

დადგა ტანკის ჰერმეტიზაციისა და ატომსაწინააღმდეგო დაცვის სპეციალური სისტემის შექმნის საკითხი.

ქალაქ ხარკოვის ერთ-ერთ საკონსტრუქტორო ბიუროში ასეთი სისტემა შეიქმნა, რაც გამა-გამოსხივების დარეგისტრირებიდან 0,3 წამში ტანკის სრულ ჰერმეტიზაციას უზრუნველყოფდა, მაგრამ მისი დაყენება ძირეულ გადაკეთებას მოითხოვდა.

იმავდროულად კონსტრუქტორებს რიგი ტექნიკური სიახლეები ჰქონდათ მომზადებული და ყველაფერ ამის თავმოყრა ერთ ახალ ტანკში გადაწყდა.

ასე გაჩნდა T-55, რომელმაც 1958



57 მმ-იანი თვითმავალი საზენიტო დანადგარი ЗСУ-57

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლისთვის დასრულებული სახე მიიღო. მას მომატებული სიმძლავრის B-55 ტიპის დიზელის ძრავა ჰქონდა. უფრო მჭიდრო კომპონირებით ჭურვების მარაგი 34-დან 43-მდე გაზრდა მოხერხდა. დამატებითი საწვავის ავზებით საწვავის საერთო მოცულობამ 680 ლ-ს მიაღწია. წყალქვეშ გადაადგილების გაუმჯობესებული მოწყობილობის ხარჯზე ტანკს წყალქვეშ ათასი მეტრის გავლა შეეძლო.

ხანგრძლივი სამსახურის მანძილზე T-55-ის კონსტრუქციამ, აღჭურვილობამ და შეიარაღებამ ბევრი ცვლილება განიცადა. დაახლოებით ორ ათეულამდე მოდიფიკაციაა ცნობილი, რომელთაგან გამოსაყოფია:

T-55АД — პირველი სერიული ტანკი იყო, რომელიც ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებსა და ხელყუმბარებზე ზემოქმედების აქტიური სისტემა „დროზდით“ აღიჭურვა.

T-55АМ-ს კოშკურაზე მრავალშრიანი კომბინირებული ეკრანი და ბორტებზე სავალი ნაწილის დამცავი ეკრანები დაემატა.

ამ მოდელზე დაიდგა ცეცხლის მართვის სისტემა „ვოლნა“ და შეიარაღების მართვის სისტემა „ბასტიონი“. ეს უკანასკნელი ლაზერული სხივით ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტის (9M117) 4 კმ-მდე რადიუსში მართვას უზრუნველყოფდა.

1992 წლის აგვისტოში ახალციხეში რუსების მე-10 მსროლელი დივიზიიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო T-55АМ ტიპის 186 ტანკი, რომლის დიდი ნაწილი შემდგომ აფხაზეთის ომში გამოიყენა.

ტანკის შასიზე მზადდებოდა ხიდგამდებები МТ-55 (ხიდის კონსტრუქციის სიგრძე 16 მ) და МТУ-20 (ხიდის კონსტრუქციის სიგრძე 18 მ), საინჟინრო მანქანა ИМР (აღჭურვილი იყო ბულდოზერის დანით, ამწეისრითა და სკრეპერ-გამაფხვიერებლით) და სხვ.

T-54/T-55 ტიპის ტანკებზე გათვალისწინებულია დასაკიდ მოწყობილობათა (გორგოლაჭებიანი ტრალი, სატანკო ბულდოზერი, თოვლმწმენდი და სხვ.) დასამაგრებელი სამარჯვები.

ამ ტიპის ტანკებით სამხედრო სამსახური ბევრი ქვეყნის არმიაში ისევ გრძელდება, ხოლო აზერბაიჯანის არმია T-55-ის შასების საფუძველზე სხვადასხვა დანიშნულების დაჯავშნული ტექნიკის წარმოებას აპირებს.

ცვლილება-გაუმჯობესების მიუხედავად, T-55-ის შეიარაღებაში მთავარი


სატანკო ხიდგამდები МТУ-20

ადგილი უცვლელად 100 მმ-იან ქვემეხს ეკავა, რომელიც 60-იანი წლებისთვის უკვე მოძველებული იყო.

პერსპექტიულ ტანკზე მიმდინარე საკვლევ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში კი ყურადღება ახალ სატანკო ქვემეხზე იყო გამახვილებული. ბრიტანელთა 105 მმ-იანი ქვემეხის პასუხად საბჭოთა კავშირში კუთხვილიანი 100 მმ-იანი Д-54 შეიქმნა.

პროექტი, ფაქტობრივად, T-54/T-55-ის უკვე აპრობირებული კვანძებისა და ახალი ქვემეხის გამოყენებას ეფუძნებოდა, მაგრამ ქვემეხის გაბარიტების გამო კოშკურის თავიდან პროექტირება გახდა საჭირო. გაკეთდა ახალი კოშკურა და კორპუსი სიგრძე-სიგანეში გაიზარდა. ამის გამო ცვლილებები ნაწილობრივ სავალ ნაწილსაც შეეხო.

ახალმა ტანკმა აღნიშვნა T-62A მიიღო, მაგრამ არაერთი დეფექტი ჰქონდა: ლულის მუხრუჭი სროლის სიზუსტეს ამცირებდა, ხოლო ქვიშიან-თოვლიან გარემოში სროლისას ქვიშისა და თოვლის ღრუბელი წარმოიშვებოდა, რომელიც დაკვირვების ხელსაწყოებს აბრმავებდა და ტანკის ადგილმდებარეობას ამჟღავნებდა. ამის გამო ტანკის სერიული წარმოება 1961 წელს შეწყდა.

მაგრამ ახალი ინტერესი საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 100 მმ-იანი გლუვლულიანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის T-12-ის მიღების შემდეგ გაჩნდა. კუთხვილიანთან შედარებით ასეთი ქვემეხის უპირატესობა (გაზრდილი წნევა, ჭურვის ბრუნვის აღმოფხვრა) აშკარა იყო.

მუშაობა დაიწყო Д-54-ის გადასაკეთებლად და გაირკვა, რომ გაბარიტების შეუცვლელად შესაძლებელი იყო


საინჟინრო მანქანა ИМР



2008 წლის აგვისტოში ცხინვალში ქართველი ჯარისკაცების მიერ დაზიანებული რუსული T-62

გლუვლულიანი 115 მმ-იანი ქვემეხის მიღება.

1960-61 წლებში საცდელ ტანკზე ქვემეხის შესაძლებლობები გამოიცადა, ხოლო 1962 წლის ივლისიდან ხარკოვის სატანკო ქარხანა T-62-ის წარმოებას შეუდგა.

თავდაპირველად ტანკები საზენიტო ტყვიამფრქვევების გარეშე მზადდებოდა. დაბალ სიმაღლეებზე რეაქტიულ თვითმფრინავებთან ბრძოლაში ტყვიამფრქვევები ეფექტს არ იძლეოდა, მაგრამ შვეულმფრენების წინააღმდეგ ამართლებდა და ტანკს კოშკურაზე ДШКМ დაემატა.

საბჭოთა კავშირში T-62-ის წარმოება 1972 წელს შეწყდა, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში ლიცენზიით მისი დამზადება 1978 წლამდე გაგრძელდა.

სერიული წარმოების დასრულების შემდეგ შეიარაღებაში მყოფმა ტანკებმა რამდენიმე მოდერნიზაცია გაიარეს. ამ პროგრამებით მოდერნიზებული ტანკებია — T-62M (მიიღო ცეცხლის მართვის ახალი სისტემა „შეკსნა", კომბინირებული ჯავშნით დაიფარა კორპუსი და კოშკურა, მასის მომატებას კომპენსირება უფრო ძლიერმა ძრავამ გაუკეთა), T-62Д (დაემატა აქტიური დაცვის სისტემა „დროზდი"), T-62MB (მრავალშრიანი კომბინირებული დაცვა დინამიკური დაცვით შეიცვალა) და სხვ.

ასევე ცნობილია ტანკის ერთი ვერსია, რომელსაც კიჩოზე „მალიუტკას" ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ორი რაკეტა ჰქონდა. „მალიუტკა" ათას მ-მდე მავთულით იმართებოდა, მაგრამ ეს სისტემა არაეფექტური გამოდგა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობდნენ ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის 42-ე მოტომსროლელი დივიზიის ქვედანაყოფები, რომლებიც T-62/T-62M ტიპის ტანკებით იყვნენ აღჭურვილი.

ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ბრძოლებში ქართველმა მებრძოლებმა ერთი T-62 გაანადგურეს და რამდენიმე დააზიანეს.

**თემურ ჩაჩანიძე**






# წკიპურტები ნასერისათვის

სპეცოპერაციებში ისრაელის არმია CH-53 ტიპის შვეულმფრენებს იყენებდა

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N19, 2011)

## ოპერაციის მსვლელობა

15.10 სთ-ზე შვეულმფრენები ავიაბაზიდან აფრინდნენ და 17.15 სთ-ზე ოფირში ისხდნენ. სამეთაურო პუნქტის ოფიცრებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს. ამ დროისთვის მოვიდა დაზვერვის ინფორმაცია, რომ ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებში განსაკუთრებული მზადყოფნა გამოცხადდა. ეს ღონისძიება სინას ნახევარკუნძულზე ებრაელების აქტიურობამ გამოიწვია.

20.45 სთ-ზე შვეულმფრენები ოფირიდან აფრინდნენ და კურსი ი-ტურისკენ აიღეს, სადაც საწვავი შეივსეს და ძრავები გაიგრილეს.

21.30 სთ-ზე ორმა შვეულმფრენმა კურსი დესანტირების რაიონისკენ აიღო და საათ-ნახევარში დათქმულ ადგილს მიაღწიეს.

22.07 სთ-ზე ოპერაციის რაიონისკენ სარეზერვო შვეულმფრენები გაფრინდნენ.

შვეულმფრენთა მეთაურებს სუეცის ყურის გადალახვისა და მტრის ზურგში შეღწევის გამოცდილება ჰქონდათ და მთელ ყურადღებას ნავიგაციას უთმობდნენ.

ფრენა რთული აღმოჩნდა, რადგან სუეცის ყურის თავზე აღმოსავლეთის ძლიერი ქარი უბერავდა. სანაპირო რადიოსალოკაციო სადგურებისგან თავის ასარიდებლად შვეულმფრენები უკიდურესად დაბალ სიმაღლეზე მიფრინავდნენ.

ზუსტად 23.00 სთ-ზე პილოტებმა დათქმული ადგილი იცნეს და შვეულმფრენის მეთაურმა პერიმ დესანტირებისათვის მომზადების ბრძანება გასცა.

მეწინავე შვეულმფრენმა ძირითადი შვეულმფრენისთვის ადგილის მოსანიშნი კვამლის ყუმბარა ჩამოაგდო და 23.05 სთ-ზე ეს უკანასკნელი მიწაზე დაჯდა.

კაპიტანი მორდეხაი შვეულმფრენიდან გადმოვიდა და დარწმუნდა, რომ დესანტი ზუსტად დათქმულ ადგილზე იყო. მოჩანდა კლდე, სადაც ნაღმსატყორცნების საცეცხლე პოზიციები უნდა განლაგებულიყო. ობიექტი ზუსტად შეესატყვისებოდა აეროფოტოსურათის გამოსახულებას.

როგორც მოელოდნენ ეგვიპტელთა სამხედრო ბაზა მთლიანად განათებული იყო.

შვეულმფრენის უკანა კარიდან ჯარისკაცებმა ნაღმებით დატვირთული ურიკები გამოაგორეს თუ არა, შვეულმფრენმა კურსი ბაზისკენ აიღო.

შვიდი წუთის შემდეგ კლდის შვერილზე უკვე მეორე შვეულმფრენი დაჯდა. მიწაზე მყოფმა ჯარისკაცებმა სწრაფად გადმოცალეს ნაღმსატყორცნები და საცეცხლე პოზიციები მოამზადეს.

23.20 სთ-ზე პირველი სანიშნებელი ნაღმი გაიტყორცნა და 40 წამის შემდეგ, როგორც ფიქრობდნენ, ბანაკის ცენტრში აფეთქდა. ნაღმი ფოსფორული იყო და სამხედროთა სადგომებს ცეცხლი წაეკიდა. სამიზნეს მეორე ნაღმიც მოხვდა.

ამ დროს ერთი შვეულმფრენი ჰაერში „ეკიდა“ და პილოტი ნაღმსატყორცნთა ცეცხლს კორექტირებას უკეთებდა. თუმცა, როგორც მფრინავმა აღნიშნა, ბანაკის ცენტრში აფეთქდა არა პირველი, არამედ მესამე ნაღმი.

ბანაკში შუქი გათიშეს და მეოთხე ნაღმი უკვე სიბნელეში დაეცა. მიუხედავად ამისა, მედესანტეები სროლას არ წყვეტდნენ, რამაც 25 წუთს გასტანა.

დაბნეულმა ეგვიპტელებმა სიტუაცია ვერ შეაფასეს, საჰაერო თავდასხმა ეგონათ და პასუხად საზენიტო ქვემეხების უწესრიგო სროლა ატეხეს.

მედესანტეებს მხოლოდ ერთმა ნაღმმა უმტყუნა და ეგვიპტელთა ზურგში 65 ნაღმის გასროლა მოხერხდა.

ბოლო გასროლა 23.40 სთ-ზე შესრულდა და ოპერაციის რაიონში მესამე შვეულმფრენი მიფრინდა, რის შემდეგაც ასაფეთქებლად მომზადდა ნაღმსატყორცნების საყრდენი ფილები, ლულები და სხვა მოწყობილობები.

პირადი შემადგენლობის ევაკუაციას რამდენიმე წუთი დასჭირდა და 23.55 სთ-ზე შვეულმფრენებმა ოპერაციის ადგილი მაქსიმალური სიჩქარით დატოვეს.

## შედეგები

სინას დასავლეთ სანაპიროზე, მენავთობეთა დაბა აბუ-როდსში მოწინავე საკონტროლო პუნქტის უფროსი ოფიცრები ოპერაციის მონაწილეებს ელოდნენ. დაიწყო ოპერაციის შედეგების პირველადი გარჩევა. დაზვერვის მონაცემებით, დაბომბვის შედეგად ბანაკი დაინგრა, მოწინააღმდეგის მრავალი ჯარისკაცი და მათ შორის ბევრი უფროსი ოფიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა


სუეცის არხის სანაპირო

რი განადგურდა. სპეცრაზმი იმავე დღეს დაბრუნდა ისრაელში.

ეგვიპტის სამთავრობო სატელევიზიო არხის დილის საინფორმაციო გამოშვებაში გამოქვეყნდა ეგვიპტის შეიარაღებული ძალების პრესატაშეს განცხადება: „...ისრაელის თვითმფრინავი ჩვენი საწვრთნელი ცენტრის დაბომბვას შეეცადა, მაგრამ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილებმა შეტევა მოიგერიეს, მტრის თვითმფრინავმა ბომბები ბანაკის ახლოს ჩამოყარა და თავს უშველა“.

ოპერაციის შედეგის დასაფარად ეგვიპტელებმა ყურადღება არხის რაიონში მიღწეულ საკუთარ წარმატებაზე გაამახვილეს.

სამაგიეროდ დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ ეგვიპტელებმა დიდი დანაკარგი განიცადეს. თითქმის მთლიანად განადგურდა სამხედრო ბაზა და დაღუპულ უფროს ოფიცერთა შორის ერთი გენერალ-მაიორიც აღმოჩნდა. ისრაელელთა ჩატარებულმა ბრწყინვალე ოპერაციამ უკვე მერამდენეჯერ აჩვენა, რომ ეგვიპტელები ახალი ომისთვის მზად არ იყვნენ, რაზეც მათი აფექტურობა და დაუცველი ზურგი მეტყველებდა.

ოპერაციამ ეგვიპტელებს დაუკარგა იმის რწმენა, რომ ოდესმე შეძლებდნენ ებრაელთა სპეცრაზმების თარეშის აღკვეთას ზურგში. სპეცრაზმებისა, რომელსაც შეეძლოთ მოწინააღმდეგისთვის დარტყმის მიყენება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილასა და ნებისმიერი საშუალებებით. ოპერაციის შედეგად ეგვიპტელებმა ფრონტიდან მოხსნეს ერთი ბრიგადა და ზურგის დასაცავად გადაიყვანეს.

## ოპერაცია „რავივი“

1969 წლის 10 სექტემბერს ისრაელის თავდაცვის არმიამ ჩაატარა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და უცნაური ოპერაცია, რომელსაც სახელად „რავივი“ დაერქვა. ამ ოპერაციისას სუეცის არხის ეგვიპტურ ნაპირზე გადაისროლეს ექვსი ნაალაფარი საბჭოური ტანკი T-54 და სამი ასევე საბჭოური ჯავშანტრანსპორტიორი БТР-50, რომლებსაც ეგვიპტური ამოსაცნობი ნიშნები ჰქონდათ.

ეკიპაჟებმა ათ საათში ეგვიპტის ზურგში 50 კმ გაიარეს და რეიდისას გაანადგურეს სანაპირო დაცვის 19 პოსტი, ადრეული გაფრთხილების 2 რადიოსალოკაციო სადგური და რამდენიმე სამხედრო ბანაკი.

ეგვიპტელთა დანაკარგმა 150 მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი (ერთი გენერალი) შეადგინა. თავზე ხელაღებულ სპეცრაზმელებს კი მხოლოდ ერთი მებრძოლი დაეჭრათ.

ამ ოპერაციის შემდეგ ნასერმა თანამდებობიდან გაუშვა მთავარი შტაბის უფროსი და სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი.

18 სექტემბერს კი ოფიციალური კაირო იუწყებოდა, რომ ნასერმა ექიმების დაჟინებული მოთხოვნით დროებით შეაჩერა პრეზიდენტის პოსტზე მუშაობა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, პრეზიდენტმა მიკროინფარქტი მიიღო.

დიდია ალბათობა, რომ პრეზიდენტის ჯანმრთელობის გაუარესებაზე ისრაელელთა ოპერაციამ იმოქმედა.

ეგვიპტელებს ვალში დარჩენა არ სურდათ და 1969 წლის 15-16 ნოემბრის ღამით პორტ ეილატში სპეცოპერაცია ჩაატარეს.

ეგვიპტელი საზღვაო კომანდოსები პორტ აკაბიდან (იორდანია) შემოვიდნენ და მაგნიტური ნაღმებით ისრაელელთა ორი სატრანსპორტო Dahlia და Hey Daroma ააფეთქეს.

საპასუხოდ ებრაელებმა წითელი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე პორტ საფაგაში მდებარე სამხედრო-საზღვაო ბაზაზე იერიში დაგეგმეს.

სუეცის არხის ჩაკეტვის შემდეგ ეს პორტი წითელ ზღვაზე ეგვიპტის სამხედრო-საზღვაო ძალების ცენტრალური ბაზის დანიშნულებას ასრულებდა და იქ თავმოყრილი იყო საესკადრო ნაღმოსნები, წყალქვეშა ნავები, სარაკეტო და სატორპედო კატარღები.

თავიდან პორტ საფაგაზე თავდასხმა ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტს დაევალა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ მას მოკლე დროში ამ დავალების შესრულების ძალა არ შესწევდა.

მაშინ ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები მოწინააღმდეგის ბაზისთვის მანკაბადის ბანაკზე თავდასხმის მსგავსი ოპერაციის ჩატარების ინიციატივით გამოვიდნენ.

## ოპერაცია „ბაფალო“

ამ ოპერაციამ კოდური სახელწოდება „ბაფალო“ მიიღო და 1969 წლის 22-23 დეკემბრის ღამით ჩატარდა. იგი „ბოსტანა-39“-ის მიბაძვით დაიგეგმა იმ ოპერაციაში დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით.

დესანტის შემადგენლობაში შევიდა 2 ნაღმსატყორცნ Soltam-ით შეიარაღებული 11 მებრძოლი. ქვედანაყოფი პარაშუტისტთა ბატალიონის მეთაურმა შაი ტამრიმ ჩაიბარა. დანი ლავის კი, როგორც სხვა ოპერაციების დროს, ნაღმსატყორცნელთა მოქმედების მართვა დაევალა.

იმის გამო, რომ შესაძლებელი იყო ეგვიპტელებმა უკვე იცოდნენ, როგორ ჩატარდა ოპერაცია „ბოსტანა-39“, ამიტომ ებრაელებმა ოპერაციისათვის მზადების გასაიდუმლოებას დიდი ყურადღება დაუთმეს.

დაზვერვის მონაცემებით ეგვიპტელებმა მომავალი ოპერაციის რაიონში საბრძოლო მზადყოფნა გაზარდეს.

ამის გამო მარშრუტი შეიცვალა და სამხრეთიდან ხევების გავლით დაიგეგმა, მაშინ როცა ეგვიპტელები თავდასხმას ჩრდილოეთიდან ელოდნენ. შვეულმფრენებს დაბალ ზღვრულ სიმაღლეზე უნდა ეფრინათ, რათა მოწინააღმდეგის რადარებისთვის უჩინარი ყოფილიყვნენ.

ბანაკი გრძელ და ვიწრო სანაპირო ზოლზე იყო გაწელილი და სავარაუდო საცეცხლე პოზიციებიდან არ მოჩანდა. წარმოიშვა გასროლილი ნაღმების მიზანს აცდენის საშიშროება, ამიტომ არჩეულ იქნა დახურული პოზიციებიდან სროლის მეთოდი, რომელიც ფიქციური რეპერის სახელითაა ცნობილი.

მეთოდის არსი შემდეგშია: თავდაპირველად მიზნის მახლობლად ნები მიერ ობიექტს ირჩევენ და მას ესვრიან. სროლის დროს მიმდინარეობს ცეცხლის კორექტირება, რის შემდეგაც ცეცხლი მთავარ სამიზნეზე გადადის. ასეთი სრო-

ლა ნაღმმტყორცნელთა დიდ ოსტატობას მოითხოვს.

არც შვეულმფრენთა პილოტებისთვის იქნებოდა იოლი ცეცხლის კორექტირება, რადგან სავარაუდოდ ეგვიპტელები ელექტრობას სწრაფად გათიშავდნენ და ბანაკს წყვდიადი მოიცავდა. ამიტომ ბანაკის გასანათებლად მოიერიშე A-4 Skyhawk-ი სამიზნის მახლობლად ორ მანათობელ ბომბს ჩააგდებდა და თავის თავზე მიიღებდა ეგვიპტური საზენიტო არტილერიის ცეცხლს, ხოლო ამ დროს კი შვეულმფრენი ნაღმსატყორცნელთა ცეცხლის კორექტირებას თავისუფლად შეძლებდა.

ოპერაცია გეგმის შესაბამისად ჩატარდა. 20 წუთში ნაღმმტყორცნელებმა 100 ნაღმი გაისროლეს და მართალია, უმრავლესობა მიზანს ასცდა, მაგრამ ეგვიპტური სამხედრო ბაზა მაინც დაზიანდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერაცია „ბოსტანა-39“-ის თითქმის გამეორება იყო, ეგვიპტელები მაინც ვერ მიხვდნენ, სინამდვილეში რა მოხდა. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს პრესატაშემ მეორე დღეს ჟურნალისტებს განუცხადა: „ეს იყო ებრაული ავიაციის მორიგი უშედეგო მცდელობა, რომლის დროსაც მოწინააღმდეგის ორი მოიერიშე თვითმფრინავი საფაგას ბაზის დაბომბვას აპირებდა“.

## მომდევნო ოპერაციები

1970 წელს ებრაელებმა მსგავსი ორი ოპერაცია სირიაში და ერთიც ეგვიპტეში ჩაატარეს.

15-16 მარტის ღამით სირიის ტერიტორიაზე ებრაელთა სპეცქვედანაყოფების სამი მოიერიშე რაზმი გადავიდა. ძირითადმა რაზმმა, რომელსაც იცხაკ მორდეხაი მეთაურობდა, ორი ნაღმსატყორცნით ცეცხლი დაუშინა დაბა კატეიფას მახლობლად მდებარე დიდ სამხედრო ბანაკს.

ოპერაციის დროს შვეულმფრენ CH-53-ს, რომელსაც ნეხამია დაგანი მართავდა, დამასკოს თავზეც კი მოუწია გადაფრენამ.

იგივე შვეულმფრენი ახდენდა ცეცხლის კორექტირებას, რომლის სიზუსტეზეც პასუხისმგებელი ისევ დანი ლავი იყო.

მომდევნო ოპერაცია „შეფეტ-35“ სამი თვის შემდეგ ისევ სირიაში ჩატარდა და მისი მიზანი მსხვილი სამხედრო ბანაკის „ნავახის“ განადგურება იყო. ბანაკში სირიის არმიის ახალწვეულები მომზადებას გადიოდნენ.

ბანაკი დამასკოს ჩრდილო-აღმოსავლეთით 70 კმ-ით, ხოლო ისრაელის საზღვრიდან 115 კმ-ით იყო მოშორებული. თერთმეტკაციანი რაზმის უფროსი საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონის მეთაური დორონ რუბინი იყო.

იმავდროულად პარაშუტისტთა მეორე ქვედანაყოფმა ასაფ ხეფეცის მეთაურობით დამასკოდან სამხრეთით ერთ-ერთი მთავარი გზატკეცილის 35-ე კმ-ზე მდებარე ხიდი ააფეთქა.

იმავე წლის 23 ივნისს რიგით მეხუთე და განსხვავებული სპეცოპერაცია ეგვიპტეში ბირ-არიდას სამხედრო ბანაკის გასანადგურებლად ჩატარდა. ამჯერად ნაღმმტყორცნელებთან ერთად ქვეითებიც მოქმედებდნენ, რომლებსაც გზაზე ჩასაფრება უნდა მოეწყოთ და ბანაკის დამცველებთან დამხმარე ძალების მისვლა არ უნდა დაეშვათ.

ბირ-არიდა ზურგის მსხვილ ობიექტად ითვლებოდა, რომლის მოშორებითაც სამხედრო აეროდრომი ბენი-სუეიფი მდებარეობდა. ამ აეროდრომზე ბაზირებდნენ საბჭოთა წარმოების ავიაგამანადგურებლები (პილოტებიც საბჭოელები იყვნენ) და იქვე ეგვიპტელ კომანდოსთა ბატალიონი იყო დისლოცირებული.

ნაღმმტყორცნელებმა თავიანთი მისია შეასრულეს, ხოლო ბაზაში მყოფი მეომრების დასახმარებლად წამოსული ეგვიპტის მოტორიზებული ნაწილი ხაფანგში მოექცა, რის შედეგადაც ორი ჯავშანტრანსპორტიორი თავის ეკიპაჟებიანად განადგურდა.

ამჯერად შვეულმფრენთა ჩამოსაგდებად ბენი სუეიფის აეროდრომიდან გამანადგურებლები აფრინდნენ და მათ დასახვედრად ისრაელმა თავისი თვითმფრინავები გაგზავნა (ისინი იმ რაიონში პატრულირებდნენ), მაგრამ საქმე ბრძოლამდე არ მივიდა. ზღვრულად დაბალ სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენები ეგვიპტელთა მხარეზე მყოფმა საბჭოთა პილოტებმა ვერ შენიშნეს.

## შედეგები

საბრძოლო მოქმედებათა გაჭიანურების გამო ვითარება მოწინააღმდეგისათვის, მათ შორის — ღრმა ზურგშიც, მგრძნობიარე დარტყმების მიყენებას მოითხოვდა. ამ ამოცანის შესრულებას ყველაზე უკეთ ისრაელის ავიაცია მიესადაგებოდა.

ისრაელის არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი ეზერ ვაიცმანი ჩატარებულ ოპერაციებს „წკიპურტებს“ უწოდებდა და მართალიც იყო. სპეცოპერაციათა მიზანი მოწინააღმდეგისათვის ტოტალური ზიანის მიყენება, მისი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი რაოდენობის განადგურება არ არის.

ადამიანების რესურსების, ტექნიკის და ახალი ტაქტიკის გამოყენების გარისკვა ღირდა კი იმად, რომ ნასერს წკიპურტი არცთუ მტკივნეულად მოხვედროდა ცხვირში? რა თქმა უნდა, ღირდა.

სპეცრაზმელთა ნამოქმედარს უქმად არ ჩაუვლია. სპეცრაზმ „საიერეტ მატკალის“ ქვედანაყოფის მეთაური მუკი ბეცერი და „საიერეტ შაკედის“ ხელმძღვანელი დანი ვოლფი, რომლებიც აღიარებული სპეციალისტები იყვნენ, წერდნენ: „ის, რაც ჩვენ ერთ წელიწადში გვაკეთეთ, ზოგიერთი მთელი სიცოცხლე ვერ შეძლებდა. ყველაფერი არ გამოგვდიოდა, ზოგჯერ გამოცდილება და საზრიანობა გვაკლდა, მაგრამ ყველაფრის კომპენსაციას ახდენდა იმპროვიზაციისა და გამოცდილების მიღების წყურვილის უზარმაზარი მოტივაცია“.



პორტ ეილატში არაბ სპეცრაზმელთა საპასუხო ოპერაციის შედეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რაკეტები სანაპიროს დასაცავად

**ზოგიერთი საზღვაო ქვეყანა ტერიტორიული წყლების დაცვის სისტემაში სანაპირო დაცვის საარტილერიო და სარაკეტო კომპლექსების განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს.**

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე გამარჯვებულმა ქვეყნებმა გერმანიის სტრატეგიული მნიშვნელობის ქარხნებსა თუ კვლევით ცენტრებში უამრავი სხვადასხვა სახის იარაღი და სამხედრო ტექნიკის ნიმუში მოიპოვეს, რომლის ანალოგები მათ არ გააჩნდათ.

ომის შემდგომ წლებში აშშ-სა და საბჭოთა კავშირის სამხედრო წარმოებაში მიღწეულ წარმატებებში არც-თუ მცირე დამსახურება გერმანულ იარაღსა და სამხედრო ტექნიკას მიუძღვის.

ორივე ქვეყანამ ატომური ბომბი გერმანელი მეცნიერების დახმარებით შექმნა. პირველი საბჭოური ბალისტიკური რაკეტა Р-1 გერმანული „ფაუ-2“-ის ზუსტი ასლი იყო. ამერიკელები კი მთვარეზე გერმანელი მეცნიერის, ვერნერ ფონ ბრაუნის მიერ შექმნილი რაკეტა „სატურნ V“-ით გაფრინდნენ.

ომის დროს გერმანელები საავიაციო ბაზირების ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებზეც მუშაობდნენ და მათი რეალურ პირობებში გამოყენებაც კი მოახერხეს. ომის მერე ბევრი მათგანი რუსების ხელში აღმოჩნდა.

1950-იანების დასაწყისში საბჭოთა კავშირმა შეიარაღებაში საავიაციო ბაზირების პირველი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა КС-1 Комета მიიღო. შემდგომ ამ რაკეტის საფუძველზე სანაპირო დაცვის კომპლექსები შეიქმნა.

რაკეტებს მცირე გადაკეთება ჩაუტარდათ და სასტარტო ამაჩქარებლები დაემატათ. სანაპირო დაცვისთვის ორი სახის კომპლექსი შეიქმნა — С-2 Сопка სტაციონარული ბაზირებისა იყო და ერთი კომპლექსი ყირიმში ბალაკლავასთან დაიდგა.

მეორე — С-1 Стрела-ს რაკეტა სტარტს მობილური სპეციალური მისაბმელიდან იღებდა. ამ შემთხვევაში რაკეტის ფრენის მანძილი 15-დან 95 კმ-ის ფარგლებში ვარირებდა და ასეთი კომპლექსი ჩრდილოეთის ზღვაში კუნძულ კილდინზე განთავსდა.

მობილური კომპლექსი ბატარეის სახით მოქმედებდა. მის შემადგენლობაში 2 გამშვები დანადგარი, КСС-2-ის ტიპის რაკეტები, საკომანდო პუნქტი, სამიზნის აღმომჩენი და რაკეტების დამიზნების რადიოლოკაციური სადგურები და სხვა ტექნიკა შედიოდა.

„სტრელათი“ საბჭოთა ფლოტის სანაპირო დაცვის 7 ცალკეული სარაკეტო პოლკი იყო აღჭურვილი და კიდევ ერთი კომპლექსი პოლონეთის სანაპიროს დაცვას უზრუნველყოფდა.

გავიდა დრო და КСС-2-ის ტიპის რაკეტები მოძველდნენ. იყო სხვა სირთულეებიც. ბატარეა ძალიან ბევრ ელემენტს აერთიანებდა, რაც მობილურობასა და გადაადგილებას ართულებდა. არც ისე მცირე იყო მარშიდან საბრძო-

მოდიფიკაცია — КСС-2
სიგრძე — 8.48 მ
ფრთის გაქანი — 4.7 მ
წონა — 3419 კგ
საბრძოლო ქობინის წონა — 1010 კგ
საბრძოლო ქობინის ტიპი — მსხვრევად-ფუგასური
ფრენის მანძილი მაქსიმალური — 95 კმ



სანაპირო დაცვის პირველი საბჭოური მობილური სარაკეტო კომპლექსი „სტრელა“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთტონიანი საბრძოლო ქობინის წყალობით, თეორიულად „რედუტს“ ავიამზიდის ჩაძირვაც შეუძლია

კომპლექსი — Редут
რაკეტის ტიპი — П-35Б
სროლის მანძილი — 25/270/460 კმ
ფრენის საშუალო სიჩქარე — 1.5 M
რაკეტის ფრენის სამარშო სიმაღლე — 400/4000/7000 მ
რაკეტის სიგრძე — 9.45 მ
ფრთის გაქანი — 2.6 მ
სასტარტო მასა — 4500 კგ
საბრძოლო ქობინის ტიპი — მსხვრევად-ფუგასური საბრძოლო ქობინის მასა — 1000 კგ
საბრძოლო ქობინის ტიპი — ბირთვული
საბრძოლო ქობინის სიმძლავრე — 350 კტ
გამშვები მანქანა — БАЗ-135МБ
თვლების ფორმულა 8X8
გამშვები დანადგარის მასა — 18 ტ
კომპლექსის გათვლა — 5 კაცი

ლო მდგომარეობაში მოყვანის დროც.

1960 წელს ჩელომეის საკონსტრუქტორო ბიურომ (სხვათა შორის საბჭოთა პერიოდში საზღვაო ბაზირების ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებს მხოლოდ ეს ორგანიზაცია ქმნიდა), სანაპირო დაცვის ახალ ოპერატიულ-ტაქტიკურ კომპლექსზე დაიწყო მუშაობა. უნიფიკაციის მიზნით ახალ კომპლექსს Редут-ი ეწოდა და П-35 ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტები გამოყენებაზე იყო გათვლილი. „რედუტი“ ყველა ტიპის საზღვაო სამიზნის განადგურებას შეძლებდა.

კომპლექსის გამოცდები 1963 წელს დაიწყო და სამი წლის შემდეგ ის შეიარაღებაშიც მიიღეს.

კომპლექსის პოზიციაზე გასვლის შემდეგ, ბატარეის შემადგენლობაში შემავალი რადიოლოკაციური სადგური სამიზნის აღმოჩენას ახდენს. მისი სახელმწიფო კუთვნილების დადგენის შემთხვევაში კი სისტემა ავტომატურად ირჩევს, თუ რომელი დანადგარიდან მოხდეს რაკეტის გაშვება.

რაკეტა კონტეინერში ინახება და სტარტისთვის ორ მყარსაწვავიან რაკეტულ ამაჩქარებელს იყენებს. მათი მუშაობის ხანგრძლივობა მხოლოდ 2 წმ-ია, მაგრამ ეს საკმარისია საავიაციო ნავთზე მომუშავე რეაქტიული სამარშო ძრავის ასამუშავებლად.

შეიარაღებაში მიღების შემდეგ „რედუტით“ პირველად 1972 წელს ბალტიის ფლოტის მე-10 ცალკეული სანაპირო სარაკეტო პოლკი აღიჭურვა.

საბჭოთა პერიოდში „რედუტები“ შავი ზღვის აკვატორიასაც იცავდნენ. კომპლექსები მეტწილად ყირიმში ბაზირებდნენ და შავი ზღვის ფლოტის მთავარ ბაზას — სევასტოპოლს იცავდნენ.

**რამდენჯერმე „რედუტები“ ყირიმიდან ბულგარეთში გადაისროლეს, საიდანაც რაკეტები დარდანელის სრუტეს და ეგეოსის ზღვის ნაწილს ფარავდნენ. ომის შემთხვევაში შავ ზღვაში შემოსული NATO-ს სამხედრო ხომალდების განადგურება სწორედ აქედან უნდა მომხდარიყო.**

„რედუტი“ ბატარეის სახით მოქმედებს, რომელშიც 3 გამშვები დანადგარი შედის. 5-6 ბატარეისგან (15-18 გამშვები დანადგარი) დივიზიონი ყალიბდება, ხოლო 3 დივიზიონი ბრიგადას (45-54 გამშვები დანადგარი) ქმნის.



უკრაინისთვის გადაცემის შემდეგ, უნიკალური კომპლექსი „სოპკა“ სრულად გაიძარცვა, შემდგომ კი მუზეუმად იქცა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„რუბეჟის" მთავარი უპირატესობა, მასზე რაკეტების ორი გამშვები კონტეინერის არსებობაა

საბჭოთა კავშირის დაშლის წინ ბალტიის ფლოტს 6 დივიზიონი, შავი ზღვისას — 5 დივიზიონი, ჩრდილოეთისას — 3, წყნარი ოკეანის ფლოტილიას კი — 5 დივიზიონი ჰყავდა. დღეისთვის რუსეთის შეიარაღებაში არსებული კომპლექსების ზუსტი რაოდენობა უცნობია.

კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი რაკეტის ფრენის მაღალი სიჩქარე, ზრდის მოწინააღმდეგის ხომალდის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გარღვევის ალბათობას. სროლის დიდი მანძილის წყალობით კი კომპლექსებს, სანაპიროს დაცვა რამდენიმე ასეულ კილომეტრზე შეუძლიათ. ძლიერი საბრძოლო ქობინი კი პრაქტიკულად ნებისმიერი კლასის სამხედრო ხომალდს ანადგურებს.

იმავდროულად „რუბეჟს" მინუსებიც აქვს. მოძველებულ რაკეტას დიდი გაბარიტები აქვს და გამშვებ დანადგარზე მხოლოდ ერთი ცალი თავსდება. გამშვებ დანადგარს კი ავტონომიური საბრძოლო ერთეულის სახით მოქმედება არ შეუძლია.

**1954 წელს, ზღვიდან შემოტევებისგან სევასტოპოლის დასაცავად, ყირიმში ბალაკლავის მთებში საიდუმლო ობიექტის მშენებლობა დაიწყო. „ობიექტი 100" სანაპირო დაცვის მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა კომპლექსი უნდა ყოფილიყო. შემდგომ მას Сопка ეწოდა.**

კომპლექსი — Рубеж
რაკეტის ტიპი — П-15М
სროლის მანძილი — 80 კმ
ფრენის საშუალო სიჩქარე — 1100 კმ/სთ
რაკეტის ფრენის სამარშო სიმაღლე — 25/50/250 მ
რაკეტის სიგრძე — 6.56 მ
ფრთის გაქანი — 2.5 მ
სასტარტო მასა — 2523 კგ
საბრძოლო ქობინის ტიპი — მსხვრევად-ფუგასური
საბრძოლო ქობინის მასა — 513 კგ
საბრძოლო ქობინის ტიპი — ბირთვული
საბრძოლო ქობინის სიმძლავრე — 15 კტ
გამშვები მანქანა — МАЗ-543
თვლების ფორმულა 8X8
გამშვები დანადგარის მასა — 40.9 ტ

ობიექტი ერთმანეთისგან 6 კმ-ით დაშორებულ ორ ერთნაირ მიწისქვეშა კომპლექსსა და სასტარტო მოედანს აერთიანებდა. მიწისქვეშა ნაგებობები ატომური იარაღისგანაც დაცულები უნდა ყოფილიყვნენ. შემდგომ აქ უნდა განლაგებულიყო სამეთაურო პუნქტი, რაკეტების საწყობები. მიწისქვეშა კომპლექსი სრულიად ავტონომიური იყო. ამისთვის ობიექტს თავისი ელექტრომომარაგება, წყლისა და საკვების მარაგი გააჩნდა.

საბრძოლო მორიგეობაზე „სოპკა" 1957 წელს დადგა და მის ბაზაზე 362-ე სანაპირო დაცვის ცალკეული სარაკეტო პოლკი ჩამოყალიბდა. 1965 წლამდე პოლკმა რაკეტების 25 გაშვება განახორციელა.

ასაკის მიუხედავად, დღესაც „რუბეჟი" ათამდე ქვეყნის სანაპირო ზოლს იცავს



1961 წლიდან დაიწყო „სოპკას“ ეტაპობრივი მოდერნიზაცია. პროცესი პირველ რიგში კომპლექსის ახალ П-35-ის ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებით გადაიარაღებას შეეხო და მისი გაბარიტებიდან გამომდინარე, მიწისქვეშა ნაგებობები გაფართოვდა.

პოლკი აქ საბჭოთა კავშირის დაშლის ბოლომდე ბაზირებდა. 1996 წელს კი შავი ზღვის ფლოტის გაყოფასთან ერთად, „ობიექტი 100“ უკრაინას დარჩა.

„რუბეჟი“ დიდ მანძილებზე მოქმედებდა, ხოლო ახლო დისტანციებისთვის საბჭოთა კავშირს სანაპირო დაცვის სხვა სარაკეტო სისტემები დასჭირდა.

ახალ ხომალდსაწინააღმდეგო კომპლექსს Рубеж-ზე მუშაობა საჭოთა კავშირში 1970 წელს დაიწყო. კომპლექსისთვის П-15М „ტერმიტის“ ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა შეირჩა. მობილურობისთვის რაკეტები, გამშვები კონტეინერები და სამიზნის აღმომჩენი საშუალებები მაღალი გამავლობის რვათვლიანი МАЗ-543 შასიზე განლაგდა.

ერთ მანქანაზე მოთავსდა საბრძოლო გათვლის სამუშაო ადგილები. კომპლექსის „ჰარპუნის“ ტიპის რადიოლოკაციურ სადგურს სამიზნის აღმოჩენა 40-დან 100 კმ-ის მანძილზე შეუძლია. რაკეტის ფრენის მაქსიმალური მანძილი კი 80 კმ-ია. სამარშო მდგომარეობიდან საბრძოლოში გადასასვლელად „რუბეჟს“ სულ 5 წუთი სჭირდება.

თავად „ტერმიტის“ ტიპის რაკეტა 2523 კგ-ს იწონის, საიდანაც 513 კგ საბრძოლო ქობინზე მოდის. საჭიროებიდან გამომდინარე, მსხვრევად-ფუგასური საბრძოლო ქობინის ნაცვლად მასზე 15 კილოტონა სიმძლავრის ბირთვული ქობინის დაყენება შეიძლება. კონტეინერში ნაკლები ადგილის დასაკავებლად რაკეტას ფრთები ეკეცება. რაკეტის ფრენის სამარშო სიმაღლე 25, 50 ან 250 მ შეიძლება იყოს და მისი განსაზღვრა სტარტის წინ ხდება.

„რუბეჟის“ ბატარეა ოთხ გამშვებსა და ამდენივე დამტენ მანქანას აერთიანებს. თუმცა საბრძოლო მანქანას დამოუკიდებელი ერთეულის სახითაც შეუძლია მოქმედება.

საბჭოთა კავშირი კომპლექსს მოკავშირე და მოძმე ქვეყნებს აქტიურად აწვდიდა. სხვადასხვა დროს ის რუმინეთის, კუბის, ბულგარეთის, ალჟირის, სირიის, ეგვიპტის, იემენის შეიარაღებაში იყო ან ახლაც იმყოფება. სწორედ საბჭოთა კავშირიდან მოხვდა „რუბეჟი“ ლიბიაში 1980-იანი წლების ბოლოს.

**საერთოდ ამ ტიპის რაკეტების პირველი საბრძოლო გამოყენება 1967 წლის 21 ოქტომბერს მოხდა. იმ დღეს მდინარე ნილოსის დელტაში, ორმა ეგვიპტურმა სარაკეტო კატარღამ, ოთხი რაკეტის გამოყენებით ებრაული საესკადრო ნაღმოსანი „ეილატი“ ჩაძირა. მსოფლიო პრაქტიკაში ეს ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გამოყენების პირველი შემთხვევა იყო.**

სხვათა შორის, საბრძოლო პირობებში „რუბეჟის“ გამოყენება სულ ახლახან 4 აგვისტოს მოხდა. მუამარ კადაფის რეჟიმის საწინააღმდეგო სამხედრო კამპანიაში ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ლიბიის სამთავრობო ჯარებისგან მორიგი სიურპრიზი მიიღო.

**იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფრეგატი „ბერსალიერე“ ლიბიის ტერიტორიული წყლების მახლობლად საბრძოლო პატრულირებას ახორციელებდა, როცა მასზე თავდასხმა განხორციელდა — ლიბიის სანაპიროდან იტალიურ ხომალდს ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა ესროლეს. მართალია, რაკეტა ხომალდისგან 2 კმ-ის მოშორებით ჩავარდა ზღვაში, მაგრამ მომხდარმა ყველა საგონებელში ჩააგდო.**

ლიბიის წინააღმდეგ, საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ, კოალიციურმა ჯარებმა სრულად იცოდნენ კადაფის ხელთ არსებული საბრძოლო ტექნიკის ნომენკლატურა. მათ შორის „რუბეჟის“ შესახებაც. ლიბიის საზღვაო ბლოკადის დაწყების წინ NATO-ს ავიაციამ პირველი დარტყმები, სწორედ ამგვარი საბრძოლო ტექნიკის ბაზებსა და საწყობებზე მიიტანა.

საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან რამდენიმე დღეში ინტერნეტში ფოტოებიც კი დაიდო. მათზე ერთ-ერთი დაბომბილი ლიბიური სამხედრო ბაზა იყო ასახული. ბაზაზე „რუბეჟის“ ტიპის კომპლექსები და მათი რამდენიმე ათეული რაკეტა ინახებოდა.

საინტერესო ის არის, რომ „რუბეჟის“ შემთხვევაში სამიზნის დაფიქსირება რადიოლოკაციური სადგურით ხდება. შესაბამისად ხომალდზე მყოფ ეკიპაჟს უნდა სცოდნოდა მომავალი საფრთხის შესახებ.

**ალექსანდრე აფაქიძე**

**ფრენის მაღალი სიჩქარის წყალობით, სტარტიდან სულ რაღაც რამდენიმე წამში რაკეტა მიზანს მოხვდება**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ხდებოდა რეზერვში

## პალდოს ბაზაში გატარებული 16 დღე



(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N18-19, 2011)

### 26 ივნისი

დილის ვარჯიშზე უკვე რამდენიმე კაცით ნაკლები გავდივართ. ზოგმა ფეხი აიტკივა, ზოგიც გაცივდა სიცხეში. მე ჯერ ვუძლებ. რეზერვში წასვლამდეც დავრბოდი დილაობით და მეტ-ნაკლებად ფორმაში ვარ.

საუზმის შემდეგ ლექცია გვაქვს ველზე. თემა – პირველადი სამედიცინო დახმარება ბრძოლის დროს დაშავებულებისთვის. ჩვენს ოცეულში ერთი რეზერვისტი მოქმედი ექიმია და სერჟანტთან ერთად ლექცია მან ჩაატარა. საინტერესო იყო.

შემდეგ ვარჯიში გვაქვს ტაქტიკურ გადაადგილებაში. ეს ყველაზე დამღლელია. მაგრად ცხელა. გადარბენები, ცოცვა, ხოხვა, თან ეს უნდა ვაკეთოთ კოორდინირებულად. ჩასაფრებები. ასევე მოწინააღმდეგეებად გვყოფენ და ერთმანეთს ვუპირისპირდებით. ბავშვობის დროინდელი ომობანას თამაშის მსგავსია. მაგრამ აქ უკვე მითითებული ტაქტიკით უნდა გადაადგილდე, ჩაუსაფრდე, ესროლო...

ზოგ რეზერვისტს უკვე ძალიან დაეძაბა ნერვები. სერჟანტების მიმართ პრეტენზია მატულობს. ერთმანეთთანაც არ არის ძალიან თბილი დამოკიდებულება, თუმცა ჩხუბამდე საქმე არ მიდის. აქ ჩხუბი ნიშნავს ჯარიმას, ჰაუპტვახტს, რეზერვის ჩაუთვლელობას და კიდევ, გააჩნია, რა ხასიათზე იქნება ბატალიონის მეთაური.

ასე რომ, ნერვების მოთოკვას ხალხი მაინც ახერხებს.

მე როგორც ყუმბარსატყორცნის მსროლელს, მეორე დღეა ავტომატთან ერთად ყუმბარსატყორცნიც ზურგზე აკიდებული დამაქვს. ავტომატის წონა 3,8 კგ-ია, ყუმბარსატყორცნის კი 6,3 კგ-ია.

საღამოს ყუმბარსატყორცნის ჩაბარების დრო დადგა, საწყობის უფროსმა თითქმის ყველას რამდენჯერმე დაგვიწუნა იარაღის სისუფთავე. რას ვიზამ, უნდა მოეწონოს. ასეულის მეთაურიც მომეხმარა და ერთად გავწმინდეთ. კარგია მეთაურის ასეთი დამოკიდებულება. ბოლოს, როგორც იქნა, საწყობმა მიიღო და ჩაიბარა. დავისვენე, ერთი იარაღით ნაკლები ტვირთი მაქვს.

უკვე სერჟანტებიც მშვენივრად ხედავენ, რეზერვისტებს შორის ბევრს უმტყუნა ნერვებმა. ცდილობენ, სიტუაცია განმუხტონ. ვიცით, დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, დარეკვის საშუალებას რომ არ გვაძლევენ. ჩვენი სერჟანტი ამბობს, მობილური მეც რომ ჩამაბარებინეს კრწანისში, მას შემდეგ ჩემებმა არც კი იციან, სად და როგორ ვარ. აბა, მე როგორ გიშველოთო. ბრძანებაა ასეთი და უნდა დავემორჩილოთ. ასეთია ჯარის ცხოვრება.

საღამოს მოგვაწყვეს და გვითხრეს, რომ კონცერტი იქნება. თურმე რამდენიმე რეზერვისტი შეურჩევიათ და რამდენიმედღიანი რეპეტიციების შემდეგ, ხალხური სიმღერები მოამზადეს. რა ხანია გამოკეტილები ვართ და გავერთეთ.

### 27 ივნისი

3 დღე გვრჩება რეზერვის დასრულებამდე. დრო ნელა გადის. დღეს ველზე ტაქტიკური გადაადგილებები გვაქვს. ისევ გადარბენები, ხოხვა, ჩასაფრება. საინტერესოდ კი მეჩვენება ეს ყველაფერი, მაგრამ აშკარაა, რეზერვისტებში ნერვების საქმე უარესდება. ერთ-ერთ რეზერვისტს სერჟანტთან მოუხდა შელაპარაკება. სერჟანტებსაც მოჰბეზრდათ კინკლაობები და თვითონაც ეჩქარებათ რეზერვის დროზე დასრულება.

საღამოს სამწყობრო ნაბიჯით გადაადგილებაა სიმღერის თანხლებით. ზოგს ეზარება, ზოგს, ალბათ, არც შეუძლია. მწყობრში თუ ვინმე ურევს, მთელი მწყობრი არეულად ითვლება. ამიტომ თავიდან გვიწევს დაწყება. ნერვები უკვე ერთმანეთზეც გვეშლება. კარგად დავიღალეთ. ჩვენი სამწყობრო ნაბიჯის გასწორებას გვიანობამდე ვარჯიშმაც ვერ უშველა.

### 28 ივნისი

დილით ჩვენი ასეულიდან ყუმბარსატყორცნის მსროლელების გარდა ყველა კრწანისში წაიყვანეს. ავტომატით სროლა აქვთ. ვინც ბაზაში დაგვტოვეს, სხვა ასეულთან ერთად გაგვანაწილეს. გავედით ველზე, სადაც იგივე ლექცია მოვისმინეთ, რაც წინა, დღეს ჩაგვიტარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და – გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ბრძოლის დროს დაშავებულთათვის. ისედაც გაძლებაზე ვართ და ერთი და იმავეს მოსმენა უარესად გვღლის.

საღამოს ვარჯიში იყო. ფიზიკური დატვირთვა უფრო შველის ნერვებს. დაღლილი ადამიანი ნაკლებად ფიქრობს წუწუნსა და პრეტენზიებზე.

საღამოს მოწყობაზე ასეულის სერჟანტმა გვითხრა, რომ 2 დღეც როგორმე გავძლოთ და ხვალისთვის სანგრების სათხრელად მოვემზადოთ. 2 დღეში კი 12-კილომეტრიანი მარში გვექნება. ისევე როგორც ყველა საღამოს მოწყობის შემდეგ, ასეულის მეთაურის ბრძანება იყო, „10 წუთში, ყველა წევს თავის საწოლში და კარვებში ვქრობთ შუქს. ვინც ვერ მოასწრებს, დაისჯება!" ასეთ ტემპს შეჩვეული ვართ და მოსწრებაც პრობლემა არ არის. 10 წუთში ვწვებართ კიდეც და არც მაინცდამაინც ლაპარაკის თავი გვაქვს. დღეს მაგრად დავიღალეთ. თან, აბანოს რიგში კარგა ხანს მომიწია ნიავზე დგომამ და ვგრძნობ, შემცივდა. გვერდით კარვიდან ხმაური ისმის, ბიჭები რაღაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ, არის სიცილი და ერთი ამბავი. უცებ გარეთ ჩოჩქოლი ატყდა. რეზერვისტებს სასწრაფოდ ჩაცმა და მოწყობა უბრძანეს. როგორც ჩანს, გარეთ სეირნობისთვის და ხმამაღალი ლაპარაკისთვის დაისაჯნენ. მოკლედ, განგაშის მსგავსი ამბები ჩაუტარეს. ჩვენი ოცეული გადარჩა.

## 29 ივნისი

დილიდან ჯარისკაცის ნიჩბები დაგვირიგეს და ველზე წავედით. სანგრები უნდა ამოვთხაროთ. თითო ათეული 2 სანგარს ვთხრით. დავნაწილდით. ძალიან ცხელა და მზის გულზე მიწის თხრა არცთუ იოლი საქმეა. გასაწურები გავხდით ყველანი. კარგი სანგარი ამოვთხარეთ, შემოწმებისას სერჟანტს არ დაუწუნებია.

ბაზაში დაბრუნებულებს სარეზერვო მომზადების შთაბეჭდილებების ანკეტები შეგვავსებინეს. რა არ მოგვეწონა? – ამ შეკითხვაზე უპირობო ლიდერი ტუალეტია. მეორე ადგილზე დარეკვის აკრძალვაა. დანარჩენი ვის როგორ. მოწონებაშიც სხვადასხვა ვარიანტია. ზოგს ვარჯიში მოეწონა, ზოგს — არა. ზოგს კვება მოეწონა, ზოგს პირიქით.

საღამოს იარაღის გაწმენდა დაგვავალეს. მოკლედ, სულ 9 ტყვია ვისროლე ჩემი ავტომატით და, ალბათ, 9-ჯერ მაინც გავწმინდე. თან, სერჟანტს ავტომატის სისუფთავეს იოლად ვერ მოაწონებ. მოკლედ, ავტომატების წმენდაში ვვარჯიშობთ. იარაღის შესახებ ლექციებს პროფესიონალი სერჟანტი გვიტარებს. „კალაშნიკოვის" ტიპის ავტომატები გუშინდელი დღეა. ახლა მოდური ამერიკული M4-ია. ვთხოვეთ და არ დაგვზარდა, საკმაოდ ვრცელი ლექცია სწორედ M4-ს მიუძღვნა. იარაღის დაშლა ჩვენ თვალწინ დაიწყო. „კალაშნიკოვთან" შედარებით ამერიკულ ავტომატს გაცილებით მეტი დეტალი აქვს. ბოლომდე შლის და ყველა წვრილმანი დეტალის ქართულ დასახელებას გვეუბნება. შემდეგ ნებისმიერ ჩვენგანს დასახელების გამეორებას სთხოვს.

საღამოს სამხედრო ზურგჩანთებსა და ფორმებზე ჩვენი გვარები დაგვაწერინეს. ეს ნიშნავს, რომ რომელი ფორმაც გვაცვია, სხვა დროსაც იმავეს ჩავიცვამთ. ჩვენი რეზერვიდან წასვლის შემდეგ, ამ ფორმას და ფეხსაცმელებს გარეცხავენ და ჩვენსავე ზურგჩანთებში შეინახავენ.

მაგრამ ჯერ წინ 12-კილომეტრიანი მარში გველოდება. ხვალ მთელი აღჭურვილობით უნდა ვიაროთ. ზურგჩანთაში მჭიდები, ჩაფხუტი, კარდალა, წყალი გვაქვს, მხარზე კი ავტომატი გადაკიდებული. თან, ასეთ სიცხეში...

აბანოს რიგში დგომისას ნიავი უბერავდა და, მგონი, მაგრად გავცივდი.

## 30 ივნისი

წუხელ ვიგრძენი, რომ ტემპერატურამ ამიწია. წინა დღეებში სხვები იყვნენ მსგავს და ზოგიც უარეს დღეში. როგორც ბიჭებისგან ვიცი, ლაზარეთი წამლების სიუხვით ვერ დაიკვეხნის. მეზარება იქ მისვლა. თან, დღეს მარშია და ლაზარეთში რომ მივიდე, შეიძლება იფიქრონ, თვალთმაქცობს და 12-კილომეტრიან მარშს ემალებაო. ამიტომ რაც იქნება, იქნებას პრინციპით ვემზადები მარშისთვის.

9-ის ნახევარზე გავედით ბაზიდან. გზაში ჩანთა და ავტომატი მძიმდება. სიარული ზოგს უკვე უჭირს. ერთმანეთთან მხოლოდ ხელის მოძრაობით და პირობითი ნიშნებით გვაქვს ურთიერთობის უფლება, ამიტომაც მწკრივებში წუწუნი არ ისმის. გზადაგზა ჩვენი ტაქტიკური გადაადგილების ფორმები იცვლება. ზოგჯერ ჩასაფრების საწინააღმდეგო პოზიციაშიც გვიწევს ყოფნა. მოკლედ, ომობანას ვთამაშობთ, მაგრამ სამხედრო წესების დაცვით და ტყვიის გარეშე.

აღმართს დაღმართი ცვლის, ველს — ტყე. ჩვენ კი მივდივართ. ამასობაში თურმე 6 კილომეტრი გაგვივლია. უკან ვბრუნდებით. სერჟანტებიც თან მოგვყვებიან. ასეულის მეთაურმა მარშ-ნახტომის ბრძანება გასცა. მარშ-ნახტომი აღჭურვილობიანად სირბილს ნიშნავს. ბევრმა რეზერვისტმა სირბილზე უარი თქვა. ძალიან ცხელა. ლამის გასაწურები ვართ. „ვინც ვერ ირბენს, უკან ნაგვის მანქანა მოგვყვება და იმას გამოჰყევით", — ყვირის სერჟანტი. სინამდვილეში უკან სამხედრო „კრაზი" მოგვყვება და ვისაც არ შეუძლია ან სირბილი ეზარება, შეუძლია მანქანის ძარაზე ავიდეს.

ჩვეულებრივ სიტუაციაში არ ირბენ და მორჩა. **აქ უკვე ღირსების ამბავია, უნდა გაძლო. სერჟანტი ყვირის: „ჩვენს ბიჭებს უჭირთ, დროზე თუ არ მივედით, დაიხოცებიან! ასეულო, სირბილით იარ!" გარბის და ჩვენც გავრბივართ. ვგრძნობ, სიცხე მაქვს. ალბათ, 2 კილომეტრი ვირბინეთ. ფეხები გადამელალა. არ გავჩერდით. ბაზაში ქანცგაწყვეტილები შევედით. მაინც გვიხარია, ხვალ შინ მივდივართ.**

ჩვენი განუყრელი ატრიბუტის – ავტომატის ჩაბარების დრო დადგა. 14-დღიანი ერთად ყოფნის შემდეგ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. კიდევ ერთხელ მოგვიწია ავტომატების წმენდამ. მარშის დროს დაიმტვერა. გაწმენდის შემდეგ დავზეთეთ და, როგორც იქნა, ჩავაბარეთ საცავში. თუ ომი დაიწყო, მე





ყველაზე სახალისო მაინც მიზანში სროლა იყო

ამ იარაღით მომიწევს ბრძოლა. მაგრამ, იმედია, არც ომი დაიწყება და არც ამ იარაღს მომცემენ, ძალიან ძველია.

იარაღის ჩაბარების შემდეგ უკვე ცალი ფეხი შინ გვაქვს და აღარ ისმის წუწუნი და გაუსაძლის პირობებზე ლაპარაკი. როგორც იქნა, ფორმების გახდის ჯერიც დადგა. სამოქალაქო ტანსაცმელი ჩავიცვით და ამოვისუნთქეთ. ერთფეროვანი სამხედრო ბაზა უცებ აჭრელდა.

სერჟანტი გვაჩქარებს. დღეს მოვასწროთ ტანსაცმლის ჩაბარებაც, რომ ხვალ დროზე წავიდეთ. როგორც ვატყობთ, ჩვენზე ნაკლებად არ ეჩქარებათ რეზერვის დასრულება.

ვახშმის შემდეგ ვაბარებთ ტანსაცმელსა და ზურგჩანთებს. უკვე გვიანია, მაგრამ არავინ ფიქრობს დროის მიხედვით დაძინებაზე. მთავარია, დღეს მოვასწროთ ყველაფერი და დილით დროზე გავიდეთ ნაწილიდან.

## 1-ელი ივლისი

დილიდან საზეიმო განწყობაა: დღეს შინ წავალთ, 1 დღეც ავიტანთ ტუალეტსაც და სხვა ყველაფერს, რაც აქ ძალიან არ მოგვწონს. საუზმის შემდეგ მოწყობაა. რამდენიმე რეზერვისტს სიგელებიც გადასცეს. ყველას მოგვცეს ცნობა, რომ ჩვენ გავიარეთ სარეზერვო შეკრება და ცნობა შეგვიძლია სამსახურში წარვადგინოთ.

შემდეგ მობილური ტელეფონების დაბრუნების ცერემონიალიც გაიმართა. სერჟანტები გვებოდიშებიან, ძალიან გვინდოდა, ერთხელ მაინც მოგცემოდათ დარეკვის საშუალება, მაგრამ რა ვუყოთ, **„მაღლიდან" კატეგორიულად მოითხოვეს, რომ მობილურები არ ჰქონდეთ რეზერვისტებსო.** ახლა ვიღას ახსოვს ეს, მთავარია, დასრულდა ჩვენი „ტყვეობა". გაგვაფრთხილეს კიდეც, სანამ ნაწილის ტერიტორიაზე ხართ, ტელეფონებს ნუ გამოიყენებთ, არ შეიძლებაო. ვინ უყურებს ამ აკრძალვას? ცნობა, რომ რეზერვი პატიოსნად მოვიხადეთ, გვაქვს. ამიტომ ჩუმ-ჩუმად დარეკვაც შეიძლება.

ამასობაში სამხედრო „კრაზებიც" ჩამოდგნენ და რამდენიმე ავტობუსიც. ვინ დაეძებს, სად მოხვდება, მაგრამ მაინც კარგია, საკმაოდ კომფორტულ ავტობუსში აღმოვჩნდი. სერჟანტი დაგვპირდა, ტრანსპორტი მეტროსადგურ „სამგორამდე" მიგვიყვანთო. ვემშვიდობებით სერჟანტებს და ვფიქრობ, რომ ეს 16 დღე ცუდად გასახსენებელი მაინც არ იქნება. ბევრი რაღაც ვისწავლე. 16 დღეში, ალბათ, მეტის სწავლა ძნელად შეიძლება.

## რა ჯდება თითო რეზერვისტის მომზადება

რა ჯდება რეზერვისტის მომზადება, ძნელი სათქმელია. ჭორად გაგვიგია, რომ დაახლოებით 5.000 ლარამდე.

ჩამოვთვლი რაც რეზერვში მივიღე:

1. ბათინკები. ნორმალური ფეხსაცმელია. გამოცდილი სერჟანტები ამბობენ, რომ წლების წინანდელს ბევრად სჯობს.
2. შარვალი. პრობლემა ის იყო, რომ ჩემი ზომა არ აღმოაჩნდათ და დიდი ჩამაცვეს. სხვა მხრივ, არ დაიწუნება.
3. ორი სამხედრო მაისური. ესენი პატარები იყო.
4. სამხედრო მოსაცმელი, ე. წ. „ხებე". ჩემი ზომა შემხვდა.
5. სამხედრო ქუდი. ძალიან პატარა იყო.
6. ორი პირსახოცი.
7. ორი ტრუსი.
8. ხელისა და სარეცხის საპონი.
9. სასაპნე.
10. ორი ერთჯერადი საპარსი.
11. კბილის ჯაგრისი.
12. კბილის პასტა.
13. სამხედრო ჩანთა.
14. ჩაფხუტი. ძველი, საბჭოთა მოდელი. საკმაოდ მოუხერხებელი.
15. კარდალა.

გარდა ამისა, ავტომატით სროლისას გავხარჯე 9 ტყვია, სასწავლო ყუმბარსატყორცნით 6 ტრასირებადი ტყვია, საიდანაც 2 არ გავარდა; 3 ცალი საბრძოლო ჭურვი, თუმცა არა ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური, არამედ ქვეითსაწინააღმდეგო მსხვრევადი.

ასევე, 16 დღის მანძილზე კვება. დილით ჩაი და საუზმე: შედედებულ რძეში მოხარშული ბრინჯი ან მაკარონი, ან რაიმე მსგავსი საკვები. შუადღისას ცხელი კერძი: ლობიო, სუპი, ხარჩო, პიურე და კატლეტი, შეწვარი თევზი, ჩაშუშული კომბოსტო, შეწვარი ქათმის ბარკლები, კომბოსტოს სალათა, კიტრი, ცივი წვენი.

ვახშამიც სადილის მსგავსი იყო ხოლმე, ოღონდ წვენის ნაცვლად ჩაის დალევა შეგვეძლო. სამოქალაქო ცხოვრებაში იგივე საკვები ნამდვილად არ მომენატრება, თუმცა, მე რეზერვში საკვებით არ მოვწამლულვარ და არც სხვისგან გამიგია მსგავსი შემთხვევის შესახებ. მოკლედ, ჩვენს ბანაკში საკვებთან პრეტენზიები ნაკლები იყო.

რა ჯდებოდა ჩვენი ტრანსპორტირება, ეგეც რთული სათქმელია. ფაქტია, რომ საკმაოდ ხშირად გვიწევდა სამხედრო მანქანებით გადაადგილება.

## რეზერვის შემდეგ

რა იყო ჩემთვის სარეზერვო სამსახური? ახალ გარემოში ცხოვრების მოსინჯვა. ამ ხნით ასე იზოლირებული არასდროს ვყოფილვარ. იარაღის გამოყენებას შევეჩვიე, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს მომწონდა და არც მაინტერესებდა სროლა და ომი. არა მგონია, სამხედრო სამსახურგამოვლილ ყველა ადამიანს უკეთ დამიზნება და სროლა შეეძლოს, ვიდრე მე. მიუხედავად იმისა, 16 დღე ვიმსახურე და სხვებს წლები აქვთ სავალდებულო სამსახურში გატარებული. ვისწავლეთ გადაადგილება და სანგრების თხრა, სამხედრო პირობებში ცხოვრება და გაძლება.

გვითხრეს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც მოგვიწევს შეკრების გავლა. **რეზერვში გაწვევის პირველივე დღეს ბევრი გახარებული ადამიანი ვნახე, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემის გამო სარეზერვო სამსახური ასცდა. რეზერვის ჩავლის შემდეგაც ძველ აზრზე დავრჩი: მთავარია, ჯანმრთელი ვიყო და რეზერვში წასვლაზე უარს არ ვიტყვი. მით უმეტეს, თუ იმ პირობებს გააუმჯობესებენ, რაზეც რეზერვისტებს სამართლიანად გვეშლებოდა ნერვები.**

თემურ იობაშვილი

# ტრაიანე



## 53-117

ტრაიანემ, რომის იმპერატორმა, რომის იმპერია აღმოსავლეთით დაკიის, სომხეთის, არაბეთისა და შუამდინარეთის ხარჯზე გააფართოვა.

### დომიციანეს კეთილგანწყობა

ტრაიანე ახ წ. 53 წელს რომაულ პროვინცია ბეტიკაში (ესპანეთი) დაიბადა. ახალშობილს მარკუს ულპიუს ტრაიანე დაარქვეს. მამამისი ადგილობრივი რომაელი მმართველი იყო. 70-იან წლებში ის სირიაში გადაიყვანეს მმართველად, ტრაიანეც იქ მსახურობდა ჯარში. 89 წელს ტრაიანე ესპანეთის ლეგიონის მხედართმთავარი გახდა და ანტონიუს სატურნინუსის ამბოხი ჩააქრო რაინისპირეთში. ამით მან რომის იმპერატორ დომიციანეს კეთილგანწყობა მოიპოვა, რომელმაც ის 91 წელს კონსულად დანიშნა.

დომიციანე 96 წელს მოკლეს და მისი ადგილი ნერვამ დაიკავა. ნერვამ ტრაიანე 97 წელს იშვილა და მემკვიდრედ გამოაცხადა. 98 წლამდე, ანუ სანამ ნერვა მოკვდებოდა, ტრაიანე ზემო გერმანიის მმართველი იყო. ნერვას სიკვდილის შემდგომ თვითონ გახდა იმპერატორი ტიტულით: იმპერატორი კეისარი, ღვთაებრივი ნერვას ვაჟი, ნერვა ტრაიანე ავგუსტუსი.

ტრაიანე ერთხანს კიდევ დარჩა გერმანიაში, რათა საზღვრებთან დაკავშირებული დავა გადაეწყვიტა და ძლიერი სამხედრო გარნიზონი ჩაეყენებინა ორ ახალ პროვინციაში.

როდესაც რომში დაბრუნდა, აღმშენებლობას მიჰყო ხელი. მაგრამ 101 წელს დაკიის (თანამედროვე რუმინეთი) დაპყრობითი ოპერაციები განაახლა, საიდანაც ჯერ კიდევ დომიციანეს ქვეყნის მეფე დეცებალუსი ჰყავდა განდევნილი. 102 წელს დამარცხება რომ იყნოსა, მეფე დეცებალუსმა ტრაიანეს შეწყალება სთხოვა.

იყავ უბედნიერეს ავგუსტუსისა და უკეთეს ტრაიანესი.

### ქრონოლოგია

* 53 დაიბადა 15 სექტემბერს, იტალიკაში (ბეტიკა, ესპანეთი).

* 70 დაინიშნა კონსულად.

* 89 ესპანეთში ლეგიონის მხედართმთავარი გახდა.

* 97 იშვილა იმპერატორმა ნერვამ. გერმანიის მმართველი გახდა.

* 98 გახდა იმპერატორი.

* 101-106 დაიპყრო დაკია.

* 105-106 არაბეთში ნაბატეის სამეფო დაიპყრო.

* 113-114 სომხეთში პრორომაული მეფე აღადგინა.

* 115 დაიპყრო ზემო მესოპოტამია.

* 117 ანტიოქიაში მიწისძვრას გადაურჩა; გარდაიცვალა 8/9 აგვისტოს სილენუსში, თანამედროვე თურქეთში.



რომაელ ლეგიონერთა ბანაკი

დეცებალუსი ვასალური სამეფოს მმართველი გახდა. როგორც კი ტრაიანე დაკიიდან გავიდა, დეცებალუსმა დუნაიზე რეიდების მოწყობა დაიწყო, რითიც რომის ავტორიტეტს ლახავდა. ტრაიანე დაბრუნდა და 106 წელს დაკიის პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ცენტრი სარმიზეგეტუსა (ორეშტიეს მთიანეთი, თანამედროვე რუმინეთი) აიღო. დეცებალუსმა ტყვედ ჩავარდნას თვითმკვლელობა არჩია. ტრაიანემ თავისი ტრიუმფი გლადიატორთა თამაშებით აღნიშნა, რამაც 123 დღეს გასტანა. მან დუნაის ჩრდილოეთით ახალი პროვინცია — დაკია შექმნა, რაც ერთგვარ დაცვით ზონად ესაჭიროებოდა ჩრდილოეთის სტეპების მომთაბარე ტომების შემოსევებისგან. ადგილობრივი მოსახლეობა კი რომაელმა მოახალშენეებმა დაიმორჩილეს.

## მეორე პართიული ომი

ტრაიანემ მომდევნო 7 წელი შიდასამეურნეო და სამშენებლო სამუშაოებს მიუძღვნა. 113 წელს მან მეორე მსხვილმასშტაბიანი პართიული ომისთვის დაიწყო მზადება. აღმოსავლეთში სპარსეთი რომის დაუძინებელი მტერი იყო. 110 წელს პართიელებმა სომხეთში პრორომაული მეფე ჩამოაგდეს ტახტიდან. 114 წელს ტრაიანემ იგი აღადგინა და მესოპოტამიისკენ გაემართა, თან ბაბილონი და პართიის დედაქალაქი ქტესიფონტი დაიპყრო.

მართალია, ამ ტერიტორიების დაპყრობა ძნელი არ იყო, მაგრამ მათი შენარჩუნებაც როდი იყო იოლი. ამბოხება ამბოხებას მოჰყვა. პალესტინის ებრაელობა და დიასპორა არაერთ თავსატეხს უჩენდა რომს. ყველა აჯანყებას სასტიკად ახშობდნენ. ამდენად, ტრაიანემ თანდათანობით მაინც მოახერხა რომის მმართველობაში წინა აზიის დატოვება, თვითონ კი ისევ დასავლეთისკენ აიღო გეზი. უკვე დაუძლურებულმა ტრაიანემ აღმოსავლეთში სარდლად ადრიანე დატოვა, სანამ იტალიაში გაემგზავრებოდა. 117 წლის 9 აგვისტოს სილენუსში (კილიკია, თანამედროვე თურქეთი) გარდაიცვალა. სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარემ მემკვიდრედ ადრიანე დაასახელა. ადრიანემ კი ტრაიანეს დაპყრობილი ყველა აღმოსავლური პროვინცია გაუშვა ხელიდან.

ტრაიანეს ფერფლი იტალიაში ჩაიტანეს და სვეტის ქვეშ დამარხეს. ის ღმერთად არ უღიარებიათ, მაგრამ იუპიტერის მიწიერ რეგენტად კი მიიჩნეოდა, თუმცა, დროთა მდინარებამ ეს სახელიც გადარეცხა. IV საუკუნის ბოლოდან რომის იმპერატორებს ასე ესალმებოდნენ: იყავ უბედნიერეს ავგუსტუსისა და უკეთეს ტრაიანესი!

## ტრაიანეს მიღწევები

- **ურიცხვი დაკიური ოქრო და მარილის საბადოები რომაელებს ომის შემდგომ ნადავლად დარჩათ. ამით ტრაიანეს საშუალება მიეცა ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები წამოეწყო. დედაქალაქში აპოლოდორემ უზარმაზარი ფორუმი დახაზა და ააშენა. რეკონსტრუქცია ჩაუტარა ზუსტად 100 რომაული ბიჯის სიმაღლის სვეტს, რომელსაც 23 სპირალისებრი ზოლი ჰქონდა 2500 ფიგურით, რაც ორი დაკიური ომის ისტორიის მაჩვენებელ გაშლილ გრაგნილს გამოხატავდა.**
- **ტრაიანემ წამოიწყო მდინარე დუნაიზე პირველი ხიდის მშენებლობა, რომლითაც მისი ლეგიონები დაკიაში უნდა გადასულიყვნენ. ხიდი ნახევარი მილის სიგრძისა იყო, ხოლო განძელები 170 ფუტით ჰქონდა დაშორებული, რამაც საუკუნესაც კი ვერ გაუძლო. როდესაც იმპერატორ ავრელიანეს დაკიიდან ჯარი გაჰყავდა, ხიდი ჩაინგრა, თუმცა ტრაიანეს სვეტზე ამ ხიდის შესახებ ინფორმაცია თვალსაჩინოდ არის წაწერილი.**
- **როდესაც ტრაიანემ სპარსეთის ყურეს მიაღწია, როგორც ამბობენ, ატირებულს დაუჩივლია: აღარც ისეთი ახალგაზრდა ვარ, დიდი ალექსანდრეს კვალს გავყვეო, მაგრამ 116 წელს ტიტული პართიკუსი მაინც მიიღო სპარსეთში საარაკო გამარჯვების ნიშნად.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიმინალური დანაშაულები აფხაზეთის ომში



## ინტერვიუ სამხედრო სასამართლოს პირველ მოსამართლესთან

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N19, 2011)

**— ბრალდებული სამხედრო გაგიმართლებიათ?**

— ერთი ახალგაზრდა სხეულის დაზიანების ბრალდებით იჯდა განსასჯელის სკამზე. იარაღს დაუდევრად მოეპყრო და სამხედრო ნაწილში თანამებრძოლი დაჭრა. ჩვენი სამხედროები სათანადოდ მომზადებულები რომ არ იყვნენ, ეს ცხადია. იარაღის გამოყენების წესიც კი არ იცოდნენ და ამიტომ ხდებოდა ამდენი დანაშაული. მასაც ტყვია გაუვარდა, თანამებრძოლი დაინვალიდდა. ისე გავასამართლეთ, რომ სასამართლო სხდომებს დაზარალებული ვერ დაესწრო, უკვე თბილისში იყო გადმოყვანილი. განცხადება გამოგვიგზავნა, რომ მისი ჩვენებით გვესარგებლა. განსასჯელიც აღიარებდა დანაშაულს და ძალიან ნანობდა. ჩვენ მას თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად პირობითი მსჯავრი შევუფარდეთ, პატიმრობიდან გამოვუშვით და სამხედრო ნაწილში გავამწესეთ. ამ ფაქტის შემდეგ ის ახალგაზრდა ვაჟკაცურად იბრძოდა ჩვენი მიწის დასაცავად. ციხეში რომ გაგვეშვა, შეიძლება ის კაცი დაგვეღუპა და გზას ასცდენოდა. მას დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება მივეცით, სამხედრო მეთაურის მეთვალყურეობის ქვეშ გადავიდა.

**— დეზერტირობის ბრალდებით დაკავებულებს რამდენ წელს უსჯიდით?**

— 3-დან 7 წლამდე. საკმაოდ ბევრი დავსაჯეთ ამ მუხლით. აფხაზეთში მცხოვრებნი ნაკლებად დაგვისჯია, ისინი არ დეზერტირობდნენ, ძირითადად, ჩამოსულები, შენაერთების წევრები თვითნებურად ტოვებდნენ სამხედრო ნაწილებს. ერთხელ სოფელ შრომაში მთელმა ჯგუფმა ფრონტის ხაზი დატოვა. დეზერტირებს მაშინვე აპატიმრებდნენ და ჩვენ ვასამართლებდით. მკვლელობებიც ხდებოდა, მაგრამ ძირითადად დანაშაულის დაფარვის მიზნით.

**— სხვა ეროვნების ადამიანი თუ გაგისამართლებიათ?**

— სოხუმის დაცემის შემდეგ ჩვენმა სასამართლომ ფუნქციონირება თბილისში განაგრძო და აქ გავასამართლეთ პატიმარი ჩუკიანი. ამბობდა, მე აფხაზეთის მოქალაქე ვარო. 3 დღის განმავლობაში რამდენიმე საშინელი მკვლელობა ჩაიდინა. მის საქმეს პროკურატურის თანამშრომლები მთელი გულისყურით იძიებდნენ, მაგრამ ამ დროს აფხაზეთი დაეცა, როგორც სხვა საქმეები, ჩუკიანის საქმეც იქ დარჩა და ვერ გადაარჩინეს. არადა, დაპატიმრებული ჰყავდათ. როგორც კი შეამჩნია ხელისუფლებამ, რომ ოკუპირების საფრთხე არსებობდა, დრანდაში მყოფი პატიმრები თბილისში გადმოიყვანა და მათ შორის — ისიც. რომ გაესამართლებინათ, მტკიცებულებები აღარ ჰქონდათ. მაინც გავასამართლეთ, სამწუხაროდ, ჩადენილი მკვლელობები მტკიცებულებების არარსებობის გამო შერჩა. გავასამართლეთ იარაღისა და ნარკოტიკის მოხმარების ბრალდებით. არადა, ყველამ იცოდა, რამდენი ქართველი ჰყავდა მოკლული. როგორც ვიცი, სასჯელის მოხდის შემდეგ საბერძნეთში წავიდა.

**— რა ბედი ეწია სხვა პატიმრებს, რომელთა საქმეები აფხაზეთში დარჩა?**

— არ ვიცი. ფაქტია, ქურდობა ძალიან ბევრ დამნაშავეს შერჩა.

**— დაახლოებით რამდენი საქმე განიხილეთ?**

— დაახლოებით 35, მათ შორის ბევრი ჯგუფური დანაშაული იყო, ბევრიც განუხილველი დარჩა.

**— კიდევ რომელიმე საინტერესო ფაქტს ხომ ვერ გაიხსენებთ?**



ომს ყოველთვის ძალადობა ახლავს, სადაც სამართალსა და უსამართლობას შორის ხაზის გავლება ძნელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



უდისციპლინობა არმიაში — კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო

— სამი ქართველი დაზვერვაზე გაგზავნეს. გზად აფხაზები გადაეყარნენ. როგორც ჩანს, მათაც ანალოგიური დავალება ჰქონდათ და ხოხვის დროს პირისპირ აღმოჩნდნენ. ერთმა მიამბო: მოულოდნელობისგან ყველანი გავჩუმდით, მალე საუბარი აფხაზმა წამოიწყოო: — ეჰ, რა ვითარებაში ვხვდებით ერთმანეთსო. — ეს ომი რაში გვჭირდებოდა, ხომ ვცხოვრობდით ერთად, — ვუპასუხეთ. ერთი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდაო. სოხუმი პატარა ქალაქი იყო და იქ ყველა ყველას იცნობდა. ერთმა მათარა მოიხსნა და თქვა, ბიჭებო, არ დამძრახოთ, ცოტა ჭაჭა მაქვს მათარაში და ყველამ დავლიოთო. მეორეს პურის ქერქი აღმოაჩნდა, ის მივაყოლეთ. ბოლოს მწარედ გავიცინეთ და გავიხუმრეთ კიდეც, რა კარგი იქნებოდა, ელარჯიც რომ გვქონდესო. მერე ერთმანეთს დავემშვიდობეთ, ღმერთმა ერთმანეთს მშვიდობაში შეგვახვედროსო. ამ სიტყვებით დავშორდით და ხოხვის გარეშე, უკვე გამართულად წამოვედით ნაწილისკენ. არც ერთ ჩვენგანს ხოხვა არ უცდია და იმის არ შეშინებია, ზურგში ტყვია მოგვხვდებოდა. როცა ნაწილში მოვედით, ამ დროს მათი ბანაკიდან ოთხი ე.წ. ტრასირი გავარდა, ჩვენც სამი გავისროლეთ და ამით ერთმანეთს შევატყობინეთ, რომ ნაწილში მშვიდობით მივედითო. ამით იმის თქმა მინდა, რომ იქ ხალხს ერთმანეთის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ომი ვერ ავიცილეთ.

**— რა შეცდომებს უშვებდნენ ჩვენი სამხედროები?**

— სამხედრო ნაწილში წესრიგია საჭირო. დავალება უნდა შესრულდეს. მაგრამ არაკომპეტენტურობამ დაგვახრჩო და დაგვღუპა. სამხედრო ხელმძღვანელობაში ურთიერთდაპირისპირებასაც ჰქონდა ადგილი. გენერალ-პოლკოვნიკი კამკამიძე ჩამოიყვანეს ლვოვიდან და კიტოვანის მოადგილედ დანიშნეს. დაინახა სრული ქაოსი, წვერგაუპარსავი, მშიერი ჯარისკაცი, როგორ ჰქონდა გადაკიდებული ავტომატი, გადაირია, ვერაფერს გახდა და ორ კვირაში უკან წავიდა. მიხვდა, მისი ძალაუფლება რომ ვერ გავრცელდებოდა. მას თავისი ისტორიული სამშობლო უყვარდა და იმიტომ ჩამოვიდა. სრული ქაოსი იყო და ამიტომაც სჩადიოდნენ ყველა კატეგორიის დანაშაულს.

**— სამხედრო პირებს რომ ასამართლებდით, პროცესზე დაზარალებულები მოდიოდნენ?**

— ხშირად მოდიოდნენ, მაგრამ შიშით... აფხაზ ფეხმძიმე ქალს, მერვე თვეში მყოფს, თავს დაესხნენ და მუცელი გაუფატრეს. სოხუმში ასეთი საშინელი დანაშაული რამდენიმე პირმა ჩაიდინა, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი დააკავეს. ეს საქმე ჩემმა კოლეგებმა განიხილეს და დამნაშავეს 15 წელი მიუსაჯეს. დანარჩენების ვინაობაც იცოდა პროკურატურამ, მაგრამ სხვა პირთა საქმემ სასამართლომდე ვეღარ მოაღწია. დანაშაულის ჩამდენები ნარკომანები იყვნენ, წამლით გაბრუებული დადიოდნენ და ეს შემზარავი ფაქტიც ჩაიდინეს.

**— დრანდის ციხეში მყოფ პატიმრებს რა ბედი ეწიათ?**

— საპყრობილე დრანდაში იყო, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, კარი გაალეს და გამოიყვანეს იქ მყოფი პატიმრები. ისინი სიკვდილს გადაურჩნენ.

**— ბატონო გიორგი, თქვენ თბილისში იყავით სოხუმის დაცემისას და სოხუმში მშობლები დაგრჩათ, რომლებიც აფხაზებმა დაგიხვრიტეს.**

— 1993 წლის 15 სექტემბერს თბილისში სამსახურის საქმეებზე წამოვედი, სოხუმში ხალხი უკან დაბრუნდა, ეზოები ბავშვებით ისევ გაივსო, მოლაპარაკება შემდგარი იყო. უბედურება ისიც იყო, რომ 1-ელ სექტემბერს სოხუმში სწავლა გამოაცხადეს. ეს შევარდნაძეს არ უნდა ეპატიოს. სოხუმში მშობლები დავტოვე. 16 სექტემბერს ტელევიზიით გავიგე, რომ ომი განახლდა. ჩვენი ბიჭები განაიარაღეს, მაგრამ ისინი მართლაც ლომებივით იბრძოდნენ გადამალული იარაღით. 18 სექტემბერს ერთ-ერთ რუსულ არხზე გენშტაბის უფროსმა, გენერალმა კალესნიკოვმა განაცხადა, 26 სექტემბერს სოხუმი აღებული იქნებაო. მაშინ მართლა შემეშინდა. 24 სექტემბერს უკვე სოხუმთან სატელეფონო კავშირიც გაწყდა. მშობლებს ვეღარ ვუკავშირდებოდი. ოჩამჩირეში ჩემს მეგობრებს დავურეკე და ვთხოვე, ეშველათ ჩემი მოხუცი მშობლებისთვის

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

და სამშვიდობოს გამოეყვანათ. იქაურმა მილიციის უფროსმა მითხრა, დედაჩემიც იქ არის დარჩენილიო. რა მექნა, რისკის ქვეშ ვინ დამეყენებინა? 27 სექტემბერს, როცა სოხუმი აიღეს, ხალხი, ვინც ზღვით ფოთამდე გამოაღწია, თბილისში მატარებლების ეშელონებით ჩამოდიოდნენ. მთელ დღეებს სადგურში ვატარებდი იმ იმედით, რომ ჩემი მშობლების ამბავს გავიგებდი. ამ დროს თბილისში ძალიან აცივდა, მოკლესახელოიანი მაისურით დავდიოდი, ჩასაცმელიც კი არ მქონდა, სიცივეს ვერ ვგრძნობდი. წარმოუდგენელია იმ განცდის გადმოცემა, რაც გადავიტანე. დედა 63 წლის იყო, მამა 73 წლის, ჯანმყოფი.

29 სექტემბერს შინ ისევ იმედგაცრუებული დავბრუნდი. მეუღლემ მითხრა, ვიღაც აფხაზმა დარეკაო. აშკარა იყო, ვიღაც სოჭიდან რეკავდა, რადგან სოხუმთან კავშირი არ არსებობდა. ასე გადაეცით, თუ უნდა მშობლების ნახვა, 2 ოქტომბერს, ფსოუს რუსულ ნაპირზე ჩამოვიდეს, ხელში ეჭიროს შავი ქოლგა და 25 მილიონი ჩამოიტანოსო. ამ თანხის შოვნა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, არც ახლობელი მყავდა, რომელიც ამდენ ფულს მომცემდა. რა დამაძინებდა, ბოლთას ვცემდი, მივხვდი, ისინი მძევლად ჰყავდათ. მეორე დღეს უშიშროებაში მივედი, იმ პერიოდში ბათიაშვილი გადადგა თანამდებობიდან, ახალი მინისტრიც არ იყო დანიშნული და ქაოსი იყო ქვეყანაში. გავესაუბრე თანამშრომლებს და მითხრეს, რომ იქ ჩემი წასვლა კატეგორიულად არ შეიძლებოდა, იქაურობას ვერ ვაკონტროლებთ, არ არის გამორიცხული, თქვენც მძევლად აგიყვანონ და შემდეგ ხელისუფლებას ულტიმატუმს წაუყენებენ, რაღაც დივიდენდებს მოითხოვენო, რადგან მაღალი თანამდებობის პირი მძევლად ეყოლებათო. რა მექნა, 2 ოქტომბერს სახლში ვიყავი და ზარს ველოდებოდი. მართლაც დარეკეს, ისევ ის აფხაზი იყო, ვესაუბრე აფხაზურად, მაგრამ რუსულად მიპასუხა, რატომ არ მოხვედითო. ეს სერიოზული ლაპარაკი არ არის, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემი მშობლები თქვენთან არიან და თან ცოცხლები, დამალაპარაკეთ, ამის შემდეგ მოვალ და თანხას გადმოგცემთ-მეთქი. კარგიო, მითხრა, მაგრამ ამის შემდეგ ზარი არ ყოფილა. იმედს მაინც არ ვკარგავდი, სულ ველოდი ზარს. ვინ არ შევაწუხე, ვურეკავდი ჩემს აფხაზ ნაცნობებს და ვთხოვდი დახმარებას, ნაცნობი სომეხიც კი გავგზავნე აფხაზეთში, მაგრამ მათი კვალი ვერ



1993 წლის სექტემბერში კოდორის ხეობით მიმავალი მშვიდობიანი მოსახლეობა გზაში ყაჩაღთა მსხვერპლნი გახდნენ

აღმოვაჩინე. თურმე ცოცხლები აღარ იყვნენ. როცა ყველაფერი გავიგე, ძალიან ცუდად ვიყავი, სიცოცხლე აღარ მინდოდა, თვითმკვლელობაზე ხშირად ვფიქრობდი. ერთ დღეს ჩემმა მეუღლემ შემიყვანა ოთახში, სადაც ბავშვებს ეძინათ და მითხრა, ამათ შეხედე, თავს რომ მოიკლავ, მერე ამათ მე რა ვუყო, რა ვქნაო.

**— მომხდარში თქვენს თავს რატომ ადანაშაულებთ?**

— ისინი დასაჯეს როგორც სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის მშობლები. სხვა მიზეზი არ ყოფილა. 10 ნოემბერს ჩემი კარის მეზობელი აფხაზებმა გამოიყვანეს. საოცარი შესახედავი იყო, შეშინებული თვალებით, ყველაფრის ეშინოდა. სწორედ მისგან შევიტყვე, რომ 28 სექტემბერს ჩვენს სახლთან თეთრი „ვოლგა" გაჩერდა. სამხედრო ფორმაში ჩაცმულები, პირდაპირ ჩემს ბინაში ასულან 1 აფხაზი და 2 რუსი. კარი დედას გაუღია. დაახლოებით 20 წუთი იყვნენ ბინაში, მეზობელმა მითხრა, მინდოდა, მიმეყურადებინა და გამეგო, რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერ გავბედე, შემეშინდა, არ დავენახე და იქვე არ დავეხვრიტეო. შინ ტაბელური იარაღები მქონდა, თურმე მეზობელს წინადღეს გადაუმალავს. ვიღაცის წყალჩამდგარ სარდაფში ჩაუგდია პისტოლეტი, ავტომატი — თავის შარვალში და კოჭლობით გამოუტანია სახლიდან. მალე ჩემი მშობლები გამოსულან ბინიდან, დედას ხელში პატარა ჩანთა ეჭირა თურმე, მეზობლისთვის ბოდიში მოუხდია და უთქვამს, ერთად უნდა წავსულიყავით, მაგრამ გიას ჩვენთვის ხალხი გამოუგზავნია, ახლა სოჭში მივყავართ და იქიდან თბილისში უნდა გადავფრინდეთო. სახლიდან ასე მოტყუებით გაიყვანეს. ამის შემდეგ გაქრა კვალი. იქ რომ ვყოფილიყავი, მათ გამოხიზვნას მოვახერხებდი, ამას განვიცდი, რომ მათ გვერდით არ აღმოვჩნდი. მოგვიანებით, 2 წლის შემდეგ, იქაური აფხაზისგან შემზარავი ამბავი გავიგე. დაახლოებით 15 კაცი, მათ შორის ჩემი მშობლები, კურჩენკოს პარკში იმავე დღეს დახვრიტეს. როცა მირეკავდნენ და ფულს მთხოვდნენ, ცოცხალი აღარ ყოფილან. წინასწარ ამოთხრილ ორმოში ყველანი ერთად ჩაყარეს და მერე ტრაქტორით მიწა მიაყარეს. დაახლოებით ვიცი ის ადგილი. მათი ცხედრების გადმოსვენებაზეც ვფიქრობდი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან დნმ-ის ექსპერტიზის გარეშე ცხედრების გადმოსვენებას აზრი არ ჰქონდა.

**— როდის გაუქმდა სამხედრო სასამართლო?**

— 1997 წლის ნოემბერში და მას მერე ქვეყანაში აღარ არსებობს.

**— რა იყო გაუქმების მიზეზი?**

— მიხეილ სააკაშვილს ვკითხე, რატომ აუქმებთ-მეთქი (მაშინ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო) და მიპასუხა, ეს სასამართლო დემოკრატიულად შექმნილი არ არისო. რას ნიშნავდა ეს, არ ვიცი. სამხედრო სასამართლოებს თავისი სპეციფიკა ჰქონდათ და გაუქმების შემდეგ ისე გულდასმით ვერ განიხილავდნენ სხვა სასამართლოები სამხედრო პირთა საქმეებს.

***თეა ხურცილავა***



# „კალაშნიკოვის“ ყველა ავტომატი

## 62 წლის წინ შეიარაღებაში მიღებული „კალაშნიკოვი“ პოზიციის დათმობას არ აპირებს

რუსეთის, ქვეყნის, რომლის შეიარაღებული ძალების შენაერთები სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე სამი წლის წინ შემოიჭრნენ და დღესაც ოკუპირებული აქვთ მისი ორი რეგიონი, თავდაცვის მინისტრმა მკვეთრად გააკრიტიკა მისი არმიის ძირითადი შეიარაღება — „კალაშნიკოვის“ ავტომატი და მისი ჩანაცვლების შესახებ სენსაციური განცხადება გააკეთა.

1949 წელს საბჭოთა არმიის შეიარაღებაში მიღებული AK-47 და მისი „შვილობილები“ შეიძლება მართლაც აღარ შეესაბამება XXI საუკუნის მოთხოვნებს, მაგრამ რუსეთის საოკუპაციო ჯარები სწორედ ამ ტიპის ავტომატური იარაღით არიან აღჭურვილნი და ჩვენი მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს იმის გაგება, „კალაშნიკოვის“ რა მოდიფიკაციები არსებობს, რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან და როგორ შეიძლება დაგვემუქრონ.

„კალაშნიკოვის“, უფრო სწორად კი შუალედურ ვაზნაზე გათვლილი გრძელლულიანი ავტომატური იარაღის შექმნა, ყოფილ საბჭოთა კავშირში, უშუალოდ უკავშირდება ერთ ფაქტს: მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ერთ-ერთ ფრონტზე საბჭოთა დაზვერვამ ხელში ჩაიგდო გერმანული ექსპერიმენტული ავტომატური კარაბინები MKb.42(H). მისი კალიბრი იგივე იყო, რაც ომში გერმანელების ძირითადი იარაღის — „მაუზერის“ თვითდამტენი შაშხანისა — 7,92 მმ. თუმცა, თუკი „მაუზერის“ შაშხანის ვაზნის ჰილზის სიგრძე 57 მმ-ს აღწევდა (7,92X57 მმ), ნაალაფარი ავტომატური კარაბინი MKb.42(H) უფრო მოკლე, 7,92X33 მმ ტიპის ვაზნაზე იყო გათვლილი.

ამ შუალედური (შაშხანისა და პისტოლეტის ვაზნებს შორის) ვაზნის გამოყენებით ცნობილმა გერმანელმა მეიარაღე ჰუგო შმაისერმა დააპროექტა ავტომატური ჯერით მსროლელი იარაღი, რომელიც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებთან შედარებით 200-300 მ-ზე უფრო შორს დამიზნებით ისროდა და ამასთან, არ ჰქონდა იმ ძალის უკუცემის ეფექტი, როგორც შაშხანის ვაზნებზე გათვლილ იარაღს.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ჰუგო შმაისერის სახელი სწორედ ავტომატური კარაბინების (რომელიც შემდგომ ჰიტლერის ბრძანებით საიერიშო შაშხანებად იწოდა) დასაბამს უკავშირდება და არა ლეგენდარული გერმანული MP-



„კალაშნიკოვის“ პირველი საცდელი ავტომატი AK-46



სირიაში ჩაშვებული AK-47



ჰუგო შმაისერის ავტომატური კარაბინი MKb.42(H)

38/MP-40 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს, როგორც დღემდე ზოგიერთს ჰქონია.

1942 წლიდან 1943 წლის აპრილამდე გერმანულმა ფირმამ Haenel-მა 8 ათასი ავტომატური კარაბინი გამოუშვა, რომლებიც საჯარისო გამოცდას აღმოსავლეთის ფრონტზე გადიოდნენ.

როგორც ჩანს, სწორედ ამ პარტიის რამდენიმე ახალი ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი მოიპოვა საბჭოთა დაზვერვამ. ნაალაფარი იარაღი ლავრენტი ბერიამ და თავად იოსებ სტალინმაც უთუოდ დეტალურად დაათვალიერეს. 1943 წლის ზაფხულში თავდაცვის სახალხო კომიტეტზე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გერმანული ნაალაფარი MKb.42(H)-ისა და ლენდ-ლიზით მიღებული ამერიკული თვითდამტენი კარაბინის, M1-ის (ამერიკული კარაბინიც შუალედური 7,62X33 მმ კალიბრის ვაზნაზე იყო გათვლილი) შესწავლის საფუძველზე გამოსცა განკარგულება შექმნილიყო ავტომატური ჯერით მსროლელი იარაღი, რომელიც შუალედურ ვაზნას გამოიყენებდა და მისგან წარმოებული ცეცხლი 400 მ სიშორეზეც იქნებოდა ეფექტური.

ბუნებრივია, თავდაპირველად ვაზნა იყო შესაქმნელი და უკვე 1943 წლის ნოემბერში დამზადდა ასეთი ვაზნა, რომლის კალიბრი 7,62 მმ, ხოლო ჰილზის სიგრძე კი 41 მმ იყო.

ერთ-ერთი პირველი ავტომატი (სწორედ ასე უწოდეს შუალედურ ვაზნაზე გათვლილ გრძელლულიან ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს) კონსტრუქტორმა სუდაევმა შექმნა (სწორედ მას ეკუთვნოდა მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი საინტერესო კონსტრუქციის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ППС-43). მისმა ავტომატმა АС-44-მა, საჯარისო გამოცდა სამხედრო ნაწილებში გაიარა და მოიწონეს კიდეც, თუმცა სამხედროებმა კატეგორიულად მოითხოვეს იარაღის მასის შემცირება.

1946 წელს ახალი კონკურსი გაიმართა, სადაც პირველად გამოჩნდა სერჟანტი მიხეილ კალაშნიკოვი თავისი ავტომატით AK-46-ით. გამოცდის შემდეგ კალაშნიკოვის AK-46 დაიწუნეს, თუმცა ნაცნობობით მას საშუალება მიეცა დაეხვეწა ავტომატი და ახალ კონკურსზე გაეტანა.


შმაისერის MKb.42(H)-ისა და „კალაშნიკოვის“ AK-47-ის არასრული დაშლისასაც კარგად ჩანს, რომ მათ არც ისე ბევრი აქვთ საერთო

კალაშნიკოვს გვერდში დაუდგა გამოცდილი მეიარაღე, კოვროვის ქარხნის კონსტრუქტორი ზაიცევი და მათ ახალი ავტომატი დააპროექტეს, რომელიც AK-46-ს კონსტრუქციულად არ ჰგავდა.

AK-47-ად წოდებულმა „კალაშნიკოვის“ ავტომატმა ახალ კონკურსზე მოუგო ორ მეტოქეს, თუმცა კონსტრუქტორ ბულკინის ავტომატი აკმაყოფილებდა ძირითად მოთხოვნას სროლის სიზუსტის სიბურჯღლეში. როგორც აღმოჩნდა, ბულკინის ავტომატი არ გამოირჩეოდა საიმედოობით და ზოგიერთი დეტალი ინტენსიური სროლის შემდგომ მწყობრიდან გამოდიოდა.

კომისიამ „კალაშნიკოვის“ ავტომატის ავტომატური ჯერით სროლისას



**ჩვენი დოსიე:** „კალაშნიკოვის“ ავტომატის სიგრძე 870 მმ-ია (ლულის სიგრძე 415 მ), AK-47 4,3 კგ-ს, ხოლო AKM კი 3,14 კგ-ს იწონის. მჭიდში 7,62X39 მმ კალიბრის 30 ვაზნა ჩადის. სროლის ტემპი წუთში 600 გასროლას აღწევს

ეროვნული ბიბლიოთეკა



მცირე რაოდენობით დამოკლებულლულიანი АКМСУ-ც გამოუშვეს

ტყვიების დიდი გაფანტვა აღნიშნა, მაგრამ საიმედოობის გამო მას გაუწია რეკომენდაცია შეიარაღებაში მისაღებად, სროლის სიზუსტის გაზრდა კი შემდგომისთვის გადადო და ეს ნაკლი „კალაშნიკოვს“ ბოლომდე შერჩა.

დღემდე მიაჩნიათ, რომ კალაშნიკოვმა გერმანელი შმაისერის ავტომატური კარაბინის კონსტრუქცია მოიპარა.

„კალაშნიკოვში“ მართლაც არის გამოყენებული სხვადასხვა კონსტრუქტორის სქემები, მაგალითად, AK-47-ის საცემ-სასხლეტი მექანიზმი ძალიან ჰგავს ცნობილი ჩეხი კონსტრუქტორის, ჰოლეკის შაშხანისას. ბრაუნინგის თვითდამტენ შაშხანა Remington 8-ში გამოყენებული დამცველის ბერკეტს (რომელიც მტვრისა და ჭუჭყისგან იცავს საკეტის ხელის მოსაკიდის ფანჯარას) კი „კალაშნიკოვის“ მარჯვენა მხარეს ნახავთ.

შმაისერის ავტომატური კარაბინისა და „კალაშნიკოვის“ ავტომატის ვიზუალური მსგავსების მიუხედავად, კონსტრუქციებში ბევრი განსხვავებაა, სხვადასხვანაირია ლულის ჩაკეტვის პრინციპი, საცემ-სასხლეტი მექანიზმი; „კალაშნიკოვს“ მთლიანად ეხსნება ლულის კოლოფის თავსახური (ისე, სიმართლე ითქვას, ამ თავსახურის უკან დაყენება ყველაზე საწვალებელია და ამიტომაც თანამედროვე „კალაშნიკოვებში“ ის ერთი ბოლოდან დამაგრებულია და მხოლოდ ზემოთ იწევა), მაშინ, როდესაც შმაისერის იარაღის საცემ-სასხლეტი მექანიზმი ცეცხლის მართვის სახელურთან ერთად ქვემოთ იწევა, დაახლოებით ისე, როგორც ამერიკულ M16-ზე.

მიუხედავად ამისა, შმაისერმა მაინც შეიტანა წვლილი „კალაშნიკოვის“ სრულყოფაში. 1947-დან 1950 წლამდე ის საბჭოთა დაზვერვას, ფაქტობრივად, ტყვეობაში ჰყავდა იჟევსკის საიარაღო ქარხანაში, სადაც, ალბათ, ხვდებოდა კალაშნიკოვს. სავარაუდოდ, სწორედ შმაისერი დაეხმარა AK-47-ის მწარმოებლებს ლულის კოლოფების დაშტამპვის ტექნოლოგიის ათვისებაში (რომელიც 1959 წლიდან AKM-ის წარმოებისას გამოიყენეს). ასევე შმაისერის სახელს უკავშირდება „კალაშნიკოვის“ მეტალისგან დამზადებული მჭიდების სერიული წარმოების ათვისება.

დაახლოებით ასეთი იყო „კალაშნიკოვის“ შექმნის ისტორია, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ავტომატის სროლის სიზუსტეს მისი საიმედოობა და მასობრიობა ამჯობინა, რაც მრავალმილიონიანი არმიის სამხედრო დოქტრინაზე იყო დაფუძნებული.



ხიშტ-დანები:
AK-47-ისთვის, AK-74-ისთვის და
AKM-ისთვის (მარცხნიდან მარჯვნივ)

## როგორ ვითარდებოდა „კალაშნიკოვი“

პირველი მოდიფიკაციის „კალაშნიკოვები“ AK-47-ის სახელითაა ცნობილი. თუმცა მათი წარმოება 1948 წელს დაიწყო, ხოლო საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 1949 წელს მიიღეს.

AK-47-ის პარალელურად აწარმოებდნენ ავტომატს ინდექსით AKC. ოღონდ ეს AKC არ შეგეშალოთ AKC-74-ში. 7,62 მმ-იანი კალიბრის AKC განკუთვნილი იყო საჰაერო-სადესანტო ჯარების შეიარაღებისთვის და დასაკეცი კონდახი ჰქონდა. დასაკეცი კონდახის კონსტრუქცია ძალიან ჰგავდა გერმანული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ MP38/MP40-ისას, რაც აჩენს ვარაუდს,



უხმაურო ავტომატი-ყუმბარსატყორცნის კომპლექსი Тишина



5.45 მმ კალიბრიანმა AK-74-მა 7.62 მმ-იანი AKM-ები ჩაანაცვლა

რომ კალაშნიკოვმა ის გადმოიღო.

„კალაშნიკოვის“ შეიარაღებაში მიღებიდან მეათე წლისთავზე დაიწყო მოდერნიზებული AKM-ის სერიული წარმოება, რომელსაც დამიზნებითი სროლის მანძილი 1000 მ-დე გაუზარდეს, გაუმჯობესდა საიმედოობა და გამოყენების მოხერხებულობა.

AKM-ში ისევ დაუბრუნდნენ ლულის კოლოფის დაშტამპვით წარმოებას, რამაც შეამსუბუქა იარაღი. კონდახი ოდნავ ზემოთ წამოსწიეს, რათა ავტომატის მხარზე მიბჯენის წერტილი მიახლოებოდა სროლის დროს წარმოქმნილი უკუცემის ძალის ხაზს.

ცვლილებები საცემ-სასხლეტ მექანიზმშიც შეიტანეს — ჩახმახის დაშვების შემანელებლის დამატებამ ავტომატური სროლის ტემპი თითქმის არ შეცვალა, მაგრამ რამდენიმე მილიწამის მოგებამ საშუალება მისცა საკეტის ჩარჩოს, რომ მოასწროს სტაბილიზება წინა უკიდურეს მდგომარეობაში ახალი გასროლის შესრულებამდე. ამ ტექნიკურმა გადაწყვეტილებამ ნაწილობრივ გააუმჯობესა სიბურჯღლე ავტომატური ჯერებით სროლისას.

გარეგნულად AKM-ის AK-47-დან განსხვავება იმ წაწვეტებული ფორმის ლულის კომპენსატორით შეიძლება, რაც ავტომატის ლულის ბოლოში იხრახნება.

ამ კომპენსატორის წაწვეტებული მხარე ტყუილად როდია განთავსებული მარცხენა ქვემო მხარეს (სროლის მიმართულებით).

საქმე ის არის, რომ „კალაშნიკოვის“ სროლისას (განსაკუთრებით ავტომატური ჯერებით), დამიზნების წერტილით ზემოთ მარჯვნივ მიდის (ამას განაპირობებს იარაღის ლულაში დატანებული ღარების მიმართულება). კომპენსატორის მარცხენა ქვედა მხარეს დაყენებულ წაწვეტებულ ნაწილზე გასროლისას წარმოქმნილი აირების წნევის დაწოლის შედეგად დამიზნების წერტილის ზემოთ მარჯვნივ წასვლა ნაწილობრივ კომპენსირდება.

AKM-ის ბაზაზე შეიქმნა მისი დასაკეცკონდახიანი ვარიანტი AKMC და დამოკლებულლულიანი AKMCУ. ეს



„კალაშნიკოვის“ „დაუფარავი“ რეკლამა

ეროვნული ბიბლიოთეკა



უხმაურო ავტომატ-ყუმბარსატყორცნის კომპლექსი Канарейка

უკანასკნელი მცირე პარტიით გამოუშვეს და შეიარაღებაში ოფიციალურად არ მიუღიათ, თუმცა მისი დამოკლებული ლულის სქემა და ლულის ბოლოში დამაგრებული ცეცხლმქრობი, მოგვიანებით გამოიყენეს ფართოდ გავრცელებულ АКС-74У-ში.

მთავარი სადაზვერვო სამმართველოს — ГРУ-ს სპეცდანიშნულების რაზმების შეიარაღებაში იყო ПБС და ПБС-1 ტიპის მაყუჩებით აღჭურვილი АКМС-ები, რომლებიც სპეციალურ ვაზნებს — 7,62УС-ებს იყენებდნენ. ამ ვაზნებზე შემცირებული იყო დენთის რაოდენობა და გასროლისას ტყვის



სადამ ჰუსეინის მოოქრული „კალაშნიკოვი“

სიჩქარე ბგერის სიჩქარეზე ნაკლები ხდებოდა, რასაც მაყუჩის დაყენებაც განაპირობებდა.

АКМС-ზე შეიძლება ჩვეულებრივი, ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნ ГП-25Костер-ისა და უხმაურო ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნ БС-1 Тишина-ს დაყენება.

АКМ-ს მარცხენა მხარეს გაუკეთეს სპეციალური სამაგრი, რომელზეც ღამის ხედვის მოწყობილობის დაყენება შეიძლებოდა. ასეთ ვარიანტს АКМН დაარქვეს.

1974 წელს საბჭოთა არმიამ შეიარაღებაში მიიღო ახალი 5,45X39 მმ ვაზნებზე გათვლილი АК-74. ასეთი გადაწყვეტილება ძირითადად ნაკარნახევი იყო აშშ-ის შეიარაღებაში 5,56 მმ კალიბრიანი М16-ების გამოჩენით.

ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი კალიბრის შემცირებისა ის იყო, რომ მებრძოლს უფრო მეტი ვაზნა წაეღო. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის — ავღანეთის ომმა და საბრძოლო მოქმედებებმა ჩეჩნეთში, გააჩინა აზრი, რომ ასეთი გადაწყვეტილება მთლად გამართლებული არ იყო.

ახალი ავტომატი კონსტრუქციულად თითქმის მთლიანად იმეორებდა АКМ-ს, ლულისა და მჭიდების გარდა. შეიცვალა ლულის კომპენსატორის ფორმაც. ავტომატის ხის დეტალები, რომელიც დამოკლებულლულიან ავტომატზე დამაგრებული ПБС-4 ტიპის მაყუჩისა და ლულის ქვეშ დამაგრებული БС-1 უხმაურო ყუმბარსატყორცნის ერთობლიობას წარმოადგენდა.

ტრადიციულად, მედესანტეებისა და საზღვაო ქვეითებისთვის ახალი „კალაშნიკოვის“ დასაკეცკონდახიანი ვარიანტი АКС-74-ც დამზადდა, ოღონდ АКС-სა და АКМС-სგან განსხვავებით მეტალის სამკუთხა კონდახი მარცხნივ გვერდით იკეცებოდა.

АК-74Н-სა და АКС-74Н-ს მარცხენა მხარეს სპეციალური სამაგრი ჰქონდათ დატანებული ღამის ხედვის მოწყობილობის დასამაგრებლად.

АКС-74У იყო დასაკეცკონდახიანი და დამოკლებულლულიანი ვარიანტი, რომელიც თავიდან საარმიო სპეცრაზმებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ პოპულარობა მილიციონერებში უფრო მოიპოვა. АКС-74У-ს საბრძოლო მოქმედებებში ეფექტურად გამოყენება ძალზე საეჭვოა და იგი თავისი კომპაქტურობის გამო ტანკისტებისა თუ არტილერისტებისთვის თავდაცვით იარაღად უფრო გამოდგება. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ეს ავტომატი თავის მოკლე ლულის გამო მალე ხურდება ავტომატური ჯერებით სროლისას და ზუსტ სროლაზე საუბარი ნაკლებად ღირს, თუმცა ქალაქსა და შენობებში ახლო მანძილზე ბრძოლების დროს თავის სიტყვას მაინც იტყვის.

АКС-74У-ს ბაზაზე შეიქმნა სპეცოპერაციებისთვის განკუთვნილი უხმაურო საიარაღო კომპლექსი Канарейка, რომელიც დამოკლებულლულიან ავტომატზე დამაგრებული ПБС-4 ტიპის მაყუჩისა და ლულისქვეშა БС-1 ყუმბარსატყორცნის ერთობლიობას წარმოადგენდა.

АК-74-ის უნივერსალურ მოდერნიზებულ ვარიანტად იქცა АК-74М. მას მარცხენა მხარეს აქვს ღამის ხედვის მოწყობილობებისა და ოპტიკური სამიზნეების დასამონტაჟებელი სამაგრი (ისევე როგორც АК-74Н), ხისა



მოდერნიზებული АК-74М

და პლასტმასის დეტალები შეცვლილია მეტი დარტყმაგამძლე პოლიამიდით. ასევე შეიცვალა ლულის კომპენსატორის ფორმა, რაც მის გაწმენდას მოხსნის გარეშე განაპირობებს. გაძლიერდა ლულის კოლოფი თავსახური და ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნის სროლისას აღარ ძვრება. პოლიამიდისგან დამზადებული კონდახი მარცხენა მხარეს იკეცება.

AK-74M-ის ბაზაზე შეიქმნა საექსპორტო ვარიანტი AK-101, რომელიც მისგან მხოლოდ კალიბრით განსხვავდება და გათვლილია NATO-ს კალიბრის 5,56X45 მმ-იან ვაზნებზე.

AK-103-იც საექსპორტო ვარიანტია, ოღონდ მის მჭიდში AKM-ის ვაზნები — 7,62X39 მმ ჩადის. 2006 წელს ვენესუელამ რუსეთისგან 100 ათასი AK-103-ი შეიძინა.

ახალი „კალაშნიკოვების“ სერია — AK-102, AK-104 და AK-105-ი საბაზო AK-74M-ისგან დამოკლებული ლულითა და სპეციალური ფორმის ცეცხლმქრობით გამოირჩევიან.

საექსპორტო AK-102 NATO-ს 5,56 მმ-იან ვაზნებზეა გათვლილი, AK-104 AKM-ის 7,62 მმX39 მმ-იანებზე, ხოლო AK-105 კი AK-74-ის 5,45X39 მმ კალიბრის ვაზნებზე.

შეცვლილი კალიბრის ცვლილებით იჟევსკის ქარხანაში დაამზადეს სპეცდანაყოფებისთვის განკუთვნილი AK-9, ისიც AK-74M-ის ბაზაზეა შექმნილი, მაგრამ 9X39 მმ კალიბრის ვაზნებს მოიხმარს, ისეთივეს, როგორებიც სპეცავტომატების AC-ისა და 9A-91-ის მჭიდებში თავსდება.

AK-107-სა და AK-108-ზე განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ. მათ ერთმანეთისგან მხოლოდ კალიბრი განასხვავებს (AK-107-ის კალიბრი 5,45 მმ-ია, ხოლო AK-108-ისა კი 5,56 მმ), მაგრამ დანარჩენი „კალაშნიკოვებისგან“ ავტომატიკის სქემა.

ამ ავტომატებში გამოყენებულია დაბალანსებული ავტომატიკის სქემა, როდესაც გასროლისას წარმოქმნილ უკუცემის იმპულსს სხვა საწინააღმდეგო იმპულსი ამცირებს.

„კალაშნიკოვის“ სროლისას თავად გასროლის იმპულს ემატება საკეტის ჯგუფის უკიდურეს უკანა ნაწილში დაჯახების ძალა, რის შემდეგაც საკეტის ჯგუფი უკიდურეს წინა ნაწილში ბრუნდება და ისევ წარმოიქმნება დაჯახების იმპულსი, ოღონდ საპირისპირო მხარეს მიმართული.



9 მმ-იან სპეციალურ ვაზნაზე გათვლილი AK-9

თავად გასროლის იმპულსის შემცირება ლულის ბოლოში დაყენებულ კომპენსატორს მეტ-ნაკლებად შეუძლია, მაგრამ საკეტის ჯგუფის ლულის კოლოფის წინა და უკანა ნაწილებში დაჯახებისას წარმოქმნილი იმპულსების შემცირება ბევრად უფრო რთულია, რის გამოც მცირდება სროლის სიზუსტე.

AK-107-სა და AK-108-ს კონსტრუქტორებმა დაამატეს ბალანსირი, რომელიც საკეტის ჯგუფის მოძრაობის საწინააღმდეგოდ გადაადგილდება, ამასთან, მათი მასები ერთნაირია. სროლისას საკეტის ჯგუფი და ბალანსირი ერთმანეთთან მოქმედებს, რის გამოც იმპულსები უშუალოდ მსროლელის მხარეს აღარ გადაეცემა. მსროლელზე მარტო თავად გასროლის იმპულსი მოქმედებს, რომელსაც ლულის ბოლოში დაყენებული კომპენსატორი მეტ-ნაკლებად ამცირებს.

რუსი კონსტრუქტორების აზრით, AK-107-ის სროლის სიზუსტე 1,5-2-ჯერ აღემატება იმავე კალიბრის AK-74-ისას სროლისას. თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ რუსეთის არმიას გამოუყვიდეს AK-107-ებით ტრადიციული AK-74-ების მასობრივად ჩანაცვლება, რადგან ეს დიდ ფინანსურ დანახარჯთან იქნება დაკავშირებული.

რამდენიმე ათეული ათასი „კალაშნიკოვი“ ჯერ კიდევ რჩება ქართული არმიის შეიარაღებაში, მათ შორის — რეზერვისტების არსენალშიც. „კალაშნიკოვი“ სიმარტივისა და გამძლეობის გამო თითქმის ზედგამოჭრილია პარტიზანული ომებისთვის (რაც შეიარაღებული კონფლიქტების ისტორიამაც დაადასტურა), მაგრამ XXI საუკუნის თანამედროვე არმიის მებრძოლს სხვა, უფრო ზუსტად მსროლელი ავტომატური იარაღი სჭირდება.



AK-107-ში დანარჩენი ყველა „კალაშნიკოვისგან“ განსხვავებით გამოყენებულია დაბალანსებული ავტომატიკის სქემა, რაც AK-74-თან შედარებით მისი სროლის სიზუსტეს 1,5-2-ჯერ ზრდის

**ირაკლი ალადაშვილი**




ISSN 1987 - 5061
9 771987 506007